ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 4 სექტემბერი 1999 №169 (942) | ფასი 50 თეთრი

3

## თბილისში ვალენსიაც ჩამოვა

„ლოკომოტივის“ მეტოქე პაოკი მიწისძვრით დაზარალებულ თურქებს შეეწია

5

## სფორცას რეჯაგელი აღარ მოსწონს

„კაიზერსლაუტერნმა“ შვეიცარიელის გუნდიდან გაშვება გადაწყვიტა

6

## უკრაინაში ფრანგების დამარცხებას ითხოვენ



იოჟეფ საბოს კი ზოგიერთი ფეხბურთელის ფსიქოლოგიური მდგომარეობა აშფოთებს

11

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



მზია ჯუღელი

12

## დღეს ვუელტაა

# საქართველო ჯოჯოხეთს იხილავს



მერაბ რატიშვილი

ლიუბლიანიდან

დილით ეროვნული ნაკრების სამყოფელს, სასტუმრო „ჰოლიდეი ინს“ რომ მივადექი, მეგონა, მისამართი შემეშალა და უკან გამობრუნება დავაპირე. მერე კარისკაცი ვიცანი და აღმოვაჩინე, რომ სასტუმროს პირველი სართული სრულიად შეცვლილიყო. ჰოლი მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო, ძველი კედლები სადღაც გამქრალიყო და მის ადგილზე ძვირფასი ნოხებით განწყობილი კიბეები გაჩენილიყო. ერთი სიტყვით, ყოჩაღ, ლუბლიანელო მშენებლებო!

ეჰ, ნეტავ ჩემი ნაკრებიც ასე მალე აშენდებოდესო, ალბათ გაიფიქრებდა საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი, ზემოაღნიშნულ სიახლეს რომ დაინახავდა. აშენებას ვინლა ჩივის, რაც აქვს, მგონი, ისიც ენგრევა: ორჯერ გაფრთხილებულებს და ტრავმირებულებს ახლა გოჩა ჯამარაულიც მიემატა. შვეიცარიის „ციურიხის“ ნახევარმცველს ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და დღეს მისი თამაში მეტად საეჭვოა.

იხილეთ მეორე გვერდი



გოჩა ჯამარაული

# ამერიკა აგასის დარჩა?



REUTERS ნიუ იორკიდან

კარლოს მოიასთვის აშშ-ის ღია პირველობა დაიხურა

## US OPEN

*ნიუ იორკში მიმდინარე აშშ-ის ღია პირველობაზე მორიგი საბრძოლო დანაკარგია — პიტ სამპრასისა და პატრიკ რაფტერის კვალად ტრავმამ მესამე ფავორიტი, ესპანელი კარლოს მოიაც შეიწირა.*

*მონიკა სელეშის და რიჩარდ კრაიჩეკის შურისძიების ამბებს ანდრე აგასის ინტერვიუსთან ერთად კი მეცამეტე გვერდზე იხილავთ*

# საქართველო ჯოჯოხეთს იხილავს

## სლოვენიელებს ჰოლანდიელი მსაჯების ეშინიათ, მაგრამ მაინც გვემუქრებიან

დასაწყისი პირველ გვერდზე

რაც შეეხება თავად მატჩს, ლიუბლიანაში მისადმი ინტერესი ერთობ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ აფიშა-რეკლამები მაინცდამაინც ბევრი არ არის. კი, ბატონო, რამდენიმე ადგილას გამოფენილია ტრანსპარანტი, რომელიც სლოვენია — საქართველოს არსებობას იუწყება, მაგრამ მათი იერი გვაფიქრებინებს, რომ ორიოდ დღის წინ გამოუკრავთ. სამაგიეროდ, უხვად შეგხვდებათ უკვე საკმაოდ შელანძღული საკალათბურთო ევროლიგის აფიშები და ტარნსპორანტები. გასაგებია, რომ ლიუბლიანის „ოლიმპია“ ევროლიგაში ითამაშებს, მაგრამ ამ შეჯიბრების დაწყებამდე ლამის ერთი თვეა.

სამაგიეროდ, მოსახლეობას, მეტადრე კი ახალგაზრდობას, ერთთავად დღევანდელი მატჩი აკერია პირზე. მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს ნაკრების პირველ ვარჯიშს დაახლოებით ორასი მოზარდი დაესწრო. აქაურები თავის გუნდის გამარჯვებაში არიან დარწმუნებულნი. ვისაც არ უნდა ჰკითხო, მძღოლს, გამყიდველს, ბარმენს, ექიმს — ყველა ამბობს, თამაშზე მივალთო და თან იქვე დასძენენ, საქართველო კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენები გაიმარჯვებენო.

სლოვენიური პრესა კი გულშემატკივარზე გაცილებით კატეგორიულია. ამ მხრივ ყველაზე მეტად ყოველდღიური სპორტული გამოცემა „ეკიპა“ გამოირჩევა. ამ გაზეთის პარასკევის ნომრის პირველ გვერდს დიდი სათაური ამშვენებს: „საქართველო ბეზიგრადში ჯოჯოხეთს იხილავს!“ ბეზიგრადი ლიუბლიანის ის უბანია, რომელშიც ცენტრალური სტადიონია. მატჩი სწორედ იქ გაიმართება. ამასთან შედარებით „ფრაიბურგში“ ლევან ცქიტიშვილის და ლევან კობიაშვილის პარტნიორის, ამჟამად კი სლოვენიის ნაკრების ნახევარმცველის, მირან პავლინის ინტერვიუ საალდგომო ეპისტოლედ მოგეჩვენება. იგი აქებს ჩვენს გუნდს და ბოლოს აყოლებს, ვიცით, რა უნდა გავიყოთ და ისიც ვიცით, როგორ უნდა მოვიგოთო.

„ეკიპას“ მიაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს რაღაც „საიდუმლო იარაღი“ აქვს, კონკრეტულად რა, არ ამხელს (ნეტავ, ბოსკამპმაც თუ იცის ამ იარაღის შესახებ). გაზეთი მეტად კმაყოფილია იმით, რომ ლაუბლიანაში არ ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი და უძლიერესი მეგოლე (ასე ახასიათებენ) ზაზა ჯანაშია. მისი არყოფნა კიდევ უფრო ზრდის ჩვენს შანსებსო.

გუშინ სასტუმრო „უნიონში“ დღევანდელი მეტოქეების მთავარმა მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს, ოღონდ ისე, რომ ერთმანეთი არ უნახავთ. სლოვენიელთა თავკაცი სრეჩკო კატანეცი ქართველების მწვრთნელზე ნახევარი საათით ადრე გამოცხადდა. კატანეცმა დაადასტურა, რომ დღეს მის გუნდს დააკლდება ტრავმირებული მილანიჩი, ხოლო კოჭნატკენი ჯონი ნოვაკის თამაშს „თითქმის გამორიცხული“ უწოდა. კატანეცმა პროგნოზისგან თავი შეიკავა და თქვა, რომ სლოვენიამ ამ ციკლის საუკეთესო მატჩი საქართველოში ითამაშა და თუ ამჯერად მოგება სურს, საკუთარ თავს უნდა გადააჭარბოსო.

საქართველოს ნაკრებიდან პრესკონფერენციაზე ბოსკამპი, შოთა არველაძე და თემურ ქეცბაია მოვიდნენ. ჩვენებურთა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ იხილა სლოვენია — ალბანეთის მატჩი და დარწმუნდა, რომ საქმე ძლიერ მეტოქესთან აქვს. ჰოლანდიელმა სლოვენიელებს მეორე ტაიმში თამაში შეუქო და თქვა, სულაც არ მიკვირს, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი რომ გაქვთო. ბოსკამპის აზრით, სლოვენია ყველაფერს გაიღებს გამარჯვებისთვის, რათა პირდაპირ მოხვდეს ევროპის ჩემპიონატზე და დამატებითი მატჩი თავიდან აიცილოს. ბოსკამპმა ისიც ბრძანა, მართალია, საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის არავითარი შესაძლებლობა არა აქვს, მაგრამ ხვალ მაინც მოგებისთვის ვიბრძოლებთ, გაგვიჭირდება, მაგრამ მაქსიმუმს გავიღებთო. ჰოლანდიელმა საქართველოს ნაკრების სამი დიდი პრობლემა დაასახელა: ორგაფრთხილებიანი ნემსაძე-წერეთელი, თბილისიდან წამოყვანილი ტრავმირებულნი ქეცბაია-არჩილ არველაძე და მათ სიას ლიუბლიანაში მიმატებული გოჩა ჯამარაული.

ერთმა აქაურმა ჟურნალისტმა ჩვენებურთა მწვრთნელს ჰკითხა, „დინამოდან“ რომ წახვედით, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მალე ქვეყნის ნაკრებსაც დატოვებთო. იოჰან-მრისხანემ ბრაზიანად ჩაიბურდღუნა, ეს რა სულელური შეკითხვააო და ნაკრებში ჩემს სამომავლო მუშაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაეკითხეთო.

შოთა არველაძემ თქვა, რომ მართალია, საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან ვერ გადის, მაგრამ გუნდისთვის ეს მატჩი ერთობ მნიშვნელოვანია და ფეხბურთელები მხოლოდ მოგებაზე იფიქრებენ. თუმც იციან, რომ ძლიერი ოპონენტი ჰყავთ და ასეთი მეტოქის წინააღმდეგ თამაში სასიამოვნოცაა და საპატიოცო.

თემურ ქეცბაიამ წარსულის გახსენებით დაიწყო: „სლოვენიაში მეორედ ვარ. პირველად რამდენიმე წლის წინ გახლდით. მაშინ საბერძნეთის აეკ-ში ვთამაშობდი და ლიუბლიანის „ოლიმპიას“ 2:0 მოვუგეთ. კარგი იქნება, თუ ახლანდელი შეხვედრაც ამ ანგარიშით დასრულდება და ისევ იმ გუნდის სასარგებლოდ, რომელშიაც მე ვთამაშობ. ძალიან მძიმე მატჩი გველის, სლოვენიის ტიპის გუნდების წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ფავორიტებად დავიწყეთ, ყოველ შემთხვევაში, ბევრი მეორე ადგილის რეალურ კანდიდატებად გვასახელებდა... ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, ტურნირის დამთავრებამდე სამი მატჩით ადრე უშანსოდ დავრჩით. ახლა ეს სამი მატჩი მომავლის გუნდის ჩამოყალიბებისთვის უნდა გამოვიყენოთ. შეიძლება პირადად მე იმ გუნდში ვერ მოვხვდე, მაგრამ ჩემზე გაცილებით ახალგაზრდებისთვის სლოვენიასთან, ლატვიასთან და ალბანეთთან დარჩენილი თამაშები კარგი სკოლა იქნება“.

შეხვედრას ჰოლანდიელი მსაჯები — იან ვეგერეეფი, ჰანს ფუურმანი, იან ვან დაიკი და დიკ ვან ეგმონდი (მეოთხე) განსჯიან. იოჰან ბოსკამპმა თქვა, რომ მსაჯებს შეხვდა, ოღონდ მათ არ იცნობს. საიდან უნდა ვიცნობდე, მე ბელგიაში ვცხოვრობ და არა ჰოლანდიაშიო, დაამატა. შოთა არველაძე კი თურმე იცნობს ამ მსაჯებს, მაგრამ ახლოს — არა. სამაგიეროდ, მე და ბატონ ბოსკამპს გვიცნობენ ისინიო, იხუმრა შოთამ და პრესკონფერენციაც დამთავრდა.

ამასობაში ლამის მიგვავიწყდა და დაგვეჩაგრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მურთაზ ხურცილავას შეგირდებიც ლიუბლიანას ცენტრში, სასტუმრო „პარკში“ ცხოვრობენ. ჩამოსვლისთანავე მათ სიურპრიზი ელოდათ: სასტუმროში წყალი არ მოდიოდა. მიზეზი ავარია ყოფილა, რომლის შედეგები სასწრაფოდ აღმოფხვრეს და ჩვენს ბიჭებს წყალი მისცეს. ახალგაზრდები დღეს, სამ საათზე, ითამაშებენ „კოდელიევოს“ სტადიონზე. მათ შეხვედრას ლუქსემბურგელები განსჯიან.

„კოდელიევო“ ვახსენე. ეს გახლავთ სტადიონი, რომელიც სპორტკლუბ „სლოვანს“ ეკუთვნის და რომლის უკან განლაგებულია „სლოვანისვე“ საკალათბურთო დარბაზი. სწორედ აქ თამაშობს ოთხი ქართველი კალათბურთელი: ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე და ირაკლი კეიდია. ინტენსიური ვარჯიშების და საკონტროლო მატჩების მიუხედავად, ჩვენებური კალათბურთელები თვისტომ ფეხბურთელების ქომაგობას მაინც აპირებენ. ვლადიმერ ბოისა კი ლამის ნახევარ გუნდს შეეჭიდა, როგორ თუ ამბობთ, საქართველო წააგებსო. ვოვამ თანაგუნდელებთან მცირეოდენი სანაძლეოებიც დადო და ღმერთმა ნუ ქნას, წაგებულის გადახდამ მოუწიოს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

შოთა არველაძე კარგა ხნის მერე საქართველოს ნაკრებში ისევ ითამაშებს



ბადრი კეთილაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი და მისი თანაშემწეები ნაკრებსდატეხილმა ტრავმებმა შეაშფოთა

### გიო ხვედელიანის სვეტი

### მეოთხე კალათის ხალხი

საქართველოს ნაკრებს სამი შეხვედრა დარჩა ამ შემოდგომაზე და მორიგ შესარჩევ ციკლსაც მოამთავრებს. ეს ციკლი იმით თუ იყო განსხვავებული წინა შესარჩევი ტურნირებისგან, რომ ყოველ მათგანში ჩვენს ნაკრებს ჰქონდა თითო ისეთი თამაში, სიამაყით რომ დაამახსოვრდებათ გულშემატკივრებს. ვთქვათ, მოგება ბულგარელებთან და ფრე იტალიელებთან.

ამ ციკლშიაც შეიძლებოდა ერთი ასეთი მატჩის გახერხება (შინ ბერძნებთან), მაგრამ საბოლოოდ ის ლამის მოგებული შეხვედრა წაგებული გამოდგა.

ესეც რომ არა, ჯერაც მიმდინარე შესარჩევი ციკლი, ყველაზე უარესი გამოდგა საქართველოსთვის. აჰ, როგორ ვბრაზობდით ხოლმე ინგლისთან, იტალიასთან და გერმანიასთან რომ ვაგებდით. მაშინდელი თამაშის ხარისხი ამ ციკლის განმავლობაში სანატრელი იყო. შემადგენლობაც, რა თქმა უნდა. არადა, კენჭისყრის შედეგები რომ გამოცხადდა, აი, რა თანაბარი ჯგუფიაო, შანსი გაგვეზარდაო. თანაბარი ჯგუფის ვერაგობა კი ის არის, რომ რაც არ უნდა ითვალო და დაგეგმო, ვერ იფიქრებ, რომ ლატვიასთან უნდა წააგო.

ვის უნდა ჩვენში ეს თანაბარი ჯგუფი?

მგონი ისევ ის გვირჩევნია, რომ ე. წ. „მეოთხე კალათაში“ დავმკვიდრდეთ იმგვარი იღბლით, რომ სულ ძლიერ-ძლიერები შეგვხვდნენ და ძლიერიც არის და ძლიერიც. შეიძლება ითქვას, რომ ამ ციკლში სუპერ-ძლიერი არავინ დაგვჯახებია, ანუ დიდ საერთაშორისო ტელეარხებს ჩვენი თამაშები არ გადმოუციათ. ერთი, საბერძნეთში შეხვედრა იყო და მორჩა.

არადა, ყოველთვის დიდი ხმაურია ხოლმე როცა ჩვენს თამაშს დიდი ტელეარხი გადმოსცემს.

გვინდა თუ არა, ვმკვიდრდებით ისეთ გუნდად, რომლის თამაშსაც ორ წელიწადში ერთხელ დიდი ტელეარხი გადმოსცემს.

მეოთხე კალათის ხალხი... ფეხბურთი რა შუაშია? ქვეყანა ვართ მეოთხე კალათში და...

დღეს კი თამაშია, საქართველოს ტანჯული ნაკრები ლიუბლიანაში თამაშობს. სასურველი იქნებოდა, ოპტიმიზმით გასულიყო მოედანზე. იმის მიუხედავად, რომ დარჩენილი მატჩები შესარჩევ ამბავში ვერ მოგვეხმარება, საქართველოს სამივე მატჩის მოგება დიდად წაადგებოდა.

საშემოდგომო ფონი არცთუ სასიამოვნოა. ნაკრების მწვრთნელად დარჩენილ ბოსკამპს მომავალზე ლაპარაკი უყვარს. იმ დღესაც გააბა — ახალი ციკლისთვის მზადებას აქედანვე ვიწყებთო. ჩანს, ბოსკამპი არ ფიქრობს იმის გამო, რომ თანდათან იქცევა ყბადაღებულ კაცად და დღევანდელი ვითარების მიხედვით ძალიან ძნელი წარმოსადგენია ახალ ციკლში მისი ნაკრების სათავეში ხილვა.

თუმც, ყველაფერი იცვლება და ეგებ ქართულ ფეხბურთშიაც რაღაც ახალი გამოიკვეთოს, იმავ ბოსკამპის მიერ არაერთგზის ნახსენები სიტყვის, „მენტალიტეტის“ მხრივ.

მანამდე კი, ახალი ციკლისთვის კვლავ ვრჩებით მტკიცე მეოთხე კალათის ურყევ წევრად, რომლებსაც არ მოსწონთ მეოთხე კალათა, მაგრამ იმას იქეთ გზა არა აქვთ.



პანახაიკელი
გოდერძი ნატროშვილი



1994 წლის 18 ივნისი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კოლუმბიელი ადოლფო ვალენსია და რუმინელი გეორგე მიჰალი

# ვალენსიამ ქართველი გაგვინაწყენა

ვიდრე თურქულ „გალათასარაის" ქველმოქმედების მიზნით ეთამაშებოდა, თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქემ ბერძნულმა პაოკ-მა ქვეყნის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის 4 შეხვედრა გამართა.

სალონიკელებმა თავდაპირველად „პოსიდონას მიხანიონასის" ბარიერი დაძლიეს და სტუმრად დიდი ანგარიშით იმარჯვეს — 3:0.

ამის შემდეგ პაოკ-ს „პანახაიკის" მასპინძლობა ერგო. ეს გუნდი ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი. მის რიგებში გოდერძი ნატროშვილთან ერთად ბუბა ტყავაძეც ირიცხებოდა. თუმცა ბუბამ ნაადრევად დატოვა ქალაქ პადრეს კლუბი. აი, გოდერძიშვილი კი „პანახაიკის" ერთ-ერთი ლიდერი გახდა და შარშანდელ სეზონში ლომის წილი დაიდო, გუნდი უმაღლეს ლიგაში რომ აღზევდა.

რაც შეეხება სათასო შეხვედრას, პაოკ-მა 5:0 გაანადგურა პადრელები. ანგარიში მე-12 წუთზე მარაგოსმა გახსნა. ერთ წუთში ფრუსოსმა მეორე გოლი გაუტანა სტუმრებს — 2:0.

50-ე წუთზე თავი გამოიჩინა სალონიკელთა საბერძნეთის ნაკრების წევრმა, ფრანცესკოსმა. მანვე 7 წუთში თერთმეტმეტრიანის გაცუდებაც შეძლო.

ამის შემდეგ კი პაოკ-ის კოლუმბიელი ლეგიონერის, ადოლფო ვალენსიას ჯერი დადგა. ამ ფეხბურთელს, ვფიქრობ, გულშემატკივართათვის წარდგენა არ სჭირდება. იგი კოლუმბიური ფეხბურთის საუკეთესო თაობის წარმომადგენელია და თავის დროზე ისეთ სახელოვან ევროპულ კლუბებში თამაშობდა, როგორიცაა მადრიდის „რეალი" და მიუნხენის „ბაიერნი". ჰოდა, სწორედ თავდამსხმელმა ვალენსიამ ორჯერ — 75-ე და 90-ე წუთებზე დალაშქრა „პანახაიკის" კარი.

პაოკ-მა სათასო ჯგუფის კიდევ ორ წარმომადგენელთან ქულათა მაქსიმუმის აღება შეძლო. სტუმრად დაამარცხა „ნიკი ვოლოუ" — 2:0. ამავე ანგარიშით შინ სძლია „ნახოსს" და ახლა 12 ქულით ლიდერობს, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია.

როგორც ხედავთ, თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქე ხელწამოსაკრავი გუნდი არაა, ყოველ შემთხვევაში, საბერძნეთის მასშტაბით. მის რეალურ ძალას კი 16 სექტემბერს საკუთარი თვალით ვიხილავთ, ისევე, როგორც კოლუმბიელ ადოლფო ვალენსიას.

**ხვიჩა სანიძიძე**

# პაოკი სიკეთეს თესავს და სათბილისოდ ემზადება

თურქეთში მომხდარი საშინელი მიწისძვრის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო, გულთან ახლოს მიიტანა ეს უბედურება და დაზარალებულებს დახმარება აღმოუჩინა. ამ საქმეში პირველობა კი მეზობელი სახელმწიფოს, საბერძნეთის მაცხოვრებლებმა ითავეს. მიუხედავად ორი ქვეყნის არასახარბიელო პოლიტიკური ურთიერთობებისა, ელინელებმა არ მიატოვეს გასაჭირში ჩავარდნილი თურქები, ფიზიკურად და მორალურად მათ გვერდით დადგნენ. საბერძნეთის მთავრობამ ფინანსური მხარდაჭერაც აღუთქვა მეზობლებს. სხვებთან ერთად ვალში არც საფეხბურთო სამყარო დარჩენილა.

უეფას თასზე თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქემ, ბერძნულმა პაოკ-მა, საქველმოქმედო ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად თურქეთის ჩემპიონს — „გალათასარაის" გაუგზავნა მიწვევა, თანაც შეუთვალა, მატჩზე შემოსულ მთლიან თანხას მიწისძვრისგან დაზარალებულების დახმარების ფონდში გადავრიცხავთო. აბა, ასეთ კეთილშობილურ წინადადებაზე რომელი კლუბი იტყოდა უარს. თუმცა მავანმა შეიძლება იკითხოს, „გალათასარაის" ტკივილი გასაგებია, მაგრამ რაღა მაინცდამაინც სალონიკის პაოკ-მა გამოიჩინა ასეთი გულისხმიერებაო. ვინც 28 აგვისტოს „სარბიელი" წაიკითხა, ამის ახსნა არ გაუჭირდება. ეს ბერძნული გუნდი სალონიკში სწორედ სტამბოლიდან წასულმა ემიგრანტებმა დააარსეს. ჰოდა, თურქეთის დედაქალაქიდან გადახვეწილები, ეტყობა, დღემდე ვერ ივიწყებენ იქაურ მიწაში გადგმულ ფესვებს, რომელიც მიწისძვრამ ძლიერი ბიძგებით შეარყია.

პაოკ-ი — „გალათასარაის" შეხვედრას საქველმოქმედოსთან ერთად წმინდა სპორტული და, თუ გნებავთ, პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ორივე გუნდი ევროსარბიელზე საასპარეზო მზადებაშია და მორიგი სპარინგმატჩი არც ერთს არ აწყენდა.

ამხანაგური დაპირისპირება ხუთშაბათს სალონიკის 41-ათასიან „ტუმბასის" სტადიონზე შედგა. თურქეთის ჩემპიონები მოედანზე შავი სამკლაურებითა და პლაკატით გავიდნენ, რომელზეც ეწერა — მადლობა ბერძენ ხალხს ჩვენი ტკივილის გაზიარებისთვის!

შეხვედრა, რომელსაც 17 ათასი ბერძენი გულშემატკივარი დაესწრო, „გალათასარაის" გამარჯვებით დასრულდა — 2:0. ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული 100 ათას დოლარამდე თანხა კი მიწისძვრისგან დაზარალებულებს გაეგზავნათ.

მატჩის შემდეგ მასპინძლებს გულთბილად მიესალმა თურქული კლუბის პრეზიდენტი ფარუკ სურენი. პაოკ-ის ჟესტმა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობა საგრძნობლად გააუმჯობესაო — იტყობინება სააგენტო „როიტერი".

და კიდევ. თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქის შემადგენლობაში 31-ე ნომრით ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ომარ თეთრაძემ ითამაშა, თანაც მეტად აქტიურად.

**ხვიჩა სანიძიძე**



REUTERS

პაოკ — „გალათასარაი" 0:2. თურქი საფეტ აიუზი (მარჯვნივ) ბერძენ დიონისიოს ხასიოტისთან ორთაბრძოლაში

# ჰამლეტი: ყოფნა თუ არყოფნა

ვინ მოთვლის, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სერ უილიამ შექსპირმა სულგანათლებულ დანიელ პრინცს, ჰამლეტს ყოფნა-არყოფნის შესახებ მარადიული კითხვა დაასმევინა.

იმ ჰამლეტის მოსვლამდე არაფერი ეტკინა და ყოფნა-არყოფნის საკითხი ქართველი ჰამლეტის — წივწივაძის წინაშეც დადგა მთელი თავისი დიდებულებით.

მართალია, ეს „ის" ჰამლეტი არ არის, მაგრამ არც „ეს" ყოფნა-არყოფნაა „ის" ყოფნა-არყოფნა. საქმე ჰამლეტ წივწივაძის „ლოკომოტივში" ყოფნა-არყოფნას, ანუ ფეხბურთელის შემდგომ კარიერას ეხება.

„სარბიელის" მკითხველისთვის ცნობილია, რომ ჰამლეტ წივწივაძე რკინიგზელთა გუნდში შარშან, მეათე ეროვნულის მეორე წრისთვის გადავიდა. მანამდე იგი ფოთში იყო და კარგადაც — პირველი წრის შემდეგ არა მხოლოდ „კოლხეთის", ჩემპიონატის ბომბარდირიც გახლდათ თერთმეტი გატანილი ბურთით.

„ლოკომოტივში" მთლად ისე ვერ აეწყო საქმე, როგორც ფეხბურთელს სურდა. მერე ხელმძღვანელებმა რკინიგზელებს მწვრთნელიც შეუცვალეს და თემურ მახარაძის მაგივრად „ლოკომოტივი" მურთაზ ხურცილავას ჩააბარეს. ხურცილავამ თან ახალი ფეხუბრთელები მიიყვანა და ისედაც მძაფრი კონკურენცია უარესად გამძაფრდა და გამწვავდა.

კონკურენციას აბა რა სჯობს, მით უმეტეს, თუ ფეხბურთელი სხვებთან თანაბარ პირობებში ამტკიცებს თავის კლასს და სიძლიერეს, მაგრამ...

ყოველივე [illegible] კუნთის ტრავმამ გაარ[illegible] რომელიც წივწივაძემ სეზონის დაწყებამდე მიიღო. მის მკურნალობას ოციოდე დღე მოუნდა ფეხბურთელი, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაეკარგა.

სწორედ ამ მიზეზის გამო გადაწყვიტა ჰამლეტმა გუნდიდან წასვლა. მას რკინიგზელებთან კონტრაქტი მაისში გაუთავდა, თუმცა სხვაგან გადასვლა დღემდე ვერ მოახერხა სატრანსფერო ფურცლის უქონლობის გამო. ეს ფურცელი კი „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა უნდა მისცენ ფეხბურთელს.

აი, ჰამლეტ წივწივაძე რომ „ის" ჰამლეტი ყოფილიყო (დანიის მოქალაქე), მასზე ელემენტარულად „ბოსმანის წესი" გავრცელდებოდა და იგი, როგორც თავისუფალი აგენტი, უპრობლემოდ დატოვებდა „ლოკომოტივს".

„სარბიელი" საკითხში გასარკვევად რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასაც დაუკავშირდა, საიდანაც ასე გვაცნობეს — წივწივაძის საკითხს უშუალოდ ფეხბურთელთან და მწვრთნელთან საუბრის შემდეგ გადავწყვეტთო.

ასე რომ, მარადიული ჰამლეტური საკითხი „ყოფნა-არყოფნის შესახებ" არც „ლოკომოტივში" გადაწყვეტილა.

**კონსტანტინ გოგიშვილი**



ჰამლეტ წივწივაძე

# აეკის სამი იოლი

შვედურ აიკ-თან უბედურად შეყრა-გაყრის მერე ბერძნულმა აეკ-მა უკვე ორი მატჩი გამართა.

ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქემ 30 აგვისტოს საბერძნეთის თასის პირველ ეტაპზე „ათინაიკოსს" 3:0 მოუგო. გოლები 4000-მდე მაყურებლის თვალწინ დემის ნიკოლაიდისმა (5, 30) და სოტირის კონსტანტინიდისმა (59) გაიტანეს.

აეკ-მა კარგად ითამაშა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ძალიან კარგად. ათენელებს აშკარად ეტყობოდათ აიკ-თან მარცხის კვალი, რის მერეც ბერძნები ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას დაემშვიდობნენ და უეფას თასზე გადაინაცვლეს.

იმ სამ გოლს შორის, რომლებიც აეკ-მა „ათინაიკოსს" გაუტანა, კიდევ არაერთი მომენტი შეიქმნა. აღსანიშნავი ტონი სავევსკის ძელსგარტყმული გახლდათ, რომლითაც მან აიკ-თან დაწყებული სერია გააგრძელა.

აეკ-ის შემადგენლობა ასეთი იყო: ატმაციდისი, კოპიცისი, დელასი (კალიცაკისი), პეტრიჩი (კოსტენოღლუ), კასაპისი, მარკოსი, ზიკოსი, ჩირიჩი, სავევსკი (გრეტარსონი), ნიკოლაიდისი, კონსტანტინიდისი.

„ათინაიკოსამდე" აეკ-მა „აიგალეოს" და „კარდიცას" ერთნაირად 6:1 მოუგო და ახლა „ტრიკალასთან" ერთად, რომელსაც კვირას სტუმრობს, თასის გათამაშების ექვსგუნდა ჯგუფის ლიდერია.

„აიგალეოს" ბიეკოვიჩმა, ჩირიჩმა (3), ნიკოლაიდისმა და მარკოსმა გაუტანეს, „კარდიცას" კი პეტრიჩმა, მარკოსმა, ბიეკოვიჩმა და ჩირიჩმა (2). ერთი გოლი კარდიცელებმა საკუთარ კარში შეაგდეს.

გუშინწინ „ტორპედოს" მეტოქემ ამხანაგურ მატჩში 3:2 „კალიტეა" დაამარცხა. ამჯერად აეკ-ის სერბმა მწვრთნელმა ლიუბიშა ტუმბაკოვიჩმა ძირითადად გუნდის სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელები გამოსცადა: მიხალიდისი, კაცავოსი (კავაზისი 67), პეტრიჩი (კალიცაკისი 46), კაპსისი (კლატაკისი 67), დელასი, გრეტარსონი, პასიოსი, მარკოსი (მილოვანოვიჩი 46), კოპიცისი, კოსტენოღლუ, მალდენისი.

საბერძნეთის ჩემპიონატი 12 სექტემბერს იწყება. პირველ ტურში აეკ-ი პაოკ-ს სალონიკში სტუმრობს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# აცალეთ, ბატონო!

ᲐᲑᲐ, სექტემბერში გამოცდები ვის გაუგია, გამოცდა ხომ სასწავლო წლის ბოლოსაა — ცოდნა-გამოცდილების შეფასების უტყუარი საშუალება. თუმცა რა, მთელი ცხოვრება გამოცდა არ არის? ხანდახან მიკვირს კიდეც, კაცი, რომელსაც გამუდმებით ცდის წუთისოფელი, როგორ ახერხებს სწავლას, მაგრამ ეს უკვე სხვა გამოცდაა, დიდი, ცხოვრებისეული, რომელიც აქეთ გვასწავლის... სათქმელს რომ არ გადავუხვიო, პირდაპირ გეტყვით — სწავლა-განათლებაზე საუბარი სექტემბრის ეშხით არ დამიწყია, მორიგი გამოცდების დრო უდგას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, კონკრეტულად, სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილებას. ჰოდა, ამ წერილის დაწერაც ამან გადამაწყვეტინა.

არა მგონია, ბევრი შემომედავოს — ჩემი აზრით, ეს განყოფილება ერთ-ერთი კვალიფიციური და სანიმუშოა სფფ-ში. ფედერაციის ბოლო ყრილობის შემდეგ ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანოს დიდი სტრუქტურული ცვლილებების დრო დაუდგა. ბუნებრივია, შეიცვალა სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილების ხელმძღვანელობა, მოვიდა ახალი ხალხი, ახალი იდეებით, საქმის კეთების სურვილით... თუმცა ყოველთვის ასეა — თავიდან ყველა ხელებს იკაპიწებს, მაგრამ მერე ენთუზიაზმი სადღაც ქრება. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისებიც და მოდით, რაც კარგი აქვს სფფ-ს, ნუ დავუკარგავთ.

— საქართველოში მსაჯობის ხარისხი, დიდი პოტენციის მიუხედავად, საოცრად დაბალია. დიდი ძალისხმევა გვმართებს პრობლემების აღმოსაფხვრელად და მზად ვარ, ჩემი ცოდნა-გამოცდილება ქართული ფეხბურთის კეთილდღეობას მოვახმარო — ეს სიტყვები ანატოლი მილჩენკომ სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილების სათავეში მოსვლის შემდეგ თქვა. ჩვეულებრივი, ახალდანიშნული ხელმძღვანელის ნათქვამი იყო, მაგრამ მილჩენკო საქმეს შეუდგა. გაუთავებელი



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ანატოლი მილჩენკო

გამოცდები, მსაჯ-ინსპექტორთა შეკრებები, თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები, ყოველივეს კი რაც მოჰყვა, თქვენც კარგად იცით. გული დაგეწვებოდათ შავოსანთა ხილვისას ნორმატივების ჩაბარების დროს — სიქაგამძვრალ, ერთმანეთის მკლავებზე გადაკიდებულ, ფინიშის ხაზისკენ მაცქერალ არბიტრებს დროდადრო შპრიცმომარჯვებული ექიმები ასულიერებდნენ. შეგებრალებოდათ მსაჯები, მართლაც ძალიან ცუდი სანახავი იყო ყოველივე, მაგრამ, ამავე დროს საჭირო. მილჩენკო უფრო და უფრო უჭერდა მარწუხებს შავოსნებს, ბევრი მათგანი დაიწუნა და მომავალ გამოცდებამდე საყვარელ საქმესაც ჩამოაშორა. ესეც საჭირო იყო, შედეგიც უმალ გამოჩნდა — გაზულუქებულმა მსაჯებმა პასუხისმგებლობა იგრძნეს და საქმესაც მეტ-ნაკლებად სერიოზულად მოჰკიდეს ხელი.

წერილის თავში რომ გამოცდა ვახსენე, ორიოდე დღის წინ მოეწყო სფფ-ში. ეს გამოცდა მილჩენკომ ინსპექტორ-დელეგატებს ჩაუტარა. ჩვეულებრივი, რიგითი გამოცდა იყო, წინამორბედებისგან ბევრად არაფრით განსხვავებული. თხუთმეტიოდე კაცი შეირჩა პირველი ლიგის მატჩების გასაკონტროლებლად. მთავარმა გამომცდელმა მათ სათანადო ინსტრუქციები ჩაუტარა, მერე კი მეორე ჯგუფის ინსპექტორებისთვისაც მოიცალა, თეორიული ცოდნა შეუმოწმა და თავშეყრილნიც მშვიდად დაიშალნენ.

მილჩენკოს ხელი დელეგატებსაც დაეტყოთ. ცოდვა გამხელილი სჯობს და ზოგჯერ ის, რაც ჩვენ არ გვინახავს და გვსმენია სტადიონზე, მათ დაუნახავთ, მოუსმენიათ და დაუფიქსირებიათ. იქნებ მცირე ნიუანსია, მაგრამ ხშირად შევსწრებივარ, როგორ გაუშლია ხელი მატჩის შემდეგ მასპინძელთა წარმომადგენელს, უკმაყოფილოს იმით, რომ სტუმარმა, შეხვედრის დელეგატმა, ტრადიციულ ქართულ სუფრაზე ხელი უკრა და საჩქაროდ თავის მანქანას მიაშურა. ამას, თუ გნებავთ, პრინციპი დაარქვით, მაგრამ მილჩენკოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ვინ იცის, იქნებ ასეც სჯობდეს.

ბუნებრივია, იკითხავთ, ეს დალოცვილები ამდენს თუ ცდილობენ და აკეთებენ, მაშინ რად აკრიტიკებთ ასე ხშირადო. იკითხავთ და არცთუ უსაფუძვლოდ. თავში ნათქვამს ვიმეორებ და ერთსაც დავამატებ — ეს განყოფილება ერთ-ერთი კვალიფიციური და სანიმუშოა სფფ-ში, მაგრამ შედეგი არ არის ეფექტური და არც შეიძლება იყოს. რატომ?

ჯერ ერთი, მსაჯობის საერთაშორისო [illegible]ვდეთ. საკითხს მასშტაბურად უნდა მივუდგეთ. ერთი და ორი კაცის გაკეთებულ-საკეთებელი სხვამაც უნდა დაინახოს და შეძლებისდაგვარად გაითავისოს. მეორე: მილჩენკოს რეფორმები მწარე შოლტივით მოხვდა ჩვენს მსაჯებს და ნათლად გამოჩნდა, რომ შავოსნებს დამახინჯებული სამსაჯო მენტალიტეტის შეცვლა მოუწევთ, ამ პროცესს კი გარკვეული დრო სჭირდება. მესამე მიზეზი კი, მართალია, აქტუალურად არ დამდგარა დღის წესრიგში, მაგრამ საამისო ტენდენცია უკვე შეინიშნება. სამსაჯო-საინსპექტოროში მალე ნაღმი გასკდებაო, ამბობენ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ახლახან ანატოლი მილჩენკო ფედერაციის გენერალურ მდივანთან, ვალერი ჩოლარიასთან შევიდა მოთხოვნით, ან მუშაობის საშუალება მომეცით, ანაც სამ დღეში განთავისუფლების ფურცელს გაახლებთო. საქმეში მერაბ ჟორდანია ჩარეულა და ჯერჯერობით ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარებულა. ისიც შევიტყვეთ, რომ მილჩენკოს პრობლემები სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილებას არ სცილდება. გამოდის, წყალიც ახლომახლო იმღვრევა. რატომ? რის გამო? მილჩენკომ ცოტა ხნის წინ მწვავე ინფარქტი გადაიტანა (ყოველივე ისევ და ისევ სამსახურეობრივ საქმიანობას უკავშირდება) და გამოჯანმრთელებისთანავე ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდა. მავანნი კი, ნაღმი გასკდება, ამას წყალი არ გაუვაო, ამტკიცებენ. ნაღმის აფეთქების ლოდინს არ სჯობს, ამ კაცს სამუშაო პირობები შეუქმნან? მეტს არც ითხოვს — ოღონდ საქმის კეთებაში ხელს ნუ შემიშლითო. ჰოდა, აცალეთ, აკეთოს საქმე.

ᲑᲐᲐᲢᲐ ᲫᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

# მაშ, რიოში სტუმრობა ნუ გგონიათ ხუმრობა

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მწვრთნელები რომ ლამის მარკო პოლოებად გვექცნენ, სიახლე არავისთვისაა. რუსეთი რას გვიქვია, როცა ბელგია და გერმანია, იტალია და კინაღამ ინგლისიც აღარ უკვირთ ქართველ ფეხბურთელთა დამრიგებლებს. ამ ქვეყნებიდან ზოგან გუნდებს წვრთნიდნენ (და წვრთნიან) ქართველები, ზოგანაც სტაჟირებაზე დადიან და იქაური სკოლების მდიდარ გამოცდილებას ეზიარებიან ხოლმე.

ამიტომაა, კიოლნსა და კოვერჩანოს ისევე ხშირად გაიგონებ კაცი ქართულ სპორტულ ამბებში, როგორც მარტვილსა და ზესტაფონს.

და აი, ახალი სახელიც (ვისთვის და როგორ) ქართული სტაჟიორების საფეხბურთო რუკაზე — რიო დე ჟანეირო.

სულ მალე კარნავალების დედაქალაქში გაიმართება მწვრთნელთა გადამზადების ოცდახუთდღიანი კურსები, რომელზეც სხვა მოხალისეებთან ერთად რვა ქართველი მწვრთნელიც გაივლის. აღსანიშნავია, რომ კურსებს მსოფლიო ფეხბურთის თვალსაჩინო სპეციალისტები ჩაატარებენ. კურსები ფასიანია, ერთი მსმენელის გადამზადება დაახლოებით 2 500 დოლარი ჯდება და მისი გავლის შემდეგ მას ეძლევა სპეციალური სერთიფიკატი, თავისი საერთაშორისო დონის ლიცენზიითა და რამერუმეებით.

რიოს კურსები რაღაცით ქართულ ფასიან სასწავლებლებსაც ჰგავს — მისი მოსმენა და სერთიფიკატის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული თანხის გადახდა შეუძლია. აქედან გამომდინარე, სფფ იზრუნებს, რათა ბრაზილიაში მოხვდეს რვა ქართველი მწვრთნელი და არა, ვთქვათ, რვა ქართველი ჟურნალისტი.

მოგეხსენებათ, საქართველოში ჟურნალისტსა და მწვრთნელს შორის ის განსხვავებაა, რომ ჟურნალისტი ლანძღავს და მწვრთნელს ლანძღავენ.

ამიტომაც არა გვგონია, ქართულ მასმედიაში გამოჩნდეს კაცი, რომელიც 2 500 დოლარს გადაიხდის... რათა მერე ყველგან და ყველამ ლანძღოს.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# თარგამაძით და უმაისურაძეოდ

ᲒᲐᲡᲣᲚ კვირას „სამგურალი“ — „არსენალის“ მატჩის გამართვა სათუო გახლდათ. როგორც 28 აგვისტოს „სარბიელში“ ვიუწყებოდით, არმიელები წყალტუბოში გამგზავრებას არ აპირებდნენ. მიზეზი ალბათ გახსოვთ — სანამ კლუბის ხელმძღვანელობა კუთვნილ გასამრჯელოს არ გადაგვიხდის, სათამაშოდ გამსვლელები არ ვართო — თქვეს ფეხბურთელებმა და მტკიცედ გადაწყვიტეს, სიტყვა შეესრულებინათ.

„არსენალის“ თავკაცობაც იძულებული გახდა, თანხები გამოენახა და დავალიანების ნაწილი მაინც გაესტუმრებინა. როგორც შევიტყვეთ, მთლიანად დაუფარავთ გასული ჩემპიონატიდან შემორჩენილი ვალი, ხოლო ახლანდელს სექტემბრის პირველ ნახევარში გადაგიხდითო — პატიოსანი სიტყვა მიუციათ გენერლებს.

„არსენალიც“ 29 აგვისტოს წყალტუბოს ეწვია და მატჩის დებიუტშივე გაშვებული გოლის წყალობით 0:1 დამარცხდა, რითაც არმიული კლუბის ხელმძღვანელობას დამატებითი ვალი (პრემიის სახით) აიცილა თავიდან.

„სამგურალთან“ მატჩი გამოტოვა „არსენალის“ ახალწვეულმა ირაკლი თარგამაძემ, რომელიც „დინამოსთან“ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ მინდორზე. მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე იგი მოიწამლა. თარგამაძე დღემდე ვერ მომჯობინებულა, თუმცა სამ-ოთხ დღეში შეუდგება ვარჯიშს და სავარაუდოდ 12 სექტემბერს „თბილისის“ წინააღმდეგაც შეძლებს თამაშს. თარგამაძესგან განსხვავებით, „თბილისთან“ ვერ ითამაშებს მუხრან მაისურაძე, რომელსაც „სამგურალთან“ მატჩის მე-14 წუთზე მკლავი ამოუვარდა და ახლა გარკვეულ ხანს დასვენება მოუწევს.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

# ყიზილბაშები, ყიზილბაშები!

ᲔᲒᲠᲔᲐ, ძმაო! ქართველებმაც ვისწავლეთ ჭკუა — როცა საქმე ფულს და ბიზნესს ეხება, არც ნამეტანი ნდობა ვარგა და არც ნამეტანი უნდობლობა.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, საერზურუმსფოროდ გამზადებული გიორგი კიკნაძე ჯერაც თბილისშია და წინასწარი მოლაპარაკების მიხედვით თითქმის გამზადებულ კონტრაქტს, აგერ უკვე ორი კვირაა, მხარეთა ხელის მოწერა აკლია.

ამას კი ისევ და ისევ ნდობის (თუ უნდობლობის) ფაქტორი განაპირობებს. თბილისის „დინამო“ არც იმდენად ენდობა თურქებს, რომ კიკნაძე „ერზურუმსფორში“ ფულის წინასწარ გადმოურიცხავად გაუშვას და არც იმდენად უნდობელია, რომ საერთოდ არ გაუშვას ერზურუმში ფეხბურთელი.

ამასობაში კი ძვირფასი დრო გადის. კიკნაძე იმ ასაკშია, როცა ფეხბურთელის რაობა, მისი მომავალი წყდება. ამდენად უგუნდოდ ყოფნას, უვარჯიშებლობას მეტად ცუდი შედეგის მოტანა შეუძლია გიორგისთვის. მით უმეტეს, ავადმყოფობამ, „რასინგ მეხელენმა“ და ბელგიურმა სიტუაციამ, ეროვნული ჩემპიონატის დაბალმა დონემ ისედაც საკმაოდ აზარალა კიკნაძის კარიერა.

ახლაც, თითქოს აღარაფერი აკლია თურქულ ტრანსფერს, მაგრამ ჯამარაულისა და „ტრაბზონსფორის“ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, თბილისის „დინამო“ თავისაზე დგას — ჯერ ფული გადმოგვირიცხონ და სატრანსფერო ფურცელსაც მერე მიიღებენო თურქები.



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

გიორგი კიკნაძე ჯერაც დინამოელია

ასე რომ, ყიზილბაშებო, თქვენი მოსატყუებელი კბილი კარგა ხანია, მოვიცვალეთ.

ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲕᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑ ᲐᲜ ᲕᲧᲘᲓᲘ
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23

# საჭირო კაცი, საჭირო დროს




REUTERS ნიუკასლიდან

ბობი რობსონმა სამშობლოში დაბრუნებით გაიხარა

„ნიუკასლის" სათავეში მრავალნაცადი ბობი რობსონის მოსვლას მთელი საფეხბურთო ინგლისი ეხმიანება. ბიშემ ებიში, სანაკრებო წვრთნაზე მყოფ კევინ კიგანსაც გამოუთქვამს თავისი აზრი ამ სიახლის გამო.

კიგანი ხომ სწორედ ის კაცია, ვინც პირველი დივიზიონიდან ამოათრია კაჭკაჭები და მუდმივად პრემიერლიგის სამეულში ამყოფებდა. ორი წლის წინ კი, კიგანის გადადგომის შემდეგ კლუბის თავმჯდომარე სერ ჯონ ჰოლი სწორედ რობსონს მოიაზრებდა მის შემცვლელად.

„საჭირო კაცი, საჭირო დროს", ასეთი იყო კიგანის სიტყვები, „რობსონი თავადაც ჯორდია და ამიტომ სულ სხვაგვარად ესმის ამ გუნდისა. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. მე არ ვამბობ, რომ კენი დალგლიშს და რუდ გულიტს არ ესმოდათ. მაგრამ ჯორდი რომ ჯორდებში მიდის სხვაა. ეს ძალიან დიდი პლუსია".

რობსონი კი, განუწყვეტლივ იმეორებს, რომ დიდი ამბიციითა და ენთუზიაზმით იწყებს ახალ საქმეს. თავადაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში შობილი, წმინდა სისხლის ჯორდი, რობსონი ამბობს, რომ ბიჭობიდან ქომაგობდა „ნიუკასლს" და ახლაც ჟრუანტელი უვლის შავთეთრი ფორმის ხილვისას.

კიგანი კი იხსენებს: „როცა ნიუკასლში გადავედი სათამაშოდ, მან წარმატება მისურვა. მართალია, მალევე დამითხოვა ნაკრებიდან, მაგრამ ალალად მითხრა, გულით მსურს ბედნიერი იყოო. მეც იგივეს ვეტყვი, ილბალი იყოს მასთან და ჩემთვის დღემდე ძვირფას გუნდთან".

თავად ახლადდანიშნული კი სამუშაოდაა ანთებული და თავის გამოცდილებასაც შეგვახსენებს: „ზურგსუკან ტონობით ნამუშევარი მაქვს. „ბარსელონაშიც" ვყოფილვარ და სხვაგანაც. „ნიუკასლი" ბოლოშია და დაუყოვნებელი გამარჯვებები გვჭირდება. ეს გამოწვევაა, მაგრამ მე არ მეშინია. ყველაფერი ჩვენს ხელშია და საპანიკო არაფერია. გუნდის შესაკრავად დიდი ფული დაიხარჯა. მე ვუკვირდები. ყველაფერს ერთად ნულიდან ვიწყებთ. ასე გაირკვევა..."

ასე რომ, ძია ბობი იწყებს.

# გომესის კვალიფიკაცია დაიწუნეს

ეგონება „მალიორკას" ცუდი სტარტი არ ეყოფოდაო, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა, რომ გუნდის არგენტინელ მწვრთნელს, მარიო გომესს ქვეყნის პრიმერა დივიზიონის კლუბში მუშაობისთვის საკმარისი გამოცდილება არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ გომესის ხელმძღვანელობით მალიორკელებმა ახალდაწყებულ ჩემპიონატში ორივე თამაში წააგეს და ვერც ჩემპიონთა ლიგაში შევიდნენ — ნორვეგიულმა „მოლდემ" აჯობა.

რაც შეეხება არგენტინელი მწვრთნელის კვალიფიკაციას, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის კანონების თანახმად ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე არ არის და პრიმერა დივიზიონში აპირებს მუშაობას, უმაღლესი დონის გუნდებში სულ მცირე საშწლიანი გამოცდილებით უნდა იყოს მდიდარი.

გომესი, რომელმაც „მალიორკას" სათავეში თანამემამულე ჰექტორ კუპერი შეცვალა, ბალეარის კუნძულის გუნდში მისვლამდე სამშობლოში, „ფერო კარილ ოესტესა" და „ატლეტიკო ლანუსში", ჯამში ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა, მაგრამ ესპანელებმა გამოიკვლიეს, რომ ამ დროიდან მთავარი მწვრთნელის რანგში მას მხოლოდ 18 თვე აქვს გატარებული.

ფედერაციის გადაწყვეტილება „მალიორკისთვის" ერთობ სერიოზული დარტყმა უნდა იყოს. რამეთუ სეზონის დაწყებიდან ერთი თვეც არ არის გასული, მას კი უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავს საძიებელი.

# სფორცას რეჰაგელი აღარ მოსწონს

შვეიცარიის ნაკრებისა და გერმანიის ექსჩემპიონის, „კაიზერსლაუტერნის" ნახევარმცველი ჩირიაკო სფორცა გუნდის თავკაცის, ოტო რეჰაგელის კრიტიკისთვის 30 ათასი მარკით დაჯარიმდა.

სფორცას მწვრთნელის ტაქტიკური სქემა არ მოსწონს და საერთოდ, ფეხბურთელებთან ურთიერთობის მეთოდი.

შვეიცარიელის საქციელი მოულოდნელია, რადგან ცნობილია, რომ იგი რეჰაგელის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი გახლდათ.

ამის გამო „კაიზერის" ხელმძღვანელობამ მისი გუნდიდან გაშვება გადაწყვიტა. კლუბის განცხადებით, როგორც კი რაიმე სერიოზული წინადადება გამოჩნდება, სფორცა გაიყიდება. სეზონის დასაწყისში მისადმი დიდ ინტერესს იჩენდა დორტმუნდის „ბორუსია", მაგრამ შემდეგ თანხაზე შეუთანხმებლობის გამო მოლაპარაკებები შეწყდა.

თავად ფეხბურთელი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს. 29 წლის სფორცა „კაიზერში" 1997 წელს მილანის „ინტერიდან" გადავიდა და გუნდის გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო.

ამპლუით ნახევარმცველს თავისუფლად შეუძლია ლიბეროს პოზიციაზე თამაშიც. მანერით იგი ძალზე წააგავს გერმანელ ფეხბურთის ვეტერანს ლოთარ მათეუსს.

მათეუსს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა „ბაიერნში" წლის ბოლომდე დარჩენა, ხოლო შემდეგ ამერიკის უმაღლეს საფეხბურთო ლიგის კლუბ „მეტროსტარში" თამაში, შეიძლება ვადამდე ადრე მოუწიოს მიუნხენის დატოვება.

ნიკა შუბლაძე



ჩირიაკო სფორცა

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანური „ბარსელონას" ფრანგი მცველი, ფრედერიკ დეუ საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ დაშავებული ალან ბოგოსიანის მაგივრად გამოიძახა. ბოგოსიანი, რომელიც იტალიაში, კერძოდ „პარმაში" თამაშობს, დღეს, კიევში, უკრაინის ნაკრებთან უეჭველად ითამაშებდა, ვარჯიშზე კუნთი რომ არ გაეჭიმა. მიუხედავად ამისა, ბოგოსიანი, ალბათ, მაინც გაჰყვება გუნდს მოგზაურობაში, რომლის მეორე თამაში პარმელი ფეხბურთელის ისტორიულ სამშობლოში, სომხეთში ადგილობრივ ნაკრებთანაა დანიშნული. ორივე შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი გახლავთ. რაც შეეხება დეუს, მას როჟე ლემერის გუნდში თამაშის გარკვეული გამოცდილება აქვს: ოთხშაბათს, გერმანიის ქალაქ კარლსრუეში საფრანგეთის B ნაკრების შემადგენლობაში გერმანელთა შესაბამის გუნდს ეთამაშა, ხოლო აგვისტოში, ბელფასტში გამართულ ჩრდილო ირლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაში შემცვლელად შეუშვეს. იმ შეხვედრაში ფრანგებმა 1:0 მოიგეს. ფრედერიკ დეუ ადრე „ლანსის" კაპიტანი გახლდათ, მას როგორც დაცვის ცენტრში, ასევე ნახევარდაცვაში ეხერხება თამაში.

**პორტუგალიურმა „ბენფიკამ"** თავისი უცხოელი ფეხბურთელები სკოლაში მიაბარა. კლუბის პრეზიდენტს, ჟოაო ვალე ე აზევედოს სურს თავის გერმანელ მწვრთნელს, იუპ ჰაინკესსა და 11 უცხოელ მოთამაშეს პორტუგალიური ასწავლოს. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ერთობ ლოგიკურია, ვინაიდან ლისაბონელთა გასახდელში ენობრივი ბარიერი ერთობ სერიოზულ როლს თამაშობს. იგივე პრობლემის წინაშე იდგა გუნდის წინა, შოტლანდიელი მწვრთნელი გრემ სუნესი, რომლის მოღვაწეობაც სეზონის დამთავრებამდე თანამდებობიდან განთავისუფლებით დასრულდა. სუნესის ერთ-ერთი უმთავრესი თავის ტკივილი სწორედ პორტუგალიური ენა გახლდათ, რომელიც ვერაფრით ისწავლა. „ყველას კარგად ესმის ადგილობრივ ენაზე საუბრის უპირატესობა" — ამბობს 40 წლის პოლიგლოტი, ბელგიის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი მიშელ პრიუდომი, რომელიც „ბენფიკას" კარს ხუთი სეზონის განმავლობაში იცავდა. ხოლო ახლა იქვე, საზღვარგარეთთან ურთიერთობის შეფის თანამდებობა მიიღო. რაც შეეხება ჰაინკესს, მას სუნესთან შედარებით უკეთ აქვს საქმე, ვინაიდან ადრე ესპანეთში მუშაობდა და ესპანური ენის ცოდნა პორტუგალიურის გაგებაში ეხმარება. ახალი ენის შესწავლა ყველაზე მეტად უკრაინელ ფეხბურთელს სერგეი კანდაუროვს გასჭირვებია.

ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი, დიტმარ კუჰბაუერი სეზონის ბოლოს ესპანური „რეალ სოსიედადის" დატოვებას აპირებს. 28 წლის ნახევარმცველმა განაცხადა, რომ ამის შესახებ უკვე აცნობა სან სებასტიანელთა გერმანელ მწვრთნელ, ბერნდ კრაუსს. ავსტრიის ეროვნულ გუნდში 31-ჯერ ნათამაშევი კუჰბაუერი ამბობს, რომ „რეალ სოსიედადში" უცხოელთათვის ცხოვრება გართულდა და თანაგუნდელები მას როგორც ვარჯიშის, ასევე მატჩების დროს პასებს არ აწვდიან. კუჰბაუერი სან სებასტიანის კლუბთან სამწლიანი კონტრაქტით გახლავთ შეკრული და მისი ვადა ივნისში გადის.

**გერმანელმა მეკარემ, ოლივერ კანმა,** რომელიც მიუნხენის „ბაიერნშია", მაგრამ ჯერჯერობით, ავადმყოფობის გამო ფეხბურთს თვალს ტრიბუნიდან ადევნებს, განაცხადა, რომ არაა გამორიცხული ბუნდესლიგა მიატოვოს. კანმა ჟურნალ „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა ინციდენტი, რომელიც „ბაიერნის" ვეტერანს ლოთარ მათეუსსა და ფრანგ თანაგუნდელს, ბიქსენტე ლიზარაზუს შორის, ვარჯიშის დროს მოხდა. „ამან დამაფიქრა რანაირ ქვეყანაში ვცხოვრობ და მივხვდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა განაცხადო, მორჩა და გათავდა" — თქვა გოლკიპერმა, რომელსაც 2003 წლამდე აქვს კლუბთან დადებული ხელშეკრულება. შეგახსენებთ, რომ ლიზარაზუმ მათეუსს ხელი გაარტყა, ხოლო გაზეთმა „ბილდმა" ამ ინციდენტის ფოტო გამოაქვეყნა.

ბრაზილიის ჩემპიონატში „კორინთიანსმა" ზედიზედ მერვე გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლო — „ფლამენგოსთან" დამარცხდა 1:2. „ფლამენგოდან" ორივე გოლი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა რომარიომ გაიტანა. ამრიგად „კორინთიანსმა" ვერ გააუმჯობესა „ატლეტიკო მინეიროს" 1977 წლის სარეკორდო შედეგი — ზედიზედ რვა გამარჯვება, თუმცა სატურნირო ცხრილს ლიდერობს და ოთხი ქულით უსწრებს „კრუზეიროს".

**არგენტინული გუნდების** „ველეს სარსფილდისა" და „ინდეპენდიენტეს" შეხვედრა, მერკოსურის თასზე ჩაიშალა. ამ ინციდენტში თავისდა უნებურად ჩათრეული აღმოჩნდა „ველესის" პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, რომელიც თამაშის 44-ე წუთზე მარსელო სარალეგის მიერ ჯარიმიდან დარტყმულ ბურთს მიწვდა, მაგრამ ძელს შეეჯახა და დაშავდა. მოედანზე ექიმები შევიდნენ და გოლკიპერის წამლობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ამ დროს ჩილავერტს ტრიბუნიდან ნასროლი რაღაც საგანი მოხვდა თავში. „მეკარემ მითხრა, რომ თავს ცუდად გრძნობდა და თამაშს ვერ გააგრძელებდა. გვინდოდა ტრაგედია?" — რიტორიკულად განაცხადა „ველეს სარსფილდის" პრეზიდენტმა რაულ გომესმა. მატჩის შეწყვეტას დაეთანხმა „ინდეპენდიენტეს" პრეზიდენტი ჰექტორ გრინდონაც, მაგრამ დასძინა ეგ ჩილავერტი სულ რაღაც ხიფათის საბაბიაო. 38 წუთიანი სჯაბაასის შემდეგ მსაჯმა, დანიელ ხიმენესმა შეხვედრა გააუქმა. მადლობა ღმერთს 0:0 იყო.

პოლონეთის თასის გათამაშების პირველი ეტაპი: ვისლა — რუხი 2:0, ვიძევი — ოდრა 0:0, პლოცკი — ზაგლებე 4:2, გროცლინი — გურნიკი 1:3, ლკს — ამიცა 3:0, პოგონი — ლეხი 3:2, სტომილი — პოლონია 2:3, „რუხი" — ლეგია 0:0.

**შოტლანდიური „რეინჯერსი"** აგვისტოში 45 ათასი გირვანქით (72 170 დოლარი) დააჯარიმეს. მიზეზი „პარკჰედ გრაუნდზე" გასულ სეზონში „სელტიკთან" 3:0 გამარჯვების შემდეგ ზღვარგადასული სიხარული გახლდათ. იმავე მატჩის მსაჯს ჰაფ დაგლასს ტრიბუნიდან ნასროლი ხურდა მოხვდა თავში, მაგრამ ქვეყნის პრემიერლიგის ხელმძღვანელთა თათბირმა დაადგინა, რომ „რეინჯერსის" ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან და ლიგის კანონებით ჯარიმის გადახდა არ ევალებათ.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# არავითარი ხარისხი! 4 სექტემბერს უკრაინას მხოლოდ გამარჯვება სჭირდება

*ГРАЄМО ЗА УКРАЇНУ РАЗОМ ეს ფრაზა ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე უკრაინის ნაკრებთან სახელმწიფო ტელევიზიაში გამართულ შეხვედრაზე ქვეყნის პრემიერმა და ამავდროულად უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის (მაშინ ასე ერქვა) პრეზიდენტმა, სპორტის თავგადაკლულმა გულშემატკივარმა ვალერი პუსტოვოიტენკომ წარმოთქვა და მან სტუდიაში დამსწრეთა შორის დიდი მოწონება, მქუხარე ტაში დაიმსახურა. თავდაპირველად ეს უბრალო, პატრიოტული შემართებით წარმოთქმული სიტყვები იყო, შემდეგ მისი წარმოთქმა სულ უფრო ხშირად დაიწყეს სხვადასხვა რანგის ჩინოსნებმა და უბრალო გულშემატკივრებმა და დროთა განმავლობაში იგი უკვე დევიზად იქცა. ისეთ დევიზად, მაგალითად იტალიელებს რომ აქვთ: „FORZA ITALIA", ოღონდ, ცხადია, უკრაინული ინტერპრეტაციით.*



REUTERS კიევიდან

იოჟეფ საბო და ვალერი პუსტოვოიტენკო უკრაინის ნაკრების ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე

დევიზი და მოწოდება იმად არის მნიშვნელოვანი და საჭირო, რომ მოდუნებულს გაახალისებს, ხოლო საბრძოლველად შემართულს კიდევ უფრო გაავეშებს და ჭიდილის იშტაზე მოიყვანს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში, როდესაც საფრანგეთის ნაკრებთან უაღრესად მნიშვნელოვან კიევურ მატჩამდე რამდენიმე დღეღა რჩებოდა, ეს სიტყვები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. უკრაინული ფეხბურთის ხელმძღვანელთა მიერ საგანგებოდ დაბეჭდილ მომცრო ან კარგა მოზრდილ ფირნიშებსაც ხშირად შეხვდებით. შეხვდებით კიევის ულამაზეს ქუჩებშიც, დიდ და პატარა მარკეტებშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მსუბუქი თუ სატვირთო ავტომანქანების წინა მინებზეც. ჩემმა ფეხბურთის დიდმა ქომაგმა მეგობარმა ისიც მითხრა, მამაჩემს და ჩემს უამრავ ნაცნობს ადრე ამ ადგილას ლენინ-სტალინის სურათები ჰქონდათ მიკრული, ახლა „გრაემო" მიუკრავთ, მაგრამ თუ წავაგეთ, ვგონებ, პროლეტარიატის ბელადების ფოტოებს არქივებიდან კვლავაც გამოამზეურებენ და უწინდელ ადგილას დააბრუნებენო. თუმცა ღმერთმა დამიფაროს. ეს თუ მოხდა, ქართველებმა ვიღას ვუქომაგოთ ნიდერლანდებში? ეჰ, დრონი, დრონი. ჩვენი გუნდებისა თუ ნაკრების ბედოვლათობის გამო კიევის „დინამოს" და უკრაინის ნაკრებს ვუდგევართ მხარში, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.

სანამ უშუალოდ 4 სექტემბრის მატჩის შესახებ დავიწყებდე საუბარს, ორიოდ სიტყვით შარშანდელ მოვლენებს გავიხსენებ, როდესაც კიევში დიდი სლავური ომი გაიმართა და იგი რუსთა მარცხით და ხახოლთა ნამდვილად ღირსეული ზეობით დასრულდა. ერთი შეხედვით, ეს პარალელი იქნებ ნაკლებ არგუმენტირებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ არც მთლად ასეა.

საქმე ის არის, რომ უკრაინელთათვის იმ ღირსახსოვარი დღის შემდეგ ქვეყნის საფეხბურთო წრეებში ასეთი აჟიოტაჟი არ შემინიშნავს. კი, ბატონო, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურმა მატჩმა გერმანულ „ბაიერნთან" მართლაც უდიდესი ინტერესი და სხვადასხვა გუნდების გადამტერებულ ფანთა დროებითი შეკავშირება გამოიწვია, სტადიონიც გაივსო და მისი მიმდებარე ტერიტორიაც და მარცხიც ლამის საერთო ეროვნულ ტრაგედიაში გადაიზარდა, მაგრამ ნაკრების დონე ხომ მართლაც განსხვავებულია.

ჰოდა, მაშინდელი და ახლანდელი ინტერესები ერთობ წააგავს ერთმანეთს და, ჩემი აზრით, მათ შორის მხოლოდ ერთი განსხვავება თუ შეინიშნება: რუსეთთან მატჩის წინ თითოეულ უკრაინელს, ფეხბურთელს, ჟურნალისტს და უბრალო მაყურებელსაც ღრმად სწამდა თავისი გუნდის გამარჯვებისა. სწამდა ალალად და გულწრფელად. სწამდა იმდენად, რომ ოჯახზე მზრუნველი მამაკაცები ხორბლის არაყს და ტრადიციულ „სალო"-საც კი იმარაგებდნენ მოსალოდნელი დიადი ზეიმის, „მოძმე ხალხის" დამარცხების აღსანიშნავად. ამჯერად კი ისე მეჩვენება, რომ ასეთი რწმენა აღარ არის. რატომ, ესეც ერთობ საყურადღებოა. ჯერ ერთი, უდავოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის სახელი და თუნდაც ცუდ ფორმაში მყოფი ზიდანის გამოჩენა ნამდვილად ბევრს ნიშნავს და თანაც უკრაინის ნაკრების ბოლოდროინდელი, არცთუ დამაიმედებელი შედეგებიც თავისას აკეთებს. ეს აზრი უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან, იოჟეფ საბოსთან საუბარმა კიდევ უფრო გამიმყარა, რომელმაც თუმცა დელიკატურად, მაგრამ ჩემი ეჭვები მაინც დამიდასტურა.



REUTERS კიევიდან

სერგეი კონოვალოვი (მარცხნივ) და ოლეგ ლუჟნი ფრანგებთან მატჩისთვის გამალებით ემზადებიან

ხუთშაბათს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვლადიმერ ვერემეევმა პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც, ცხადია, მეც დავესწარი, მაგრამ იმის გამო, რომ იმავე დღეს, დილით საბოსთან 15-წუთიანი შეხვედრა გავახერხე, ვერემეევის ნაუბარის გადმოცემა ყოველგვარ აზრს კარგავს და მეც იოჟეფ საბოსთან საუბარს შემოგთავაზებთ.

**— ალბათ, ზედმეტია, მაგრამ მაინც გკითხავთ, რას გეგმავთ შაბათს?**

— რაღად მეკითხებით? ხომ იცით, რომ არც მე არც ფეხბურთელებს გამარჯვების მეტი არაფერი დაგვაკმაყოფილებს.

**— ეს კი ასეა, მაგრამ რეალური საფუძველი თუ არსებობს?**

— ის, რაც რუსეთის ნაკრებმა სტუმრად საფრანგეთში შეძლო, რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ ჩვენს საკუთარ კედლებში?

**— ფეხბურთელები მზად არიან მატჩისთვის?**

— ფუნქციონალური მდგომარეობა სავსებით მაკმაყოფილებს. ყველა ნორმალურ ფორმაშია და თავს ჯანმრთელად გრძნობს. ერთადერთი მოროზს აწუხებს მცირე ტრავმა, მაგრამ ამას მოევლება. თუ არა და, საკმაოდ საიმედო შემცვლელებიც მრავლად გვყავს.

**— მეტოქეზე რას იტყვით?**

— რა უნდა ვთქვა? ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონები არიან და ამას თავი რომ დავანებოთ, მათ უძლიერესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული შემადგენლობა ჰყავთ. თუმცა დაუმარცხებელი არავინ არის.

**— ზიდანი ითამაშებს, მაგრამ ის ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს არის. ალბათ, ესეც თქვენს წისქვილზე დაასხამს წყალს?**

— არავითარ შემთხვევაში. ვინმე სხვას რომ ეხებოდეს საქმე, მაშინ კი, მაგრამ ზიდანი ხომ ექსტრაკლასის ფეხბურთელია. ასეთებს კი ერთი მოძრაობითაც ძალუძთ შეხვედრის ბედის გადაწყვეტა და მის გაუვნებლებას ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ.

**— როგორ აპირებთ ამ რთული ამოცანის გადაჭრას?**

— ამას მატჩის მსვლელობისას შეიტყობთ. რამდენად მივაღწევთ საწადელს, ესეც მალე გამოჩნდება.

**— ერთსაც გკითხავთ და მეტად აღარ შეგაცდენთ. ჩემი აზრით, და ამ აზრს ზოგიერთი ჩემი კოლეგაც იზიარებს, უკრაინის ნაკრების ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მდგომარეობა სულაც არ არის საუკეთესო და ისინი, მარტივი ენით რომ ვთქვათ, ოდნავ შეშინებულები არიან. თქვენ რას იტყოდით?**

— რა დასამალია და, ასეც არის. მართალია, ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგიერთი მოთამაშის მდგომარეობა აშკარად მაშფოთებს. ყველანაირად ვეცდებით, რომ შეხვედრამდე ეს პრობლემა აღარ ჰქონდეთ. თუ მოვახერხეთ, ხომ კარგი, თუ არა, მაშინ მათ მოედანზე ვერ იხილავთ.

**— ასეთი რამ ანდრეი შევჩენკოზეც გავიგე, ეს კი უკრაინელთათვის სერიოზული დანაკლისი იქნება.**

— ეს არ არის მართალი. შევჩენკო მშვენიერ სპორტულ ფორმაშია და არც უხასიათობას უჩივის. დღესდღეობით ის გუნდში ყველა ასპექტში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**— გამოდის, არამდგრადი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო შეიძლება, ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიხილოთ ზოგიერთი წამყვანი ფეხბურთელი.**

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდება.

**— შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ?**

— ჩვენ ვითამაშებთ ისეთ ფეხბურთს, რომელიც გამარჯვების მაქსიმალურ გარანტიას მოგვცემს. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ლამაზად და ეფექტურად გაირჯებიან ფეხბურთელები. ეს არის მატჩი, რომელშიც მოგება თამაშის ხარისხზე შეუდარებლად მაღლა დგას. თანახმა ვარ, ჩვენ ნაკრების ყველაზე ცუდი თამაში ვნახოთ. 4-ში მთავარი გამარჯვებაა და ამისთვის ყველა ღონეს ვიხმართ. ვისაც სურს, მაკრიტიკოს ამ სიტყვებისთვის, მაგრამ მე ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ.

**— საბრძოლო შემადგენლობას როდის დაასახელებთ?**

— მატჩის დილას.

**— ვინ განსაზღვრავს მას, თქვენ, თუ ლობანოვსკი?**

— შემადგენლობის ფორმირებისას არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა მწვრთნელთა აზრიც მიიღება მხედველობაში, მაგრამ მთავარ, გადამწყვეტ სიტყვას მე ვიტყვი.

**— გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.**

— თქვენ ნაკრებსაც გამარჯვებას და წინსვლას ვუსურვებ.

ეს ბოლო სიტყვები აშკარად ზრდილობის გამო იყო ნათქვამი, თორემ საბომ ხომ მშვენივრად იცის, რომ ამ ციკლში საქართველოს ნაკრების წინსვლას კეთილი სურვილი კი არა, ვგონებ, მსოფლიოს მერვე საოცრებაც ვერ უშველის. თუმცა, თავისთავად სურვილის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს?

სხვათა შორის, ახლაც და სხვა დროსაც უკრაინელებს ერთი რამ შევატყვე აქაურ ჟურნალისტურ წრეებში, რომელთანაც ძირითადად მიწევს ურთიერთობა, ყველას აინტერესებს ჩემი აზრი 4 სექტემბრის თამაშის შესახებ. მათგან არც ფეხბურთის ვინმეს ჩემზე ნაკლებად და არც პროგნოზებისადმი [illegible] აწუხებს. ჩემი აზრი მაინც სხვაა, რადგან კიევში გატარებული ორი წლის მიუხედავად, მე თუმც „ნაშ ხლოპეც", მაგრამ მაინც უცხოელი ვარ. ეს ადრე კარგ სამსახურს მიწევდა, ამჯერად კი ნაკლებად გამომადგა. რადგან ყოველ „ნუ კაკ, ირაკლი"-ს ნეიტრალურად ვპასუხობდი და ფრეს ვწინასწარმეტყველებდი, რაშიც გულის სიღრმეში იქნებ ბევრი მეთანხმებოდა, მაგრამ ასეთი პერსპექტივა ცოტას თუ აკმაყოფილებდა.

პარასკევს ვნებათაღელვა კიდევ უფრო გაძლიერდა. გასაგებიცაა, კიევს ფრანგები ეწვივნენ. კინოფილმი „გიორგი სააკაძე" ხომ გახსოვთ, „რუსი მოდის", „რუსი მოდისო". დაახლოებით ამდაგვარი ფრაზა ამეკვიატა აეროპორტში, როდესაც ჯერ კიდევ საკმაოდ შორს მიწაზე მშვიდობიანად დაშვებული ფრანგები გამოჩნდნენ. დამხვდურთა შორის ისეთი ჩოჩქოლი ატყდა, თქვენი მოწონებული. ასეთები კი ბევრნი იყვნენ, დაწყებული ოფიციალური პირებითა და ჟურნალისტებით, დამთავრებული ფოტოაპარატებით, პასტაფლომასტერებით და ეროვნული სიმბოლიკით შეიარაღებული უკრაინელი გულშემატკივრებით. აქვე იყვნენ საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლებიც.

ფრანგული დახვეწილობაო, რომ ამბობენ, სტუმრები სწორედ ამით გამოირჩეოდნენ. გერმანიის ნაკრებიც მიხილავს, ინგლისისაც და კიდევ ღმერთმა უწყის ვინ, მაგრამ ფრანგებს მიხვრა-მოხვრაც კი ყველასგან განსხვავებული ჰქონდათ. მათ დელეგაციაში შემავალი გაურკვეველი მიზნების მქონე, მაგრამ მეტად ელეგანტურ რამდენიმე ახალგაზრდა ქალბატონზე ხომ აღარაფერს ვიტყვი. ისინი ერთიმეორეზე მომხიბლავნი იყვნენ.

პარასკევს საღამოს ფრანგებს საგანგებო პრესკონფერენცია უნდა გაემართათ, რომელიც თბილისის დროით საკმაოდ გვიან იწყებოდა. ამ მიზეზის გამო მის შინაარსს, სამწუხაროდ, ვეღარ მოგითხრობთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მსოფლიოს ჩემპიონთა მთავარმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა შეკრებილი ჟურნალისტები სწორედ იქ დაგვპატიჟა, მობრძანდით და ყველაფერს მაშინ გაიგებთო. აეროპორტში კი არც თავკაცმა და არც შეგირდებმა დიდი საუბრის გამართვა არ ისურვეს, მხოლოდ რამდენიმე ზოგადი ფრაზით შემოიფარგლნენ, ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ მაინც გამარჯვების იმედი გვაქვსო და სხვა მისთანები.

რაც შეეხება ფრანგული მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებიც დელეგაციას მრავლად ჩამოჰყვნენ, ისინი გაცილებით ხალისიანად გამოიყურებოდნენ და არც ლაპარაკზე ამბობდნენ უარს. საფრანგეთის ერთ-ერთი ტელეარხის ჟურნალისტმა, კლოდ გეიბელმა კი ასპროცენტიანი გარანტიაც მოგვცა:

— ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ სცენარი ჩემთვის წინასწარ არის ცნობილი. პირველ ბურთს შეხვედრის პირველი 25 წუთის განმავლობაში გავიტანთ. მატჩის დარჩენილი დრო თქვენს შეტევებში მიილევა, თუმცა გათანაბრებას ვერ შეძლებთ და ბოლოს, როდესაც უკანმოუხედავად შეგვიტევთ, მეორესაც გაგიტანთ. ერთი სიტყვით, 2:0 საფრანგეთის სასარგებლოდ.

აი ასე, სტუმრისთვის სრულიად შეუფერებლად დაგვმოძღვრა გეიბელმა, რამაც მასპინძელთა შორის ალაგ-ალაგ უბრალო სიცილი, ხოლო ალაგ-ალაგ აშკარა და ცუდად დაფარული გაღიზიანება გამოიწვია.

თუმცა ეს არაფერი. გაღიზიანება მერე ნახეთ, თუ მასპინძლებმა მართლაც წააგეს. სხვა მხრივ კი საყურადღებო და საინტერესო ის არის, რომ ფრანგებს თამაშის შემდეგ არსად ეჩქარებათ. ისინი კიევში დარჩებიან და 7 სექტემბერს ერევანში სომხებთან დასაპირისპირებლად, ბორისპოლის აეროპორტიდან გაემგზავრებიან. თანაც კარგ ხასიათზე. ყოველ შემთხვევაში, ისინი ასე იმედოვნებენ.

**ირაკლი სირაძე**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა" კიევიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 4 სექტემბერი. ინგლისი — ლუქსემბურგი



კევინ კიგანმა ნაკრებში 37 წლის სტიუარტ პირსი დააბრუნა

ტრავმებისგან გატანჯული ინგლისის ნაკრები დღეს „უემბლიზე" ლუქსემბურგს მასპინძლობს, მაგრამ მწვრთნელ კევინ კიგანის ფიქრები ახლა ვარშავისკენაა მიმართული, სადაც ინგლისელები ოთხშაბათს ითამაშებენ. კიგანის ბიჭებს ორივე მატჩის აუცილებლად მოგება სჭირდებათ. სხვა შემთხვევაში ისინი პლეი ოფშიც ვერ მოხვდებიან.

დევიდ სიმენი, სოლ კემპბელი, გრემ ლე სო, ჯეიმი რედნეპი, დარენ ანდერტონი და რიო ფერდინანდი — აი, ის ფეხბურთელები, რომლებიც დღეს ვერ ითამაშებენ. ამათ დაუმატეთ ახლახან მოშუშებული პოლ სქოულზი, ტონი ადამსი, მაიკლ ოუენი, რომლებიც საჭირო ფორმაში ვერ არიან და კიგანის მდგომარეობაც გასაგები იქნება.

მწვრთნელმა იფიქრა და სასტარტო შემადგენლობაში 37 წლის სტიუარტ პირსი შეიყვანა, რომელიც ბოლო დროს პრემიერლიგის მატჩებშიც იშვიათად ჩნდება მინდორზე და წლეულს თავისუფალი აგენტის სტატუსით „ნიუკასლიდან" „ვესტ ჰემში" გადავიდა. ამრიგად, პირსი ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდება, ვისაც ოდესმე ინგლისის ნაკრების მაისურა მოურგია.

და კიდევ ერთი სიახლე, ნაკრებში პირველად ითამაშებს „ნიუკასლის" 20 წლის ნახევარმცველი კაირონ დაიერი.

**ინგლისი:** მარტინი, კიოუნი, ადამსი, პირსი, დაიერი, პარლო, ბექემი, ბეტი, მაკმანამანი, ფაულერი, შირერი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 4 სექტემბერი. დანია — შვეიცარია

დღეს კოპენჰაგენში დანია შვეიცარიას უმასპინძლებს. ამ მატჩს ჯგუფის მეორეადგილოსანის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივე ნაკრებს 8-8 ქულა მოუგროვებიათ და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ, თუმცა შვეიცარიელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ გამართული.

„ერთადერთი, რაც ახლა გვაინტერესებს, შვეიცარიელების დამარცხებაა" — ამბობს დანიელთა მეკარე პიტერ შმაიხელი, რომლისთვისაც შაბათის მატჩი ნაკრებში რიგით 114-ე იქნება.

დანიელებს დააკლდებათ „მილანის" ტრავმირებული ტომას ჰელვეგი. სავარაუდოდ, დაცვის მარჯვენა ფრთაზე მის ადგილს „ბრონდბიუს" სორენ კოლდინგი დაიკავებს. „ვიკინგების" ნახევარდაცვას კი „ტოტენჰემის" ალან ნილსენი და „უდინეზეს" მარტინ იორგენსენი წარუძღვებიან. მათ ტრავმები მოუშუშებიათ.

„დანიელებს შინ აუცილებლად მოგება სჭირდებათ, ამიტომ დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იქნებიან. ეს კი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს" — განაცხადა შვეიცარიელთა მწვრთნელმა ჟილბერ გრესმა. სტუმართა რიგებში ყველაზე ბედნიერი კაცი კუბილაი თურქილმაზია, რომელსაც ნაკრებში 57 მატჩი გაუმართავს და 24 ბურთი გაუტანია. თურქილმაზი საკმაო შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ეროვნულ გუნდს. მომჯობინებულა „ლივერპულის" სტეფან ენჩოსიც, რომლის თამაში გუშინდლამდე სათუო იყო.

**დანია:** შმაიხელი, ჰაინცე, ჰოგი, ჰენრიკსენი, კოლდინგი (ან ჰელვეგი), გოლდბეკი, ნილსენი, იორგენსენი, ტოფტინგი, სანდი, ტომასონი
**შვეიცარია:** ჰუბერი, ჰაასი, ენჩოსი, ვიკი, ჟანერე, მიულერი, ვოლფი, სფორცა, ფოგელი, შაპუიზა, კომიზეტი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 4 სექტემბერი. ხორვატია — ირლანდია

მეზობელი ინგლისელებისა არ იყოს, ირლანდიელებსაც ტრავმების ეპიდემია შეეყარათ. ხორვატებთან სასიცოცხლო მატჩში მათ ორი წამყვანი მოთამაშე დააკლდებათ. გუშინ გაცნობეთ, რომ იუგოსლავიელებთან მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები — როი კინი და დენის ირვინი დაშავდნენ. ტრავმა მიულია ახალგაზრდა რობი კინსაც, რომელმაც იუგოსლავიასთან პირველი გოლი გაიტანა. რობი კინი სასტარტო შემადგენლობაში კი შეიყვანეს, მაგრამ ზაგრებში მისი თამაში საეჭვოა.

დაშავებულები ხორვატებსაც ჰყავთ. დღეს ვერ ითამაშებენ „ლაციოს" ფორვარდი ალენ ბოკშიჩი და კაპიტანი, „მილანის" ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი.

**ხორვატია:** ლადიჩი, შტიმაცი, ბილიჩი, დ. სიმიჩი, კოვაჩი, იარნი, სოლდო, სტანიჩი, ასანოვიჩი, შუკერი, ი. სიმიჩი
**ირლანდია:** კელი, ქარი, კანინგემი, ბრინი, სტონტონი, კენედი, კარსლი, კინსელა, კილბეინი, ქუინი, რობი კინი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 4 სექტემბერი. ესპანეთი — ავსტრია

ესპანეთის ნაკრების თავკაცი ხოსე ანტონიო კამაჩო ავსტრიელთა წინააღმდეგ ოპტიმისტურად არის განწყობილი.

კამაჩომ, მას შემდეგ, რაც პოსტზე ხავიერ კლემენტე შეცვალა, გუნდს 8 მატჩიდან 7 მოაგებინა და ერთიც ფრედ დაასრულა. ესპანეთი კი, რომელიც ავსტრიასა და ისრაელს ორი ქულით უსწრებს, ჯგუფში ლიდერობს.

მიუხედავად ავსტრიელებთან შინ 9:0 გამარჯვებისა, ესპანელები მაინც ფრთხილობენ. მწვრთნელის, კამაჩოს განცხადებით, მათ აუცილებლად უნდა მოიგონ დარჩენილი მატჩები.

ახლანდელი ავსტრიის ნაკრების რიგებში, რომელსაც ოტო ბარიჩი ხელმძღვანელობს, ჰერბერტ პროჰაზკას ძველი გუნდიდან მხოლოდ ოთხი ფეხბურთელია გამოძახებული.

ავსტრიამ უეჭველად უნდა მოიგოს ეს შეხვედრა, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნოს. თუმცა, მწვრთნელ ბრიჩის მთავარი საფიქრალი ისაა, მისი ნაკრები ესპანელებთან არ განადგურდეს და გუნდსაც ამას უსახავს მიზნად.

„ჩემი ფეხბურთელებისგან მინდორზე კამიკაძეობას არ მოვითხოვ, მაგრამ მათ ყველაფერი უნდა გაიღონ მოგებისთვის" — აცხადებს იგი.

შეკრებაზე იმყოფება „მანჩესტერის" ავსტრიელი მეკარე ალექს მანინგერი, რომელმაც აგვისტოში შვედებთან ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**ესპანეთი:** კანისარესი, სალგადო, იერო, პაკო, სერხი, ეჩებერია, გვარდიოლა, ლუის ენრიკე, ხუან კარლოსი, რაული, მორიენტესი
**ავსტრია:** მანინგერი, შტრაიტერი, ვინკლჰოფერი, ჰატცი, იბერსტბერგერი, კუჰბაუერი, მაელიხი, ვაისენბერგერი, კირხლერი, ვასტიჩი, ჩერნი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | 4 სექტემბერი. ჩრდ.ირლანდია — თურქეთი

თურქეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართად ჩრდილოეთ ირლანდიას ეწვია და აპირებს გამარჯვება მიწისძვრისგან დაზარალებულ თავის ხალხს მიუძღვნას.

გერმანია და თურქეთი მესამე შესარჩევი ქვეჯგუფის ლიდერები არიან და ახლა თითოეულ ქულას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თავის მხრივ, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებიც არ აპირებს არავისთვის ქულების დათმობას და ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. მათ თავკაც ლევრი მაკენემს მოგება განუზრახავს. თურქეთის ნაკრების ბევრ წევრს იმ ტრაგედიის დროს ახლობელი ადამიანი გარდაეცვალა. მაგალითად, „გალათასარაის" ფორვარდმა ჰაკან შუქურმა ბიძა დაკარგა.

თურქების მწვრთნელის, მუსტაფა დენიზლის განცხადებით, მიწისძვრის დროს ისინი ნორვეგიაში იმყოფებოდნენ და სწორედ იქ ჩაუვიდა ჰაკანს ცნობა მისი მშობლების დაღუპვის შესახებ, რაც, საბედნიეროდ მართალია არ აღმოჩნდა.

მისივე განცხადებით, ძალიან ძნელია ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ბელფასტში დამარცხება, მაგრამ მათ ეს აუცილებლად უნდა შეძლონ.

**ჩრდილოეთ ირლანდია:** ტეილორი, ჰიუზი, რუოლენდი, უილიამსი, ჰორლოკი, ლენონი, ლომასი, კენედი, მაკარტი, დოუვი, ჰიუჯისი
**თურქეთი:** რეჩბერი, ალფაი, ფათიხი, თემიზქანოღლუ, აბდულა, უნსალი, ტაიფუნი, სერგენი, ოკანი, აკმანი, ჰაკანი

ამხანაგური მატჩი | 4 სექტემბერი. ჰოლანდია — ბელგია

ევრო 2000-ის თანამასპინძლები დღეს როტერდამში შეხვდებიან ერთმანეთს და, როგორც ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგა ფილიპ ბლენკინშოპი წერს, მიუხედავად იმისა, რომ თამაში ამხანაგურია, ორივე გუნდი სერიოზულად ემზადება. ფეხბურთელების გამოცდისა და ტაქტიკური სქემების დამუშავების გარდა ამ მატჩს თავისებური ელფერი დაჰკრავს. ჰოლანდია — ბელგიას საკუთარი ანგარიში აქვთ ერთმანეთთან, ისინი ხომ ოდინდელი მეტოქეები არიან. ურთიერთშორის გამართული 120 შეხვედრიდან 55 ჰოლანდიამ მოიგო, 39 ბელგიამ.

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის ნაკრები ფრანკ რაიკარდმა ჩაიბარა, გუნდმა ერთი შეხვედრა მოიგო, ექვსი ფრედ დაამთავრა და ორი წააგო. ის ერთადერთი მოგებაც 11 თვის წინ გაახერხეს პერუსთან. თუმცა რაიკარდი ამას მშვიდად უყურებს და ამბობს, რომ საგანგაშო არაფერია. ეს ჩვეულებრივი საწვრთნელი პროცესის შედეგია.

დღევანდელ მატჩში ჰოლანდიას. კლარენს ზეედორფი და მარკ ოვერმარსი არ ეყოლება. ისინი ტრავმირებულნი ყოფილან. სამაგიეროდ, მარტის შემდეგ პირველად ითამაშებს დენის ბერხკამპი, ასევე ეროვნულ გუნდს დაუბრუნდება „იუვენტუსის" ნახევარმცველი ედგარ დავიდსი, რომელსაც ბოლო დროს თვალის პრობლემა, კერძოდ გლაუკომა აწუხებდა.

ბელგიამ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ექვსი შეხვედრა წააგო, სამი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი მოიგო, რამაც აგვისტოში მწვრთნელის შეცვლა გამოიწვია — ჟორჟ ლიკენსის ნაცვლად რობერტ ვასეიგე დანიშნეს.

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, რ. დე ბური, დავიდსი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ფოსენი (ან ზენდენი), კლუივერტი, ბერხკამპი
**ბელგია:** ვანდე ვალე, დეფლანდრე, სტალენსი, პეეტერსი, ვან კერკჰოვენი, ვერჰეიენი, ვანდერჰაგე, ვილმოტსი, გოორი, შტრუპარი, ე. მპენზა



რობერტ ვასეიგე (მარცხნივ) ბელგიის ნაკრებს თავისი სადებიუტო მატჩისთვის ამზადებს

## საჭირბოროტო

## კითხვა ❖ პასუხი

— ჩემპიონთა ლიგას ვინ მოიგებს?
— ***მადრიდის „რეალი".***
— ვინა?
— ***„ბარსელონა".***
— „ბარსელონა"?
— ***„რეალი".***
— შენ, ბიჭო, სახლში რუკა არა გაქვს?
— ***უზარმაზარი.***
— მერე გააყოლ-გამოაყოლე თვალი.
— ***რომ გავაყოლ-გამოვაყოლე იმიტომ გეუბნები.***
— შენს რუკაზე მარტო ესპანეთი ხატია?
— ***არა, რატომ, ნორვეგიაც.***
— რომი ხატია? არი ეგეთი ქალაქი.
— ***ამით რისი თქმა გინდა?***
— იმისა, რასაც ამბობენ ხოლმე ასეთ დროს.
— ***მაინც?***
— ყოველ შემთხვევაში მადრიდის და ბარსელონასი არა.
— ***„ლაციოზე" ფიქრობ?***
— სხვა რა ვიფიქრო?
— ***ოქტომბერში რომ იყოს ფინალი, კი...***
— რატომ?
— ***მერე დაიღლებიან.***
— დაიღლებიან რა, მეტალურგები ხომ არ არიან?
— ***ზღაპარია.***
— „არსენალი" ნამდვილია და „ლაციო" ზღაპარი?
— ***ცხოვრებაში არაფერი მოუგია მაგ „ლაციოს" და ახლა მოიგებს?***
— როგორ არ მოუგია. ერთი კვირის წინათაც მოიგო ერთი თასი.
— ***შენი ჭირიმე, მაგას თასს ნუ ეძახი.***
— აბა რა დავუძახო?
— ***ყანწი. ლაციო ძირითადად ყანწებს იგებს.***
— სუპერთასი ყანწია?
— ***ნუ, კარგი, ერთი მოხდენილი განსხვავებულია.***
— ჰმ, შენ არ გცოდნია განსხვავებულის მნიშვნელობა.
— ***ის მაინც ვიცი, რომ „მილანი" არ არის განსხვავებული.***
— სწორია.
— ***აბა, ვინ არის განსხვავებული?***
— ვთქვათ, რიგობერტ სონგია განსხვავებული.
— ***ნესტა, ალმეიდა, სიმონე, არ არიან განსხვავებულები?***
— როგორ გეკადრება...
— ***ამას ელაპარაკე.***
— ლაუდრუპები იყვნენ განსხვავებულები. არ დაგენანება ისეთები.
— ***კიდევ?***
— ერთი შენცა თქვი.
— ***აი, მაგალითად... ბერხკამპი.***
— ეგ რაღა განსხვავებულია, გასდის.
— ***რა გასდის?***
— ღვინოს რომ ჩაასხამ, გასდის, გაბზარულია.
— ***და გაზა?***
— გაზა ძალიან დიდი განსხვავებულია, ჯერ კიდევ მამა-პაპანი აავსებდნენ ხოლმე.
— ***ბერხკამპს გასდის და გაზას არა?***
— ეე, თუ გასდის და ხელისგულს შეუშვერ. გაზას ეკუთვნის.
— ***მა, „რეალი"?***
— ღვინო დაძმარდა. თავმოხდილი დაუტოვებიათ.
— ***და „ბარსა"?***
— წლევანდელი ღვინოა. დააცადე.
— ***„მილანი"***
— ცოტა ნაწვალებია.
— ***და „ინტერი"***
— პახმელია რო არ იცოდეს...

# ხულიგნობა შვედურად

შვედური ფეხბურთის ხელმძღვანელობა სტადიონებზე უსაფრთხოების ძალთა გაძლიერებას და მეთოდების დახვეწას ფიქრობს, რადგან ბოლო დროს გაზრდილმა უწესრიგობამ ერთობ შეაშფოთა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით მომავალი სეზონიდან პირველი დივიზიონის შეხვედრებზე უნდა ამუშავდეს ფარული კამერა, რათა დადგინდეს ყველა ხულიგანი გულშემატკივრის ვინაობა და მათ წინააღმდეგ სათანადო ბრძოლაც წამოიწყონ.

გასულ კვირაში, სტოკჰოლმის აიკისა და ბერძნული აეკის შეხვედრის დროს სტოკჰოლმელთა გუნდის დაახლოებით 30 გულშემატკივარი დაესხა თავს პოლიციელთა 14 კაციან რაზმს და როდესაც ერთ-ერთმა ოფიცერმა მავანი ფანის ხელში დანაც კი შეინიშნა იძულებული შეიქნა ჰაერში გასროლით დაეცხრო გაბოროტებულთა ვნებანი. ინციდენტის მიზეზი კი გახლდათ ქომაგების მიერ გამოფენილი პლაკატი, რომლის შინაარსიც სამართალდამცველებმა შეურაცმყოფად ჩათვალეს და ბრბოს მისი დაღმართვა მოსთხოვეს.

„პოლიციაზე სასიკვდილო იარაღით თავდასხმა შვედეთის სტადიონებზე აქამდე არასდროს მომხდარა“ — განუცხადა პოლიციის პრესმდივანმა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს — „ამიერიდან ჩვენი სურვილია კლუბებმა სერიოზულად მიხედონ თავიანთ გულშემატკივარს, იქირავონ დაცვის რაზმები და შექმნან იმის გარანტია, რომ ხალხი სტადიონზე შეიარაღებული არ ივლის“.

ზემოხსენებულ ინციდენტთან დაკავშირებით პოლიციაში რამდენიმე ადამიანი დაკითხეს და არაა გამორიცხული ძიებას სასამართლო პროცესიც მოყვეს. საქმე ისაა, რომ აიკის გულშემატკივართა განსაკუთრებით აგრესიული ნაწილი, რომელსაც „ფირმას“ უწოდებენ, ხშირად მონაწილეობს საფეხბურთო არეულობებში და ამ კონკრეტულ შფოთსაც მან დაუდო სათავე.

პოლიციელთა ცნობით, „ფირმაში“ გაერთიანებულია 17-25 წლის დაახლოებით 30-35 ადამიანი, რომელთაგან ბევრი განა მხოლოდ საფეხბურთო, „სამოქალაქო“ ხულიგნობითაც გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ პროვინციელებთან შედარებით სტოკჰოლმის კლუბები ყოველთვის გამოირჩეოდნენ საგანგებო ხულიგნობით. ყველაზე მეტი შფოთისთავები ოდითგანვე „გიოტებორგის“ და ბუნებრივია აიკის გულშემატკივრები გახლდნენ.

შვედეთის პოლიცია საგანგებოდ მზადება ჩემპიონთა ლიგის მოახლოებული შეხვედრებისთვისაც. კერძოდ, 2 ნოემბერს სტოკჰოლმის გარეუბან სოლნას გუნდი მშობლიურ „რასუნდას“ სტადიონზე ლონდონის „არსენალს“ უნდა შეხვდეს.

და მაინც, ხულიგნობასთან ბრძოლის ახალი მეთოდებია გამოსაძებნი, ვინაიდან დამნაშავეთა ინდივიდუალური შეპყრობა და გასამართლება, როგორც მაგალითად, ეს „ჰელსინგბორგის“ მავან ფანთან დაკავშირებით მოხდა, სასურველ შედეგს არ იძლევა. ხსენებული ფანი, რომელსაც სტადიონზე სიარული აუკრძალეს, ჯიუტად ესწრებოდა ჩემპიონატის შეხვედრებს, რის გამოც სასამართლოს გადასცეს, თემიდამ კი გაამართლა.



ხულიგანთა და პოლიციელთა შეტაკებები გახშირდა

# ათი წელიწადი გავიდა

გაეტანო შირეას გარდაცვალებიდან გუშინ ზუსტად 10 წელი შესრულდა. იგი გახლდათ კაპიტანი იმ „იუვენტუსისა“, 1980-იანი წლების პირველ ნახევარში საშინაო თუ საერთაშორისო ჯილდოებს ერთმანეთის მიყოლებით რომ იგებდა. იგი აგრეთვე იყო ერთ-ერთი შემოქმედთაგანი ტრიუმფისა, იტალიის ნაკრებმა 1982 წელს, ესპანეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მოიწყო.

შირეა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 1989 წელს, უეფას თასის კენჭისყრამ „იუვენტუსს“ მეტოქედ პოლონური „გურნიკი“ არგუნა. მშობლიური გუნდის ხელმძღვანელთა ბანაკში გადაბარგებული ყოფილი ვარსკვლავი მივლინებით პოლონეთს გაემგზავრა, სადაც მომავალი მეტოქე დაზვერა.



უკანა გზაზე, კატოვიცე — ვარშავის ტრასაზე მას სიკვდილი ჩაუსაფრდა.

დაახლოებით პირველი საათი იყო, როდესაც პატარა „ფიატ 125“-ის მძღოლმა ორი სატვირთო მანქანის გასწრება განიზრახა და შემხვედრის პირისპირ აღმოჩნდა. გვერდის აქცევა გამორიცხული იყო. „ფიატის“ ბენზინის ავზი აალდა და მანქანა ფერფლად აქცია. მისი ოთხი კარიდან ერთადერთი, უკანა გაიღო, რამაც შირეას თანამგზავრ „გურნიკის“ წარმომადგენელს გადარჩენის საშუალება აჩუქა.

ხანძარი იმდენად მძვინვარე აღმოჩნდა, რომ პოლიციელებს შირეასა და მძღოლის ამოსაცნობად 10 საათი დასჭირდათ.

# მაკმანამანი — შიდიან შინ

ინგლისის ნაკრების ბანაკში შეკრებილთა შორის ერთადერთმა ლეგიონერმა სტივ მაკმანამანმა განაცხადა, რომ „ლივერპულიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასვლა შინიდან შინ წასვლას ჰგავდა.

მაკმანამანმა მერსისაიდი ესპანეთის დედაქალაქში გასული სეზონის ბოლოს გაცვალა და ამით უკმაყოფილების საბაბს ვერ ხედავს. იგი ამბობს, რომ გუნდში, რომელსაც „ლივერპულის“ ყოფილი ფავორიტი ჯონ ტოშაკი წვრთნის, ჩინებულად მოეწყო.

„იქ თუ საფეხბურთო საქმეები კარგად მიდის, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი კარგადაა აწყობილი“ — უთხრა მაკმანამანმა ინგლისელ ჟურნალისტებს „ბიშემ ებიში“, ნაკრების სასტუმროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„ამჯერად ყველაფერი მართლაც ჩინებულადაა“

„ტოშაკს თავისი გამოცდილებიდან ბევრი რამ ჰქონია ნასწავლი და ვგონებ საგანგებო დაღი მასზე სწორედ „ლივერპულს“ აქვს დასმული. ის გარემოება, რომ მერსიაიდში როი ევანსთან, რონი მორანთან და კენი დალგლიშთან უამრავი სამუშაო გამიწევია ძალიან მეხმარება. აღმოვაჩინე, რომ ბევრი რამ რასაც ტოშაკი მადრიდში ნერგავს კარგა ხნის გავლილი მაქვს. მოკლედ, დიდი განსხვავება ვერ შევამჩნიე“ — თქვა მაკმანამანმა.

ტოშაკს 1970-იან წლებში „ლივერპულში“ რვა წარმატებული სეზონი აქვს გატარებული. დღეს იგი ისევ მადრიდის „რეალშია“ — თებერვალში დაუბრუნდა გუნდს რომელიც ადრე ესპანეთის ჩემპიონი გახადა.

„ამ წუთას ერთადერთი უარყოფითი ემოცია ოჯახის წევრებისა და მეგობრების მონატრება გახლავთ. სხვა მხრივ კი პრობლემა არ მაქვს“ — დასძინა ფეხბურთელმა, რომელმაც პრიმერა დივიზიონის მეორე ტურში პირველი ესპანური გოლი გაიტანა.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი იმედოვნებს, რომ მაკმანამანის ესპანეთში გადაბარგება ამ ნიჭიერ ფეხბურთელს ეროვნული გუნდისთვის კიდევ უფრო გამოსადეგარს გახდის. შეგახსენებთ, რომ კიგანმა იგი წინა ორ შეხვედრაში შვედეთისა და ბულგარეთის ნაკრებებთან არ ათამაშა, მეტიც შეკრებაზეც არ გამოუძახია, ვინაიდან მაკმანამანი დედის გარდაცვალების გამო ძლიერ დათრგუნული გახლდათ.

„მართალია მაკმანამანის „რეალში“ გადასვლამ „ლივერპულის“ ბევრი გულშემატკივარი დაალონა, მაგრამ ვგონებ ახალი გარემო მისთვის ძალიან კარგი იქნება. თავადაც განმიცდია გუნდის გამოცვლის დადებითი როლი. ეს 1977 წელს იყო. უცხოეთში გადაბარგება კაცს ახალი ამოცანების წინაშე გაყენებს“ — თქვა კიგანმა რომელიც 1977 წელს იმავე „ლივერპულიდან“ გერმანულ „ჰამბურგში“ გადავიდა. ახალი გუნდის შემადგენლობაში თამაშის დროს იგი 1977-78 და 1978-79 წლების სეზონში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.



სტივ მაკმანამანი



# ჟუნინიო მადრიდს ემშვიდობება

ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში მუშაობის უფლება ჯერ არ მიუღია და „მიდლსბროში“ დაბრუნება უყოვნედება, მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელებს გამოეთხოვა.

ჟუნინიო დარწმუნებულია, რომ მის პრემიერლიგაში მეორედ მისვლას საბოლოოდ წინ აღარაფერი დაუდგება. მოგეხსენებათ, „ატლეტიკომ“ და „მიდლსბრომ“ გარიგება ჯერჯერობით მხოლოდ სეზონის ბოლომდე დასდეს.

ბრიტანეთში მუშაობის უფლების მიღებას კი ის აბრკოლებს, რომ ეს ნიჭიერი გამთამაშებელი კარგა ხანია ბრაზილიის ეროვნულ გუნდში არ მიუწვევიათ მოგეხსენებათ, ბრიტანელი ხელისუფალნი ასეთი ნებართვის გასაცემად უცხოელ ფეხბურთელთაგან ნაკრებში თამაშების გარკვეულ რაოდენობას ითხოვენ.

ჟუნინიოს ოპტიმიზმი ეტყობა ბრაზილიელთა მწვრთნელის, ვანდერლეი ლუქსემბურგოს მიერ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში გაგზავნილ წერილზეა აგებული. ლუქსემბურგო წერს, რომ ფეხბურთელის ნაკრებს მიღმა დატოვება მხოლოდ და მხოლოდ ტრავმის ბრალია და მის კვალიფიკაციასთან არაფერი აქვს საერთო.

„მიდლსბროში გამარჯვებებს მოწყურებული მივდივარ“ — განაცხადა ჟუნინიომ მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე — „ტრავმის მერე ფორმის აღსადგენად მადრიდული კლუბის მხარდაჭერა მჭირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მივიღე. ინგლისში რომ დავბრუნდები, მწამს, თვითრწმენას ავიდგენ. ამიტომაც მივდივარ, მინდა ვითამაშო.“

შემდეგ ფეხბურთელმა დასძინა: „ჩემი მიდლსბროში გადასვლა უკეთესი იქნება როგორც „ატლეტიკოსთვის“, ასევე მისი მწვრთნელისთვის (კლაუდიო რანიერისთვის). მადრიდში უამრავი მეგობარი და ჩინებული ატმოსფერო მრჩება.“

ჟუნინიოს აზრით, თამაშის მისეული მანერა მადრიდული კლუბის იტალიელ მწვრთნელებს რანიერისა და მისი წინამორბედის, არიგო საკის სტილს არ ერგებოდა.

„აშკარა იყო, ისინი სხვა მონაცემების მქონე ფეხბურთელებს ეძებდნენ. ამ ორ ადამიანს სხვა სისტემა ჰქონდა, რომელსაც მე ვერაფრით შევეწყობოდი. ამიტომ მომიხდა ჩემთვის სასარგებლო გამოსავლის ძიება. კიდევ ერთ წელიწადს სათადარიგოთა სკამზე ველარ გავატარებდი“ — დაავვირგვინა ფეხბურთელმა.

ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე
კვალიფიციურად მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს

დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანავი თუ ამერიკა?



ოთარ ხმელიძე

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოდან ევროთასებზე მოასპარეზე ერთადერთმა კლუბმა, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა რუსთავის „აზოტმა“ პირველმა დაიწყო მზადება ახალი საკალათბურთო სეზონისთვის.

31 ივლისს შეკრებილმა გუნდმა ოთხ აგვისტომდე რუსთავში წაივარჯიშა. შემდეგ იყო ათდღიანი შეკრება მანავში, სადაც „აზოტი“ ფიზმომზადებით იყო დაკავებული. მერე, აგვისტოს ბოლომდე „აზოტის“ კალათბურთელებმა კორაჩის თასის ჯგუფურ ტურნირში მოსახვედრად კიევის „ბკ კიევის“ წინააღმდეგ ორრაუნდიან ბრძოლისთვის სამზადისი ურეკში განაგრძეს. ამჟამად აზოტელები რუსთავში არიან და თავიანთ ბაზაზე ვარჯიშობენ. გუნდის მზადებასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე.

**— კმაყოფილი ხართ მანავში და ურეკში მოწყობილი შეკრებით?**

— უკეთესზე უკეთესს რა დალევს, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არისო, სწორედ ასეთ დღეში ვართ. კლუბის ხელმძღვანელობა, რაც შეუძლია, გვეხმარება, ჯერჯერობით მეტის გაკეთება ნამდვილად არ ძალუძს. მანავში გატარებული ათი დღის მანძილზე გუნდი ფიზმომზადებით იყო დაკავებული. დიდებული მასპინძლობა გაგვიწიეს კახელებმა და ბიჭებმაც გულიანად ივარჯიშეს. მასპინძლობაში კახელებს არც გურულები ჩამორჩნენ და ურეკში ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობა შეგვიქმნეს. ეგ არის, რომ ბოლო ერთი კვირა სულ წვიმდა და სრულფასოვანი წვრთნის გეგმა ნაწილობრივ დაგვერღვა. მთლიანობაში, მანავსა და ურეკში მოწყობილი შეკრებით კმაყოფილი დავრჩი.

**— ჩვენი ბოლო საუბრისას თქვით, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ბათუმის „ბათუმთან“ აგვისტოს ბოლოს დაგეგმილი გქონდათ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. თუ მოახერხეთ ამ მატჩების გამართვა.**

— ბოლო მომენტში „ბათუმმა“ ამხანაგურ მატჩებზე უარი განაცხადა.

**— რატომ? ეს მატჩები ხომ მათთვისაც, უმაღლესი ლიგის დებიუტანტებისთვისაც სასარგებლო იყო. მიზეზად „ბათუმის“ საკალათბურთო დარბაზის რემონტი ხომ არ დაასახელეს?**

— არა. მიზეზი ეს არ ყოფილა. მატჩების ჩატარება ნატანების სპორტდარბაზშიც შეიძლებოდა. მიზეზი „ბათუმის“ შესუსტებული შემადგენლობა იყო. „ბათუმში“ მოვარჯიშე ვალერი კილაძე და ირაკლი მაისურაძე თბილისში იმყოფებოდნენ. არც შავზღვისპირელთა გუნდის ახალი წევრი მამუკა აბრამიძე ჰყავდათ და თუ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევდნენ, ასეთი მატჩი არც ჩვენთვის იყო დიდად სასურველი, ამიტომ აღარც ჩვენ მივძალებივართ.

**— კილაძის ხსენებაზე... იმ კალათბურთელებისა რა ისმის, რომელთა დამატებასაც აპირებდით უკრაინელთა წინააღმდეგ?**

— ფიბაში გაგზავნილ განაცხადში „აზოტის“ კალათბურთელთა გარდა, იმ იმედით, რომ დაგვეხმარებოდნენ, შევიყვანეთ ექს-დინამოელები ირაკლი ხოშტარია და ვალერი კილაძე, აგრეთვე „ვითას“ წევრი ზურაბ ჩუბინიძე. სიტყვის კაცი აღმოჩნდა ხოშტარია, რომელიც შემოგვიერთდა ურეკში ყოფნისას და უკვე გადაწყდა კიდეც, რომ „ბკ კიევის“ წინააღმდეგ „აზოტის“ შემადგენლობაში ითამაშებს. რაც შეეხება კილაძეს და ჩუბინიძეს, ვარჯიშებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არც გამოჩენილან, არც ტელეფონით დაგვკავშირებიან და არც ჩვენს ზარს პასუხობენ. პატარა არც ერთია და არც მეორე. რას ვთხოვთ შეუძლებელს? უგუნდოდ დარჩენილი კილაძე თუ საბოლოოდაც დარჩებოდა „აზოტში“, ამაზეც თანახმა ვიყავით. თუ არა და, საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა ვთხოვეთ და გასამრჯელოსაც ვპირდებოდით. ჩუბინიძის „ვითასთვის“ წართმევა არც გვიფიქრია, მხოლოდ დახმარება ვთხოვეთ გასამრჯელოს ფასად.

ვერ გამიგია, ასეთი უპატივცემლობა რით დავიმსახურე. ვერავინ იტყვის, „აზოტს“ შეეძლო, მაგრამ ამა თუ იმ გუნდს დახმარების ხელი არ გაუწოდაო. ახლაც, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ზვიად ბაბიაშვილი შეკრებაზე არ ყოფილა, რადგან ჭაბუკთა ნაკრებს სჭირდებოდა და გავატანე. არც „ვითასთვის“ დამიკავებია მიხეილ ბერუაშვილი ევროპის თასზე ჯგუფურ ტურნირში ასპარეზობისას.

ახლა რა ვქნა, ფიბა ივლის ჩემს ნებაზე, რომ ვთხოვო, კილაძე და ჩუბინიძე წიკლაურით ან სხვა კალათბურთელით შემიცვალეთ-მეთქი?!

**— წიკლაურისა რას ისმის, კვლავ სლოვენიაშია?**

— ლევანი ამჟამად რუსთავშია. ვილაპარაკეთ. იგი კვლავ „აზოტის“ შემადგენლობაში ითამაშებს.

**— კორაჩის თასზე ვერ დაგეხმარებათ?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიბას ვთხოვთ წიკლაურის დამატებით სიაში შეყვანას.

**— მერედა, ფიბა წინააღმდეგია, რომ წიკლაური დამატებით სიაში შეიყვანოთ?**

— წინააღმდეგი არაა, თუ ათას გერმანულ მარკას გადავიხდით. მართალია, შეკრებები მოვაწყვეთ, ხელფასებსაც დროულად ვიღებთ, მაგრამ ფინანსურად არც ისე გვილხინს. ბიჭებს ახალი სპორტული ფეხსაცმელი სჭირდებათ. ევროთასებზე ასპარეზობისას საჭიროა ფორმა, რომლის მაისურებზე მისი მფლობელის გვარიც უნდა იყოს. მაისურებს, რალაცას მოვუხერხებთ, მაგრამ ფეხსაცმლის შეძენა კი აუცილებლად მოგვიწევს.

**— გუნდში რა ვითარებაა? ტრავმებს ან რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას ხომ არ უჩივით?**

— არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

**— ირაკლი ხოშტარია რა პოზიციაზე ითამაშებს?**

— თავის ამპლუაში. გამთამაშებლის, ან მსროლელის პოზიციაზე.

**— „აზოტის“ ძველ შემადგენლობაში ხომ არ მოხდება გადაადგილება?**

— არა, ყველა ჩვეულ ამპლუაში დარჩება.

**— ამჟამად სად, როგორი გეგმით ვარჯიშობთ?**

— ერთჯერად ვარჯიშებს ვატარებთ რუსთავში, „აზოტის“ საკალათბურთო ბაზაზე. ვვარჯიშობთ ბურთითაც და ფიზმომზადებაშიც, დღეში ერთხელ, დილაობით. ეს იმიტომ, რომ ჯერაც ისე ცხელა, ორჯერად ვარჯიშებზე გადასვლა ფიზიკურად შეუძლებელია. თუ დაკავებული არ იქნა, ექვსი სექტემბრიდან გადაწყვეტილი გვაქვს, თბილისის სპორტის სასახლეში გადავინაცვლოთ და ვარჯიში იქ განვაგრძოთ. ამასობაში თხუთმეტი სექტემბერიც მოვა და „ბკ კიევის“ მასპინძლობაც მოგვიწევს თბილისის სპორტის სასახლეში. ჩემი აზრით, ყველაფერი უნდა გადაწყდეს საპასუხო შეხვედრაში, რომელიც ოცდაორ სექტემბერს გაიმართება კიევში.

**— რაო, კიეველებისგან რა ისმის?**

— ამ დღეებში დაურეკავს გუნდის პრეზიდენტს, უკრაინის სპორტის მინისტრს ალექსანდრ ვოლკოვს და უკითხავს, მართალია, ფიბას წესებით თოთხმეტი კაცი უნდა გვყავდეს დელეგაციაში, მაგრამ, თუ შეიძლება, ორით მეტით გეახლებითო.

**— თქვენგან რა პასუხი მიიღო?**

— როდის იყო ქართველი კაცი სტუმრის მიღებაზე უარს ამბობდა.

**— „ბკ კიევის“ მზადების შესახებ თუ იცით რამე?**

— ჩვენ მანავსა და ურეკში მოწყობილი შეკრებებით ვიმშვიდებთ თავს, უკრაინელებმა კი ლამის მთელი მსოფლიო შემოიარეს, რათა საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ღირსეულად მოემზადონ.

ამერიკაში საუნივერსიტეტო გუნდებთან ჩატარებული მატჩებიდან ორი მოიგეს და ორიც წაუგიათ. შემდეგ ორკვირიანი შეკრება მოუწყვიათ ესპანეთში, სადაც რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც გაუმართავთ სხვადასხვა ლიგის გუნდებთან. უკრაინაში დაბრუნებულ „ბკ კიევის“ კალათბურთელებს რამდენიმე დღე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან გაუტარებიათ, უთამაშიათ კიდეც და ოცდათერთმეტ აგვისტოს იტალიისკენ აუღიათ გეზი, სადაც ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

**— თქვენ რას აპირებთ, მარტო ვარჯიში უნდა იკმაროთ?**

— მართალი გითხრათ, ჯერაც არ დამიკარგავს იმედი, რომ ჩუბინიძე და კილაძე შემოგვიერთდებიან. სპორტის სასახლეში გადასვლის შემდეგ, მათი დამატების შემთხვევაში, დავამუშავებთ ახალ კომბინაციებს, თუ არა და, თბილისურ გუნდებთან ვითამაშებთ ძველი კომბინაციებით. უცხოურ კლუბებთან საწვრთნელ შეხვედრაზე ხომ საუბარიც არ ღირს. ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

**— ერთობ განსხვავებული მოსამზადებელი პირობების გამო უკრაინელებთან შეხვედრის წინ ცოტა პესიმისტურად ხომ არ ხართ განწყობილი?**

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენ იოლად არაფერს დავთმობთ და ყველაფერს ვილონებთ, რათა მომდევნო ეტაპზე, ანუ ჯგუფურ ტურნირში თამაშის უფლება მოვიპოვოთ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# თავისუფალი აგენტების ბაზარი

1-2 სექტემბერი

**ჰიუსტონ როკიტსი:** აიყვანა სტივ ფრენსისი (მრავალწლიანი კონტრაქტი)

**გოლდენ სტეიტ ვორიორზი:** აიყვანა ვონტიგო კამინგსი (მრავალწლიანი კონტრაქტი) და ტიმ იუნგი; შეინარჩუნა ტერი კამინგსი (მრავალწლიანი კონტრაქტი)

**დენვერ ნაგიტსი:** აიყვანა შანელ სკოტი

**ნიუ იორკ ნიქსი:** შეინარჩუნა დევიდ ვინგეიტი

**დალას მავერიკსი:** შეინარჩუნა ეი სი გრინი, მერე კი ლეიკერსს გაუცვალა შონ რუქსში და 2000 წლის დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანში.

# რკინის ხიდი გამარჯვებისკენ

დღეს ვარსკვლავური მადის დაკმაყოფილებას კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში რამდენიმე მილიონი სჭირდება, ნბა-ს გუნდების ჯამური ხელფასების ზღვარი კი ამის საშუალებას არ იძლევა. ვარსკვლავები არასდროს ჰკლებია ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულიან გუნდს — „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ და ამას არც ახლა უჩივის, მაგრამ წარმატებას მოწყურებულ გუნდს ბომბარდირებთან ერთად შავი სამუშაოს შემსრულებლებიც უნდა ჰყავდეს. ასეთი შარშან მისთვის დენის როდმანი იყო, ლიგის უძლიერესი მომხსნელი. როდმანის ხუშტურების შესახებ კი ყველას მოეხსენება. გუნდის ხელმძღვანელობამაც ერთხანს უყურა მის თავნებობას, მერე კი კონტრაქტი შეუწყვიტა და ოთხივე მხრივ გზა დაულოცა. კლუბს დღემდე ვერ მოეძებნა გიჟმაჟი დენისის ღირსეული შემცვლელი, ახლა კი ასეთი ნაპოვნია და იგი ეი სი გრინი გახლავთ.

ეი სი გრინი ამპლუით თავდამსხმელი და სიმაღლით 206 სანტიმერი გახლავთ. მან სამი სეზონი გაატარა „დალას მავერიკსში“, ამ ზაფხულს კი კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა. გრინს საშუალება ეძლეოდა, აერჩია სხვა კლუბი, მაგრამ ისევ ძველ გუნდთან დარჩენა ამჯობინა და ახალი კონტრაქტი დადო. 1 სექტემბერს კი დალასსა და ლეიკერსს შორის გარიგების შედეგად ამ უკანასკნელში გადაბარგდა, სანაცვლოდ დალასმა ლეიკერსისგან მიიღო ცენტრი შონ რუქსი და დრაფტი 2000-ის მეორე წრის არჩევანი. რუქსი ძველ გუნდს დაუბრუნდა. მას რამდენიმე წელი გაუტარებია დალასში. რუქსისა არ იყოს, გრინმაც იმ ნავსაყუდელში ჩაუშვა ღუზა, რომელშიც ადრე იმყოფებოდა: ეი რომ კარიერა სწორედ ლეიკერსში დაიწყო და თავისი პირველი რვა სეზონი ამ გუნდს შესწირა. ლეიკერსის უფროსობა ამ გარიგებით უზომოდ კმაყოფილია. აი, რას ამბობს გუნდის ვიცე-პრეზიდენტი, 60-იანი წლების ლეგენდარული ლეიკერსელი ჯერი ვესტი: „როდმანის ადგილზე ჩვენ უამრავი კანდიდატურა გადავსინჯეთ და ვთვლით, რომ ეი სი ყველაზე უფრო შესაფერისია. ის სოლიდური მომხსნელია, მშვენივრად ეხერხება საკუთარი ფარის დაცვა და, რაც მთავარია, აკეთებს უამრავ იმ პატარა წვრილმანს, რომელიც არ აისახება მატჩის ოქმში და ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“. ეი სი გრინი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ ლიგაში შავი სამუშაოს მკეთებელთა შორის. იგი უნიკალური მოთამაშეა იმ მხრივ, რომ ლიგის ისტორიას არ ახსოვს გრინზე უფრო გამძლე კაცი. მას 12 სეზონის განმავლობაში ერთი მატჩიც არ გამოუტოვებია. ამ ხნის მანძილზე 1028 თამაშში შეიტანა თავისი წვლილი. გრინი თამაშობს მაშინ, როდესაც, ვთქვათ, გაბზარული აქვს ცერა თითი ან მოწამლულია. მას რკინის კაცს ეძახიან და ფარქვეს ბრძოლებისთვის ერთ მისდაგვარ მოთამაშეს ყველა გუნდი ისურვებდა. მიუხედავად იმისა, რომ გრინი საკმაოდ ასაკოვანია (36 წლისაა) და, ალბათ, კარიერის ბოლო წლებს ატარებს, იგი მაინც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება ლეიკერსის რიგებში. სავარაუდოდ რკინის ვეტერანი ითამაშებს ლეიკერსის ძირითად ხუთეულში და შაკილ ონილს ფარქვეშ საქმეს გაუიოლებს. იგი თავის საქმეს შეასრულებს, ქულების დაგროვებაზე კი სხვებმა იფიქრონ, ლეიკერსს მრავლადა ჰყავს ასეთები. მას სწორედ გრინის ფსიქოლოგიის და რწმენის მქონე ადამიანი სჭირდება. გუნდის ახალ მწვრთნელ ფილ ჯექსონის თქმით, იგი იქნება ხიდი ახალგაზრდა ვარსკვლავებსა და წარმატებას შორის.

# ჰიუსტონში ფუსფუსებენ

ამ ბოლო ხანებში თავისუფალი აგენტების ბაზარზე დიდი ვაჭრობა გაუჩაღებია „ჰიუსტონ როკიტსს“. რამდენიმე დღის წინ კლუბი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველა დროის უდიდეს ვაჭრობაში მონაწილეობდა ორლანდოსთან და ვანკუვერთან ერთად, რის შედეგადაც ერთბაშად 11 კალათბურთელმა გამოიცვალა გუნდი. ჰიუსტონმა ლამის ყველა სათადარიგო მოთამაშე ვანკუვერში გაუშვა. სანაცვლოდ სტივ ფრენსისი და „ხურდად“ კიდევ რამდენიმე უხეირო კალათბურთელი მიიღო. დრაფტი 99-ის ვანკუვერის რჩეულმა ფრენსისმა უარი განაცხადა დარჩენილიყო ამ წყალწაღებულ გუნდში და ახლა იგი „როკიტსის“ წევრია. ამის შესახებ ადრეც ვწერდით. მართალია, ფრენსისი ჰიუსტონში გადავიდა, კლუბთან ოფიციალური კონტრაქტი ჯერ არ დაედო. 1 სექტემბერს კი ახალბედამ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ჰიუსტონთან და ოფიციალურად ჩაირიცხა გუნდში. ამგვარად, იგი კუტინო მობლისთან ერთად „რაკეტების“ უკანა ხაზს შექმნის და ხუთეულში მხარს დაუმშვენებს ამ სუპერვეტერანებს — სკოტი პიპენს, ჩარლზ ბარკლის და ჰაკიმ ოლაჯუონს.

ფრენსისთან დაკავშირებულ მოვლენათა გარდა ჰიუსტონის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობდა თავისუფალი აგენტის, ზემოხსენებული ჩარლზ ბარკლის გუნდში დატოვებაზე. 2 სექტემბერს გადაწყდა, რომ ბარკლი ძველ გუნდში დარჩება. ბარკლის აგენტმა და ჰიუსტონის ხელმძღვანელობამ ერთმანეთში ყველაფერი მოაგვარეს და გაამზადეს ერთწლიანი კონტრაქტი, რომელიც კალათბურთელს 9 მილიონს მოუტანს. კონტრაქტს ხელისმოწერაღა აკლია და იგი ყოვნდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბარკლი შტატებში არ იმყოფება პირადი საქმეების გამო. მას ერთ კვირაში ელიან.

**ირაკლი ფირცხვილი**

## აზიის ჩემპიონატი. 28.08-5.09. იაპონია

FUKUOKA

### მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური

2 სექტემბერი

**E ჯგუფი:** ჩინეთი — ლიბანი 107:67, საუდეთი — კუვეიტი 93:80

**F ჯგუფი:** კორეა — სირია 70:62, ტაივანი — იაპონია 77:68

### ნახევარფინალები

4 სექტემბერი

კორეა — საუდეთი

ჩინეთი — ტაივანი

# ტომარაძე დემოკრატია

კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის თქმით, დასახული მიზნების მისაღწევად და გეგმების განსახორციელებლად მის თანაშემწეებად ხუთი-ექვსი მწვრთნელის დასაქმება იქნებოდა საჭირო.

ტომარაძის დამხმარეთა ვინაობა უკვე ცნობილია. გელა წულაძესთან, მიხეილ კობეშავიძესთან და გია ქემოკლიძესთან ერთად მთავარი მწვრთნელის ასისტენტებად იმუშავებენ თამაზ ოქრუაშვილი, ნუგზარ კანდელაკი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი. თუ გია ქემოკლიძის ფუნქციები უკვე გარკვეულია — მას ფიზმომზადებისა და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება დაევალა, დანარჩენები, მათზე დაკისრებულ ფუნქციებს ორშაბათს, 6 სექტემბერს, კალათბურთის ფედერაციაში დაგეგმილ ნაკრებთან არსებულ მწვრთნელთა საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გაინაწილებენ.

კალათბურთის ფედერაციაში ორშაბათობით დაგეგმილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომები ტრადიციული გახდება. ნაკრების მწვრთნელის აზრით, სასურველია, საქართველოში მომუშავე ყველა მწვრთნელმა მიიღოს მონაწილეობა ამ საბჭოს მუშაობაში, რომლის შემადგენლობაში შემავალი მწვრთნელების რაოდენობა განუსაზღვრელია. მთავარია, საქმე გაკეთდეს და ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მიიღებს მონაწილეობას ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებაში — დასძინა ტომარაძემ.

ჯერაც ვაკანტურია გუნდის უფროსის თანამდებობა. მთავარი მწვრთნელის აზრით, აქ უნდა დაინიშნოს ისეთი პიროვნება, რომელიც ფინანსების მოზიდვას მხოლოდ საკუთარი ბიზნესით შეძლებს. ასეთი ბიზნესმენი კი ჯერჯერობით არ ჩანს.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.09 | 027 | ბარნსლი — ტრანმერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 028 | ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 029 | ფულემი — პორტსმუთი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 030 | ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 031 | ნორვიჩი — მანჩესტერ სიტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 032 | ნოტინგემი — ულსოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 033 | შეფილდი — კრ. პალასი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 034 | სტოკპორტი — ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 035 | სუინდონი — ბლექბერნი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 036 | ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 05.09 | 037 | ბოლტონი — ბირმინგემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 038 | პორტვეილი — გრიმსბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.09 | 039 | ბრენდფორდი — კარდიფი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 040 | ბრისტოლი — ბლეკპული | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 041 | ბარნლი — ბორნმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 042 | კემბრიჯი — სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 043 | კოლჩესტერი — უიგანი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 044 | ჯილინგემი — ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 045 | ლუტონი — ბერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 046 | მილუოლი — რედინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 047 | ოქსფორდი — უიკომბი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 048 | პრესტონი — ჩესტერფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 049 | სკანთორპი — როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 050 | რექსემი — ნოტსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.09 | 051 | ბარნეტი — მაკლსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | 052 | დარლინგტონი — ექსეტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 053 | ჰართლპული — საუთენდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 054 | ჰალი — ჩესტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 055 | ლეიტონი — შრიუსბერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 056 | მენსფილდი — პიტერბრო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 057 | ნორთჰემპტონი — კარლაისლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 058 | პლიმუთი — ბრაიტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 059 | როჩდეილი — ჰალიფაქსი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| | 060 | როტერჰემი — იორკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 061 | სუონსი — ჩელტენემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 062 | ტორკი — ლინკოლნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### იტალია. სერია B. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.09 | 073 | ატალანტა — ტრევიზო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 074 | ფერმანა — პისტოიეზე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | 075 | მონცა — ნაპოლი | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| | 076 | პესკარა — კიევო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| | 077 | რავენა — კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| | 078 | სალერნიტანა — ჩეზენა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 079 | სამპდორია — ბრეშა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 080 | სავოია — ემპოლი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | 081 | ტერნანა — ალძანო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 082 | ვიჩენცა — ჯენოა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### იტალია. სერია C1/A. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.09 | 083 | კომო — ჩიტალელა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 084 | ლივორნო — კარარეზე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 085 | ლუმეცანე — პიზა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 086 | მონტევარკი — მოდენა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 087 | რეჯანა — ალბინოლეფე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 088 | სანდონა — ლეკო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 089 | სიენა — ლუკეზე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 090 | სპალ — კრემონეზე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 091 | ვარეზე — ბრეშელო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალია. სერია C1/B. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.09 | 092 | ანკონა — ნოჩერინა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 093 | აველინო — ლოდიჯანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 094 | დი სანგრო — კროტონე | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | 095 | კატანია — ჯულიანოვა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 096 | ფ. ანდრია — ასკოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,03,2 | 2,3 | |
| | 097 | გუალდო — ატლეტიკო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 098 | სტაბია — არეცო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 099 | პალერმო — ბენევენტო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 100 | ვიტერბეზე — მარსალა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.09 | 101 | ბადახოსი — ელჩე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 102 | კამპოსტელა — მერიდა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 103 | ოსასუნა — ატლეტიკო B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 104 | ესტრემადურა — ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 05.09 | 105 | ხეტაფე — ეიბარი (14[30]) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 106 | ალბასეტე — ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 107 | სალამანკა — ლევანტე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 108 | ლეიდა — ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 109 | ლოგრონიესი — სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 110 | ლას პალმასი — უელვა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 111 | კორდობა — ტოლედო | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ბელგიის ლიგის თასი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.09 | 115 | კორტრაიკი — ანდერლეხტი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | 116 | ანტვერპენი — მუსკრონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.09 | 503 | ბელარუსი — უელსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 504 | დანია — შვეიცარია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 505 | ნორვეგია — საბერძნეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 506 | ალბანეთი — ლატვია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 507 | სლოვენია — საქართველო | ანგარიში — | | 5,0 |
| | 508 | ფინეთი — გერმანია | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | 509 | ჩრდ. ირლანდია — თურქეთი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 510 | უკრაინა — საფრანგეთი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | 511 | ისლანდია — ანდორა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 512 | რუსეთი — სომხეთი | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | | 0:3 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 513 | ინგლისი — ლუქსემბურგი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | | 0:4 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 514 | შვედეთი — ბულგარეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| | 515 | ავსტრია — ესპანეთი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | 516 | სლოვაკეთი — რუმინეთი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 517 | ლიხტენშტაინი — უნგრეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | 518 | ხორვატია — ირლანდია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 519 | ბოსნია — შოტლანდია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 520 | ფარერები — ესტონეთი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 521 | ლიტვა — ჩეხეთი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 05.09 | 522 | კვიპროსი — ისრაელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 523 | იუგოსლავია — მაკედონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,8 | 3,1 | 3,0 |

### ამხანაგური მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.09 | 524 | ჰოლანდია — ბელგია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 525 | არგენტინა — ბრაზილია | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია** (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### უეფას თასს მოიპოვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 |
| პარმა | 4,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 5,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 |
| აიაქსი | 5,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| ნიუკასლი | 7,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| მალიორკა | 10,0 |
| მონაკო | 10,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| ვერდერი | 10,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ანდერლეხტი | 15,0 |
| ბრიუგე | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| ლოკომოტივი | 50,0 |
| ვიტესი | 50,0 |
| სელტიკი | 50,0 |
| სპორტინგი | 50,0 |
| გიოტებორგი | 100,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| როდა | 100,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი — I ადგილზე, გასვლა — გასვლაზე, IV ადგილი — IV ადგილზე, თასის აღება — თასის აღებაზე)*

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
**ბათუმში** — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
**რუსთავში** — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
**გორში** — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
**თელავში** — კოსტავას ქუჩა 23

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე**



## გუშინ ჟურნალისტთა სახლში გაცხადდა

# XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი რეფერენდუმის შედეგები

მეოთხე ნომინაციაში „საუკუნის სამი საუკეთესო გუნდი“ რეფერენდუმი გაიმართა ერთ ტურად. ჟიურის თითოეულმა წევრმა დაასახელა სამ-სამი საუკეთესო გუნდი. პირველ ადგილზე დასახელებულს დაერიცხა 5 ქულა, მეორეს — 3, მესამეს — 2. ქულათა ჯამით პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულები გამოცხადდნენ მეოთხე ნომინაციის ლაურეატებად.

გამოკითხვაში მონაწილეობდა რეფერენდუმის 48 წევრი. ანკეტებში სულ დასახელდა სპორტის შვიდი სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ხელბურთი, რაგბი, ჩოგბურთი, კრივი) ცხრა გუნდი.

დებულების შესაბამისად, მეოთხე ნომინაციის ლაურეატებად გამოცხადდნენ:

**1. 1981 წლის თბილისის „დინამო“ (ფეხბურთი) — 204 ქულა. დასახელებულია 46 ანკეტაში. მათ შორის: I ადგილზე — 34 ანკეტაში, II ადგილზე — 10 ანკეტაში, III ადგილზე — 2 ანკეტაში.**

**2. 1992-96 წლების საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები — 114 ქულა. დასახელებულია 38 ანკეტაში. მათ შორის: I ადგილზე — 9 ანკეტაში, II ადგილზე — 11 ანკეტაში, III ადგილზე — 18 ანკეტაში.**

**3. 1962 წლის თბილისის „დინამო“ (კალათბურთი) — 104 ქულა. დასახელებულია 38 ანკეტაში. მათ შორის: I ადგილზე — 2 ანკეტაში, II ადგილზე — 22 ანკეტაში, III ადგილზე — 1 ანკეტაში.**

ლაურეატთა გარდა ანკეტებში დასახელებული გუნდები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდნენ:

4. 1964 წლის თბილისის „დინამო“ (ფეხბურთი) — 28 ქულა. დასახელებულია 8 ანკეტაში.მათ შორის: I — 3 ანკეტაში, II ადგილზე — 3 ანკეტაში, III ადგილზე — 2 ანკეტაში.

5. 60-იანი წლების თბილისის „ბურევესტნიკი“ (ხელბურთი) — 13 ქულა. დასახელებულია 6 ანკეტაში. მათ შორის: II ადგილზე — 1 ანკეტაში, III ადგილზე — 5 ანკეტაში.

6. 80-იანი წლების ქუთაისის „აია“ (რაგბი) — 9 ქულა. დასახელებულია 4 ანკეტაში. მათ შორის: II ადგილზე — 1 ანკეტაში, III ადგილზე — 3 ანკეტაში.

7. 70-იანი წლების საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები — 4 ქულა. დასახელებულია 2 ანკეტაში III ადგილზე.

8. 1950-54 წლების თბილისის „დინამო“ (კალათბურთი) 2 ქულა. დასახელებულია 1 ანკეტაში, III ადგილზე.

9. 1945 საქართველოს მოკრივეთა ნაკრები — 2 ქულა. დასახელებულია 1 ანკეტაში, III ადგილზე.

მეხუთე ნომინაციაში „საუკუნის მწვრთნელი“ რეფერენდუმი გაიმართა ერთ ტურად. ჟიურის თითოეულმა წევრმა დაასახელა ათ-ათი საუკეთესო მწვრთნელი. თითოეულს დაერიცხა თითო ხმა. მწვრთნელი, რომელმაც ხმათა საერთო რაოდენობით 25 პროცენტი და მეტი მოაგროვა, გამოცხადდა მეხუთე ნომინაციის ლაურეატად.

გამოკითხვაში მონაწილეობდა რეფერენდუმის ჟიურის 48 წევრი. ანკეტებში სულ დასახელდა 74 მწვრთნელი.

დებულების შესაბამისად, მეხუთე ნომინაციის ლაურეატებად გამოცხადდნენ:

**1 გიორგი ავალიშვილი (კალათბურთი); 2 ნოდარ ახალკაცი (ფეხბურთი); 3 მიხეილ თიკანაძე (თავისუფალი ჭიდაობა); 4 სულიკო თორთლაძე (კალათბურთი); 5 პეტრე იორდანიშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 6 მიხეილ კეკელიძე (კალათბურთი); 7 აკოფ კერსელიანი (მძლეოსნობა); 8 ვახტანგ კუხიანიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 9 ბიძინა მაზიაშვილი (ძიუდო); 10 ანდრო ჟორდანია (ფეხბურთი); 11 ნელი სალაძე (მხატვრული ტანვარჯიში); 12 ვახტანგ ქარსელაძე (ჭადრაკი)**

მათ გარდა ანკეტებში დაასახელეს (ანბანის მიხედვით): ნერსეს აკოფოვი, გივი ახვლედიანი, ვახტანგ ბალავაძე, თემურ ბენდიაშვილი, ილია ბობოხიძე, ჰანს ბურჯანაძე, ილია გიგაური, ალექსანდრე გოლდშტეინი, ლევ გოლოვნია, ივან გრიქუროვი, იური გუტიაკულოვი, დავით დავითაია, შოთა დარასელია, შალვა დიასამიძე, ბორის დიაჩკოვი, ვლადიმერ ელოშვილი, გივი ზაუტაშვილი, გიორგი ვარძელაშვილი, მიხეილ იაკუშინი, ოლეგ იაძე, შოთა ინწკირველი, ლუკა იოაკიმიდი, ვასილ ილურიძე, დუგლას კავთელაშვილი, გავრილ კაჩალინი, ლავრენტი კაციაშვილი, შალვა კილაძე, მარიამ კლდიაშვილი, ჯემალ კოსტავა; ბიჭიკო მარიდაშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი, ზურაბ მაჩხანელი, აკაკი მეიფარიანი, ომარ მერაბიშვილი, ტრიფონ მესხი, ლევან მოსეშვილი, ქრისტოფორე ნინიაშვილი, ანატოლი ნორაკიძე, შალვა ნოზაძე, გურამ პაპიტაშვილი, გიორგი როსტიაშვილი, ვახტანგ სალუქვაძე, მარგალიტა ტატიშვილი, ოთარ ტატიშვილი, ბორის ტახტაროვი, მიხეილ ქლეხსაშვილი, ოთარ ქორქია, გიორგი შარაშიძე, კარლო შენგელია, მიხეილ შიშოვი, ილია ჩხარტიშვილი, როსტომ ჩაჩავა, ლევ ძეკონსკი, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა ხაბარელი, ირაკლი ხაბურზანია, არამ ხანგულიანი, გმირო ხაჩიძე, მურთაზ ხურცილავა, კარლო ხურციძე, შალვა ჯაშიაშვილი, გურამ ჯოხაძე

მეექვსე ნომინაციაში „საუკუნის სპორტული მოღვაწე“ რეფერენდუმი გაიმართა ერთ ტურად. ჟიურის თითოეულმა წევრმა დაასახელა ექვს-ექვსი საუკეთესო მოღვაწე. თითოეულ მათგანს დაერიცხა ერთი ხმა. მოღვაწე, რომელმაც ხმათა საერთო რაოდენობით 25 პროცენტი და მეტი მოაგროვა, გამოცხადდა მეხუთე ნომინაციის ლაურეატად“).

გამოკითხვაში მონაწილეობდა რეფერენდუმის ჟიურის 48 წევრი. ანკეტებში სულ დასახელდა 40 მოღვაწე.

დებულების შესაბამისად, მეექვსე ნომინაციის ლაურეატებად გამოცხადდნენ (ანბანის მიხედვით)

**1 ვიქტორ გოგლიძე; 2 ნოდარ გუგუშვილი; 3 გიორგი ეგნატაშვილი; 4 დიმიტრი იოსელიანი; 5 მიხეილ კაკაბაძე; 6 გიორგი მერკვილაძე; 7 გიორგი ნიკოლაძე; 8 გიორგი სიხარულიძე; 9 მიხეილ ცხვედაძე**

მათ გარდა ანკეტებში დაასახელეს (ანბანის მიხედვით): ნანა ალექსანდრია, კახი ასათიანი, ნოდარ ახალკაცი, შოთა ახვლედიანი, ჯანო ბაგრატიონი, არჩილ ბაქრაძე, გაიოზ ბერელაშვილი, ივანე ბოჭორიძე, გურამ გაბესკირია, ნონა გაფრინდაშვილი, სანდრო გვალია, ოთარ გიგინეიშვილი, თენგიზ კანკავა, ლევან გიორგაძე, ჯოკია გუგავა, ლევან თედიაშვილი, მიხეილ თურქია, ვლადიმერ კანკავა, მიხეილ კეკელიძე, ისაკ კიზირია, ანტონ ლუკეში, სიმონ მაისურაძე, კაპიტონ ნაჭყებია, ვლადიმერ ნორაკიძე, ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ლევან ფალავანდიშვილი, გიორგი ჩიკვაიძე, დორმიდე ჩხიკვაძე, ავთანდილ ციბაძე, დათა ჯავრიშვილი

### მეორე და მესამე ნომინაციების I ტურის შედეგები

*მეორე ნომინაცია: „საუკუნის 3 საუკეთესო სპორტსმენი ქალი“.* ანკეტებში სულ დასახელდა 9 სპორტსმენი. დებულების თანახმად, დასკვნით ტურში გავიდა 5 სპორტსმენი — ვინც ქულათა ჯამით დასახელებულთა საერთო რაოდენობის პირველ ნახევარში მოხვდა (კენტი რიცხვის შემთხვევა — 50%+1)

*მეორე ნომინაცია: „საუკუნის 3 საუკეთესო სპორტსმენი კაცი“.* ანკეტებში სულ დასახელდა 12 სპორტსმენი. დებულების თანახმად, დასკვნით ტურში გავიდა 6 სპორტსმენი — ვინც ქულათა ჯამით დასახელებულთა საერთო რაოდენობის პირველ ნახევარში მოხვდა.

ლაურეატთა ვინაობა გამოცხადდება 1999 წლის 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში, ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალზე

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### მზია ჯუღელი

ტანვარჯიში

დაიბადა 1925 წლის 1 აგვისტოს ქუთაისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის რვაგზის ჩემპიონი ბჯენით ხტომებსა და რგოლებზე ვარჯიშში (1946-1955), სტუდენტთა XI მსოფლიო თამაშების (1951) ჩემპიონი ბჯენით ხტომაში და გუნდურ ვარჯიშში, ახალგაზრდობის I საერთაშორისო სპორტული თამაშების (1954) გუნდური ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ხტომებში, ჰელსინკის ოლიმპიადის (1952) გუნდური ჩემპიონი



1. ჩემთვის ყველაზე სასიხარულო 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება იყო.

1956 წელს მოსკოვში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. შეჯიბრების წინა დღეს მოვიწამლე. თავს ცუდად ვგრძნობდი, თუმცა ბჯენით ხტომებში მაინც ვიასპარეზე. ცხადია, დასუსტებული კარგად ვერ გამოვედი — ერთი ნახტომის მერე დავეცი და წავაგე. არადა, მანამდე ზედიზედ შვიდჯერ მოვიგე ეს ტურნირი. ამ მარცხის გამო აღარც 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ ნაკრებში შემიყვანეს. ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდი სწორედ ესაა.

2. დღეს სპორტში მართლაც მძიმე მდგომარეობაა. სპორტსკოლებს სამუშაოდ არანაირი პირობები არა აქვთ — არც წყალი, არც შუქი, არც გათბობა... ბავშვები ცივ დარბაზებში ვარჯიშობენ. სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ხელფასები თითქმის არ ეძლევათ. ისინი ვარჯიშობენ, შრომობენ, ენერგიას ხარჯავენ, მისი აღდგენის საშუალება კი არა აქვთ, რადგან აკლიათ ნორმალური კვება. უფულობის გამო ვერც შეჯიბრებებზე მიდიან, ან თუ მიდიან, ხშირად საკუთარი ხარჯით. აგერ, ზამთარი მოდის, მაგრამ როგორ უნდა ივარჯიშონ ცივ დარბაზში? სპორტსმენი რომ სავარჯიშო იარაღთან ხელთათმანით მივა, იმას რა უნდა მოსთხოვოს? მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ მომავლის იმედს. მჯერა, ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდება და სპორტსაც შეექმნება ის აუცილებელი პირობები, რაც მას კრიზისიდან გამოიყვანს.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე; ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე



# დღეს ვუელტაა

## სამი ჯადოსნური წრის ბოლო წრე

*ველორბოლების, განსაკუთრებით კი მრავალდღიანი ველორბოლების გურმანებს ალბათ უკვე კარგა ხანია გაშლილი აქვთ ესპანეთის რუკები, კარგა ხანია მკითხაობენ ფერადი ჭიკარტებით მონიშნულ რამდენიმე ათასკილომეტრიან ტრასაზე, საგულდაგულოდ „სწავლობენ" განსაკუთრებით რთულ მთიან ეტაპებს, ითვლიან, ანგარიშობენ და ალბათ პროგნოზებიც უკვე მზად აქვთ. ალბათ კი არა, ეს ყველაფერი ასეა, რადგან დღეს სეზონის მესამე და ბოლო მრავალდღიანის სტარტია, დღეს ვუელტაა...*

*ჯირო, ტური და ვუელტა... იტალიურად, ფრანგულად და ესპანურად სამივე წრეს ნიშნავს. სამივე მრავალდღიანია და ფაქტობრივად ეს სამი შეჯიბრება განსაზღვრავს თითოეული ველომრბოლის ადგილს მსოფლიოს რანგთა ტაბელში. ვერც მსოფლიო თასის მთელ სეზონზე გაბნეული შეჯიბრებები, ვერც მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები ოდნავადაც ვერ ცვლის ამ სამი, მართლაცდა ჯადოსნური „წრით" დადგენილ სუბორდინაციას. ასე იყო, ასე არის და ალბათ ასეც იქნება..:*

*არავის ახსოვს ოცდაათი, ოცი, თუნდაც ათი წლის წინანდელი მსოფლიო ჩემპიონების სახელები, სამაგიეროდ, სპორტის მოყვარული გეტყვით, ვინ იყო მერქსი, ანკეტილი, ინო, ინდურაინი... გეტყვით, იმიტომ, რომ ისინი „ტურის", „ჯიროსა" და „ვუელტას" მრავალგზის გამარჯვებულები იყვნენ; დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ იან ულრიხს, მარკო პანტანისა და ლანს არმსტრონგს, იცნობენ იმის მიუხედავად, რომ მათ ჯერჯერობით თითოოროორჯერ მოუგიათ ეს ურთულესი მრავალდღიანები...*

### დღეს ვუელტაა...

რა თქმა უნდა, როგორც წინა ორი, ეს მრავალდღიანიც რაღაცნაირად ნაკლული იქნება. ნაკლული იმ თვალსაზრისით, რომ ყველა უძლიერესი სპორტსმენის შეგროვება ვერც ესპანურ წრეზე მოხერხდება. ეს ამ შეჯიბრებების ქრონიკული და ალბათ ერთადერთი ნაკლია. მიზეზი სულ უბრალოა: არც ერთ, ფანტასტიკური გამძლეობის სპორტსმენსაც კი არ ძალუძს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით სამივე მრავალდღიანში ასპარეზობა. თითოეული მათგანი ხომ ოცდაორი დღე გრძელდება, თითოეული მათგანი ოთხი ათას კილომეტრამდეა გაჭიმული, თითოეულ მათგანზე ექვსი მთიანი ეტაპი და, სულ ცოტა, ოცი მთა მაინც არის, ყველაფერ ამას დაუმატეთ სამი ინდივიდუალური რბოლა, წვიმა, ქარი, სიცხე, სიცივე, თოვლიც კი და მიზეზიც გასაგები გახდება. სანაცვლოდ ერთ-ერთ მათგანში, ვთქვათ, „ტურ დე ფრანსზე" პირველ ათეულში მოხვედრა მსოფლიო ველოსპორტის სპეციალისტთა და გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში მოხვედრას ნიშნავს, პირველ სამეულზე ან გამარჯვებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ოდნავ დაბალი რეიტინგი აქვთ „ჯიროსა" და „ვუელტას", მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობისა მაინც ის არის, ვინ მონაწილეობს ამა თუ იმ შეჯიბრებაში, ესე იგი, მთავარი მაინც შემადგენლობაა, თორემ ტრასის სირთულით თუ ვიხელმძღვანელებთ, წლეულს „ჯიროცა" და „ვუელტაც" „ტურ დე ფრანსზე" გაცილებით რთულიც არის და საინტერესოც.

რადგან შემადგენლობა ვახსენეთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ „ჯიროში" არ მონაწილეობდნენ იან ულრიხი, ფერნანდო ესკარტინი, ლორან დიუფო. „ტურ დე ფრანსში" ამავე მრავალდღიანის ორი უძლიერესი ველომრბოლი მარკო პანტანი და იან ულრიხი; „ვუელტაში" ვერ გამოვლენ მარკო პანტანი (ეს მისი პროტესტია მის მიმართ განხორციელებული მაქინაციების საპასუხოდ) და წლევანდელ „ტურში" გამარჯვებული ამერიკელი ლანს არმსტრონგი. „ტურის" მოგების შემდეგ არმსტრონგს „ვუელტაში" გამარჯვების ერთობ მცირე შანსებიღა რჩებოდა და ბუნებრივი და გასაგებია მისი უარიც. სხვათა შორის, დღეს მოასპარეზე სპორტსმენებიდან მხოლოდ ერთადერთს იტალიელ მარკო პანტანის აქვს მოგებული ერთ სეზონში ორი მრავალდღიანი, კონკრეტულად — „ჯირო დიტალია" და „ტურ დე ფრანსი."

ეს, რაც შეეხება არმონაწილეობას. ახლა მივუბრუნდეთ „ვუელტასა" და მის მონაწილეებს.



ალექს ცულემ იქნებ ახლა მაინც „მოინდომოს" პირველობა

### იან ულრიხი

#### მეტსახელად გაუცინარი

მსოფლიოს გრანდებს შორის ყველაზე ახალგაზრდა და საკმაოდ ტიტულიანიც — ორჯერ 1996 და 1998 წლებში მეორე იყო „ტურ დე ფრანსზე", 1997 წელს კი ყვითელი მაისურით შემოსილი ტრიუმფით შევიდა პარიზში, ელისეს მინდვრებზე. თუ წლეულს „ტურის" წინ დაშავებულმა მუხლმა არ გაუხსენა თავი, უეჭველად მოიგებს „ვუელტას". ამ ახალგაზრდა კაცს ძნელად თუ რამე გაამხიარულებს ან დაამწუხრებს. ყოველთვის მშვიდია, იქამდეც კი, რომ კაცი უნებლიედ იფიქრებს, რობოტი დაუსვამთ ველოსიპედზეო. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მაყურებელს ერთადერთხელ ჰქონდა შანსი მის სახეზე დაღლილობა თუ ტკივილი ამოეკითხა. ეს იყო შარშან „ტურ დე ფრანსის" მეთხუთმეტე ეტაპზე, როცა პანტანისთან გადამწყვეტ ჭიდილში გერმანელს ოთხთავა კუნთმა უღალატა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ძნელი იყო იმის გარჩევა ფიზიკური ტკივილი აღბეჭდა ულრიხს სახეზე თუ ტკივილი იმის შეგნებისა, რომ იმ ეტაპზე მარცხი „ტურ დე ფრანსში" საერთო დამარცხების ტოლფასი იყო.

### ალექს ცულე

#### კაცი, რომელსაც ჩემპიონობა არ უნდა

ნიჭი, იცოცხლე, ბარაქიანად უწილადა ბუნებამ, მაგრამ შვეიცარიელი ველოსიპედისტის შედეგებსა და შესაძლებლობებს შორის მთელი უფსკრულია.

ორჯერ მეორე ადგილი „ტურ დე ფრანსში" და ერთი გამარჯვება „ვუელტაში" ნებისმიერი ველოსიპედისტის ბიოგრაფიას დაამშვენებდა, მაგრამ ისევ ეს მაგრამ...

საოცრად სათნო, კეთილი თვალები შემოგცქერით საკმაოდ სქელი ლინზებიდან. ხასიათიც თვალებივით აქვს — რბილი, მორჩილი. ცუდმა მხედველობამ ბევრჯერ უღალატა, ბევრჯერ მოყვა ზედახორაში, ბევრი ძვირფასი წუთი დაკარგა, ბევრი ტრავმაც მიიღო და ბევრჯერ მოუხდა შეჯიბრების მიტოვება. ბევრი დააკარგვინა რბილმა ხასიათმაც — ძალა კი შესწევს, მაგრამ როგორღაც ვერ აეწყობა ხოლმე საჩემპიონოდ.

შეძლებით როგორ არ შეუძლია „ვუელტას" მოგება. ეს არის, ბევრი ენერგია შეალია „ტურ დე ფრანსის" მძიმე ბრძოლებს. მეორე ეტაპზევე, ისეთზე როგორზეც არავინ არაფერს არ კარგავს, ექვსი წუთი დაკარგა. ისე გამოვიდა, „ტურის" სტარტზე თავის ყველა ძირითად კონკურენტს ექვსწუთიანი ფორა მისცა. ფორის დაბრუნებას ორჯერ მეტი ენერგია დასჭირდა. ერთადერთი, ვინც გაუმკლავდა ცულეს შეტევებს „ტურის" მომავალი გამარჯვებული ლანს არმსტრონგი იყო. ასეთი სტარტის შემდეგ ასეთი ფინიში ალბათ მარტო ცულეს ხელეწიფება, იტყვის მერე მისი ერთ-ერთი მწვრთნელი.

### რიშარ ვირანკი

#### ლტოლვილი მთის მეფე

კიდევ ერთი, რაღაც სისულელესა თუ ვიღაცის ხუშტურებს შეწირული გრანდი, ოთხგზის მთის მეფის ტიტულის მფლობელი — თანაც სად, „ტურში" — მთელი წელიწადი უშედეგოდ ამტკიცებდა სიმართლეს, აკრძალული პრეპარატები არ გამომიყენებიაო. მთელი წელიწადი ჰყავდათ შერისხული ფრანგი მრბოლი საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციასა და „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორებს. მხოლოდ „ტურის" დაწყების წინა დღეს, ისიც ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის დაწოლის შემდეგ დართეს რიშარ ვირანკს „ტურში" ასპარეზობის ნება.

ურიგოდ არ გამოსულა. თუმცა დღეს ძნელი სათქმელია, როგორ იმოქმედა სპორტსმენზე ამდენი ხნის აკრძალვებმა და შესაბამისად, ნერვიულობამაც.

### ესკარტინი და ოლანო

#### ესპანელთა აუხდენელი ოცნება

დიდი მიგელ ინდურაინის შემდეგ ესპანელთა იმედები ამ ორ სპორტსმენთანაა დაკავშირებული. დიდ მომავალსა და მეორე ინდურაინობას უწინასწარმეტყველებდნენ ოლანოს. ახლავე ვიტყვით, რომ ეს იმედები არ გამართლდა. ოლანო ასე თუ ისე რიგიანად ასპარეზობს ინდივიდუალურ რბოლებში, რაც შეეხება მთებს, იგი ჯერ კიდევ შორსაა იმ შესაძლებლობებისგან, რაც ასე აუცილებელია გრძელი და თავბრუდამხვევი ალმართების მოსაგებად და შესაბამისად დიდი წარმატების მისაღწევად. სულ სხვაგვარად არის ესკარტინის საქმე. ეს მორიდებული, საოცრად თავმდაბალი სპორტსმენი ასევე მორიდებულად და ჩუმად მოვიდა დიდ ველოსპორტში. პირველი შედეგები არცთუ შთამბეჭდავი იყო, მერე ნელ-ნელა წამოეწია ლიდერებს, განსაკუთრებით კი მთიან ეტაპებზე, სადაც პირველ ხუთეულში თითქმის ყოველთვის ხვდებოდა. უკვე ანგარიშგასაწევია მისი შედეგი ივლისში დამთავრებულ „ტურზე" — მესამე ადგილი ხუმრობა არ არის. „ვუელტას" მთიან ეტაპებზე ესკარტინი ახლაც შეუდარებელი იქნება, მაგრამ ინდივიდუალურ რბოლებში სუსტი ასპარეზობა ამ მშვენიერი სპორტსმენის აქილევსის ქუსლია და ალბათ სწორედ ეს შეუშლის ხელს კარიერაში პირველი დიდი წარმატების მოპოვებაში.

### ჯულიჩი

#### აგენტი №2

ამერიკელთა №2 ჯილა ალბათ სწორედ აქ „ვუელტაში" შეეცდება გრანდების მარაქაში გარევას. მისი წლევანდელი სტარტი „ტურში" უიღბლო გამოდგა. მთავარი ბრძოლები არც კი იყო დაწყებული, რომ ერთ-ერთ მოსახვევში დავარდა და ტრავმის გამო საფრანგეთის დატოვება და პატივმოყვარული გეგმების სამომავლოდ გადადება მოუხდა. არადა „ტურზე" ფავორიტად იყო ჩამოსული. ეს „ტიტული" „ტურ დე ფრანსში" შარშანდელი შთამბეჭდავი გამოსვლის სანაცვლოდ დაიმსახურა. მაშინ ჯულიჩი სულ ოდნავ ჩამორჩა მეორე პრიზიორს იან ულრიხს.

*ახლა კი კმარა პროგნოზები, რადგან ყველაფერი მაინც ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს. არავის ძალუძს ნაღდად იწინასწარმეტყველოს რამე ამ ურთულეს შეჯიბრებაში. ესეც არ იყოს, საამისო დროც აღარ დარჩა.*

*დღეს „ვუელტაა"...*

**ირაკლი ბერიაშვილი**

## ვუელტას განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 4 სექტემბერი: | პროლოგი | მურსია (ინდივიდუალური რბოლა) 6,1 კმ |
| 5 სექტემბერი: | I ეტაპი | მურსია — ბენიდორნი 179 |
| 6 სექტემბერი: | II ეტაპი | ალიკანტე — ალბასეტე 206 |
| 7 სექტემბერი: | III ეტაპი | ლა როდა — ფუენლაბრადა 229,5 |
| 8 სექტემბერი: | IV ეტაპი | ლას როზას — სალამანკა 185,6 |
| 9 სექტემბერი: | V ეტაპი | ბეხარი — სიუდად როდრიგო 160 |
| 10 სექტემბერი: | VI ეტაპი | სალამანკა (ინდ. რბოლა) 46,4 |
| 11 სექტემბერი: | VII ეტაპი | სალამანკა — ლეონი 217 |
| 12 სექტემბერი: | VIII ეტაპი | ლეონი — ალტო დე ელ ანგლირუ 175,6 |
| 13 სექტემბერი: | IX ეტაპი | ხიხონი — ლას კორალეს დე ბუელნა 185,8 |
| 14 სექტემბერი: | დასვენების დღე | |
| 15 სექტემბერი: | X ეტაპი | სარაგოსა — სარაგოსა 183,2 |
| 16 სექტემბერი: | XI ეტაპი | უესკა — პლა დე ბერეტი 201 |
| 17 სექტემბერი: | XII ეტაპი | სორტი — ორდინო-არკალისი 147,4 |
| 18 სექტემბერი: | XIII ეტაპი | ანდორა — კასტელარ დელ რიუ 149 |
| 19 სექტემბერი: | XIV ეტაპი | ბარსელონა— ბარსელონა 141 |
| 20 სექტემბერი: | XV ეტაპი | ლა სენია — ვალენსია 193,4 |
| 21 სექტემბერი: | XVI ეტაპი | ვალენსია — ტერუელი 200,4 |
| 22 სექტემბერი: | XVII ეტაპი | ლოს ბრონხალესი — გვადალახარა 225 |
| 23 სექტემბერი: | XVIII ეტაპი | გვადალახარა — ალტო დე აბანტოსი 166,3 |
| 24 სექტემბერი: | XIX ეტაპი | ელ ესკორიალი — ავილა 184,6 |
| 25 სექტემბერი: | XX ეტაპი | ელ ტიემბლო — ავილა (ინდ. რბოლა) 46,5 |
| 26 სექტემბერი: | XXI ეტაპი | მადრიდი — მადრიდი 163 |

## გუნდების შემადგენლობები

**ბანესტო:** ალექს ცულე (შვეიცარია), მანუელ ბელტრანი (ესპანეთი), ხოსე გარსია აკოსტა (ესპანეთი), ორლანდო გომეშ როდრიგესი (პორტუგალია), ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი), ხონ ოდრიოსოლა (ესპანეთი), აიტორ ოსა (ესპანეთი), ლეონარდო პიეპოლი (იტალი), სეზარ სოლანა (ესპანეთი)

**კოფიდისი:** ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია), გრეგორ გვიადოვსკი (პოლონეთი), ნიკოლა ჟალაბერი (საფრანგეთი), ბობი ჯულიჩი (აშშ), მასიმილიანო ლელი (იტალია), ნიკო მატანი (ბელგია), როლან მეიერი (შვეიცარია), არნო პრეტო (საფრანგეთი), კრისტოფ რინერო (საფრანგეთი)

**ტელეკომი:** იან ულრიხი (გერმანია), როლფ ალდაგი (გერმანია), დირკ ბალდინგერი (გერმანია), ფრანჩესკო ფრატინი (იტალია), ჯუზეპე გერინი (იტალია), იენს ჰეპნერი (გერმანია), დანილო ჰონდო (გერმანია), ანდრეას კლიოდენი (გერმანია), ჯოვანი ლომბარდი (იტალია)

**ფესტინა:** ვლადიმირ ბელი (იტალია), ლორან ბროშარი (საფრანგეთი), ფელიქს გარსია კასასი (ესპანეთი), ხაიმე ბელტრანი (ესპანეთი), პასკალ ერვე (საფრანგეთი), ფაბიენ ჟეკერი (შვეიცარია), ანდრეი კივილევი (ყაზახეთი), ხოსე ურიარტე (ესპანეთი), მარსელ ვუსტი (გერმანია)

**კელმე:** ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი), სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია), ფრანსისკო კაბელო (ესპანეთი), ანხელ ედო (ესპანეთი), რობერტო ერასი (ესპანეთი), ხოსე რუბიერა (ესპანეთი), ტონი ტაულერი (ესპანეთი), ხოსე ურია გონსალესი (ესპანეთი), ხოსე ვიდალი (ესპანეთი)

**ლამპრე:** ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია), სიმონე ბერტოლეტი (იტალია), მასიმო კოდოლი (იტალია), მარკო დელა ვედოვა (იტალია), რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა), გაბრიელე მისალია (იტალია), მარიანო პიკოლი (იტალია), ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი), იან სვორადა (ჩეხეთი)

**ლოტო:** ანდრეი ჩმილი (ბელგია), კოენ ბეკმანი (ბელგია), კრისტოფ დეტილუ (ბელგია), ჟაკი დიურანი (საფრანგეთი), კრის პეერსი (ბელგია), ჯო პლანკერტი (ბელგია), კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია), პოლ ვან ჰიფტი (ბელგია), რიკ ვერბრიუგე (ბელგია)

**ონსე:** აბრაამ ოლანო (ესპანეთი), იმიგო დე კასტრო (ესპანეთი), დავიდ ეჩებერია (ესპანეთი), ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი), პეტერ ლუტენბერგერი (ავსტრია), მიგელ პერდიგერო (ესპანეთი), ლუის პერეს როდრიგესი (ესპანეთი), მარკოს სერანო როდრიგესი (ესპანეთი), მიკელ სარაბეიტია (ესპანეთი)

**მაპეი:** პაველ ტონკოვი (რუსეთი), პაოლო ბეტინი (იტალია), ჯანი ფარეზინი (იტალია), მანუელ ფერნანდეს გინესი (ესპანეთი), ჩან უილიამი (აშშ), დანიელე ნარდელო (იტალია), ანდრეა ნოე (იტალია), ანდრეა ტაფი (იტალია), სტეფანო ძანინი (იტალია)

**პოლტი:** დავიდე რებელინი (იტალია), დანიელ ატიენსა (ესპანეთი), ენრიკო კასანი (იტალია), სტეფანო კატაი (იტალია), ფაბრიციო გიდი (იტალია), ლეონარდო გიდი (იტალია), კრისტიან სალვატო (იტალია), მაურო ძინეტი (იტალია), სიმონე ძუკი (იტალია)

**რაბობანკი:** მარკუს ზბერგი (შვეიცარია), ნიკი აებერსოლდი (შვეიცარია), იან ბოვენი (ჰოლანდია), ბრამ დე გროოტი (ჰოლანდია), კარსტენ კროონი (ჰოლანდია), კოოს მოერენჰუტი (ჰოლანდია), გრიშა ნიერმანი (გერმანია), როლფ სორენსენი (დანია), აარტ ვიერჰუტენი (ჰოლანდია)

**საეკო:** ლორან დიუფო (შვეიცარია), დარიო ანდრიოტო (იტალია), მარიო ჩიპოლინი (იტალია), სალვატორე კომესო (იტალია), დარიო ფრიგო (იტალია), ედი მაძოლენი (იტალია), არმინ მეიერი (შვეიცარია), მასიმილიანო მორი (იტალია), მარიო ტრავერსონი (იტალია)

**ტვმ:** ჯერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია), სტივენ დე იონგი (ჰოლანდია), სერგეი ივანოვი (რუსეთი), ანდრეას კლიერი (გერმანია), სერვაის კნავენი (ჰოლანდია), მიშელ ლაფი (შვეიცარია), სერგეი უშაკოვი (უკრაინა), გერტ ვან ბონდტი (ბელგია), პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია)

**პოსტალი:** ტაილერ ჰამილტონი (აშშ), ფრენკი ენდრიუ (აშშ), ჯულიან დინი (ახალი ზელანდია), ფრანკ ჰოი (დანია), მარტი ჯემისონი (აშშ), ბენუა ჟოაკიმი (ლუქსემბურგი), კევინ ლივინგსტონი (აშშ), გლენ მაგნუსონი (შვედეთი), ჯონათან ვოგტერსი (აშშ)

**ვიტალიცია:** სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი), ანხელ კასერო (ესპანეთი), დავიდ გარსია (ესპანეთი), ალვარო გონსალეს გალდეანო (ესპანეთი), იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი), ივან პარა პინტო (კოლუმბია), ვიქტორ პენია (კოლუმბია), სერგეი სმეტანინი (რუსეთი), ანდრეი ზინჩენკო (რუსეთი)

**რისო სკოტი:** ალესიო ბონიონი (იტალია), დიეგო ფერარი (იტალია), ფაბიო მალბერტი (იტალია), ჯუზეპე პალუმბო (იტალია), არნოლდას საპრიკინასი (ლიტვა), სამუელე სკიავინა (იტალია), ალექსანდრე შეფერი (ყაზახეთი), ფილიპო სიმეონი (იტალია), ალენ ტურიკია (იტალია)

**ესკალტელი:** ხოსება ბელოკი (ესპანეთი), ანხელ დელ ვალი (ესპანეთი), ინიგო ბერნადესი (ესპანეთი), ჩემა დელ ოლმო (ესპანეთი), უნაი ეჩებარია (ვენესუელა), იგორ ფლორესი (ესპანეთი), რამონ გონსალეს არიეტა (ესპანეთი), რობერტო ლაისეკა (ესპანეთი), ალბერტო დე გაუნა (ესპანეთი)

**ფუენლაბრადა:** ელეტერიო ინოხოსა (ესპანეთი), ანდრეს სილერი (ესპანეთი), მატიას ამედო (ესპანეთი), პედრო ლობატო (ესპანეთი), სეზარ კალვო (ესპანეთი), გერმან ნიეტო ფერნანდესი (ესპანეთი), სეზარ პადრონი (ესპანეთი), სტეფანო ვერსიაგი (იტალია), ხუან ვიკარიო (ესპანეთი)

**ამიკა:** ევგენი ბერზინი (რუსეთი), სტეფანო კასაგრანდე (იტალია), დანიელე დე პაოლი (იტალია), ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი), დანიელე გალი (იტალია), მარკო ჯილი (იტალია), რამონ გოლბანო (იტალია), ალესანდრო პოძი (იტალია), ფაბიო როსკიოლი (იტალია)

**ბენფიკა:** მელხიორ მაური პრატი (ესპანეთი), დანიელ ბაიეს პრატი (ესპანეთი), ხოსე გარიდო (ესპანეთი), ოსკარ ლოპეს ურიარტე (ესპანეთი), ლაუკა (პორტუგალია), დავიდ რომერო (ესპანეთი), კინტინო როდრიგეში (პორტუგალია), ჟორჟე სილვა (პორტუგალია), ლუიშ სარეირა (პორტუგალია)

**ლიკიგასი:** ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი), დანიელე კონტრინი (იტალია), კრისტიანო ფრატინი (იტალია), რუსლან ივანოვი (მოლდოვა), როდოლფო მასი (იტალია), მიკოლა მიჩელი (იტალია), მარკო მილეზი (იტალია), კრისტიან მორენი (იტალია), ჯანკარლო რაიმონდი (იტალია)

US OPEN

# კბილი კბილის წილ




რიჩარდ კრაიჩეკი

მონიკა სელეშს კარიერის დასაწყისი დიდ მომავალსა და უზრუნველ ცხოვრებას უქადდა, მაგრამ გამარჯვებების ნაცვლად ყოფილ იუგოსლაველს უიღბლობა დაებედა — ჯერ შტეფი გრაფის შერეკილმა გულშემატკივარმა დანით დაჭრა და ორი სეზონი გამოატოვებინა, მერე მამას, კაროლი სელეშს სიმსივნე აღმოაჩნდა და დაავადებასთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შარშან მაისში გარდაიცვალა.

მოკლედ, თავადაც ათასი ტრავმით დატანჯულ მონიკას საზრუნავი არასოდეს მოჰკლებია, თუმცა ბოლოს და ბოლოს, ყველა იარამ პირი შეიკრა და სიცოცხლით ტკბობის ჟამიც დადგა.

„დაახლოებით ოთხი კვირაა, პირველად ცხოვრებაში, კორტსგარეთ არანაირი პრობლემა არ მაწუხებს, ყველაფერი ჩინებულადაა. თუ ასეთი მდგომარეობა ერთ-ორ წელსაც გასტანს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება“ — განაცხადა მონიკამ პრესკონფერენციაზე.

1991-92 წლის ჩემპიონს და 1995-96-ის დამარცხებულ ფინალისტს წლევანდელ აშშ-ს ღია პირველობაზე ფავორიტთა შორის თითქმის აღარავინ მოიხსენიებს: მთელი ყურადღება ჰინგისზე, დებ უილიამსებსა და დევენპორტზეა გადატანილი, თუმცა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ეს ოდნავადაც არ აწუხებს.

„ისინი სრულიად იმსახურებენ ამას, ამ ზაფხულში ჩემზე გაცილებით უკეთ ასპარეზობდნენ, მე კი ტრავმის გამო სულ ორ ტურნირში ვითამაშე. თუმცა „ოუფენი“ ორ კვირას მიმდინარეობს და მოთამაშეებმა ვიცით, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

მეორე წრეში სილვია ფარინასთან შეხვედრას სელეშისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა — ამ ზაფხულში მხრის ტრავმითა და ხელზე გაჩენილი კოჟრებით დასუსტებულმა მონიკამ იტალიელთან ფედერაციის თასის ნახევარფინალში წააგო, რაც აშშ-ის გუნდს შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდა.

სელეშს შურისძიება დიდად არ გასჭირვებია: საფირმო ორხელა დარტყმებითა და ომახიანი ჭყვიტინით ფარინას სწრაფად მიუჩინა ადგილი და ცოტათი მაშინღა მოეშვა, მეორე ხელში 5:1 რომ დაწინაურდა.

„ამ მატჩის მოგება ძალიან მსურდა, მაგრამ ბოლოში ყურადღება მაინც გამეფანტა და მანაც ამით ისარგებლა“ — აღნიშნა მოგვიანებით ამერიკელმა, რომელმაც მეტოქეს მხოლოდ ანგარიშის შემცირება დაანება, 6:2, 6:3.

მატჩის შემდეგ მონიკამ ჟურნალისტებს გაანდო, მატჩების დროს თამაშს ყოველთვის ვარჯიში მერჩივნა, რადგან ვინმეს დამარცხება გულს სულაც არ მიხარებსო.

„უბრალოდ, ვერ ვიტან იმას, რომ შენი უპირატესობა უნდა დაამტკიცო, ეს მაგიჟებს. თუმცა ჩემპიონისთვის აუცილებელი მკვლელის ინსტინქტი არ დამიკარგავს. ჩოგბურთში მუდმივად თავის გადასარჩენად იბრძვი, თუ შენ არ მოიგებ, მაშინ სხვა მოგიგებს. ასე რომ, ავტომატურად სხვა არჩევანი არ გრჩება“.

როდესაც ერთმა ჟურნალისტმა შენიშნა, ზედმეტად კეთილი პიროვნება ხომ არ ხართო, მონიკამ ღიმილით უპასუხა: „ზოგჯერ კი და ახლა ამის გამოსასწორებლად ვმუშაობ. კარგი იქნებოდა, უფრო იოლად შემეძლოს ხალხისთვის უარის თქმა, მაგრამ ეს, ალბათ, ასაკის მომატებასთან ერთად მოვა“.

სელეშის არ იყოს, მეორე წრეში პირადი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი ტურნირზე მეთორმეტედ განთესილ რიჩარდ კრაიჩეკს — მისი მეტოქე კლასიფიკაციით 121-ე შვეიცარიელი ლორენცო მანტა იყო, სწორედ ის ყველასათვის უცნობი ჩოგბურთელი, რომელმაც წლევანდელ უიმბლდონზე ჰოლანდიელს ხუთ სეტში აჯობა.

„ამჯერად თავიდანვე მზად ვიყავი საბრძოლველად. უიმბლდონზე თვალის დახამხამებაში ორი ხელი წავაგე და მუდმივად მდევრის როლში ვიყავი, რის განმეორების სურვილიც ნამდვილად არ მქონდა“.

კრაიჩეკს აუტკივარი თავი ამ ჯერზე მართლაც არ აუტკივებია: მეტოქეს ეისების სეტყვა დააყარა თავს, მანტას მოწოდებას ლამის სურვილისამებრ ართმევდა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა 6:2, 6:4, 6:1.

ეს სეზონი უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონმა შესანიშნავად დაიწყო, ლონდონის და „ლიპტონის“ პირველობაზე იმარჯვა, კარიერის საუკეთესო, მეოთხე ადგილზეც მოკალათდა კლასიფიკაციაში, მაგრამ იქიდან მოყოლებული, წინსვლის ნაცვლად სტაბილური დაღმასვლა დაიწყო.

„ჯერ თიხნარის ტურნირებზე ვითამაშე ცუდად. ეგ არაფერი, ბალახზე გამოვასწორებ მდგომარეობას-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ კოვზი უიმბლდონზეც ნაცარში ჩამივარდა. მოკლედ, ახლა იმაზე მაქვს საზრუნავი, წარუმატებელი სეზონი როგორმე გადავარჩინო“ — მიაჩნია ზორბა ჰოლანდიელს, რომელმაც უფერული ზაფხული დიდი ხნის გელფრენდ, მსახიობ დაფნი დეკერსთან ქორწინებით გაიფერადა.

წესით და რიგით, აშშ-ის ღია პირველობის სწრაფი კორტები კრაიჩეკისთვის ზედგამოჭრილი უნდა იყოს, მაგრამ სწორედ ეს არის ერთადერთი დიდი სლემის ტურნირი, რომელზეც მას ნახევარფინალისთვისაც არასოდეს მიუღწევია.

„საინტერესოა, ეს საფარი მომწონს, ბურთებიც სწრაფია, ძალიან სწრაფი, მაგრამ დიდი მიღწევები ნიუ იორკში არასოდეს მქონია, რისი გამოსწორებაც კარგი იქნებოდა. ვფიქრობ, აქ გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია, ბოლო ხანებში კარგად არ ვთამაშობდი, მაგრამ თუ თავდაჯერებას დავიბრუნებ, ვინ იცის...“

ამასობაში კი კაცებს ბედს ტრავმის გამო უკვე მესამე ფავორიტი გამოაკლდა. პიტ სამპრასისა და პატრიკ რაფტერის ბედი მეორე წრეში როლან გაროსის ჩემპიონმა და „ოუფენის“ შარშანდელმა ნახევარფინალისტმა კარლოს მოიამ (8) გაიზიარა.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ტურნირზე კვალიფიკაციით მოხვედრილ ფრანგ ნიკოლა ესკუდესთან 1:6, 4:6, 1:0-ს აგებდა, როდესაც ზურგის ტრავმის გამო მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

„უკვე 10 დღეა, ტკივილს ვგრძნობდი, მაგრამ მეგონა, მატჩებს შორის ორდღიანი შესვენება და მკურნალობა მიშველიდა და თამაშს შევძლებდი. დარტყმების და მოწოდების დროს ზურგი არ მაწუხებდა, მაგრამ სწრაფი მოძრაობის ან მიმართულების შეცვლის დროს ძალიან მტკიოდა. ასე გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა“ — თავი იმართლა მოიამ, რომელსაც მატჩის დასრულებაში ტკივილგამაყუჩებელი ნემსის გაკეთებაც ვერ დაეხმარა.

### მეორე წრე

**კაცები:** **ანდრე აგასი** (2, აშშ) — აქსელ პრეჩი (გერმანია) 6:3, 6:2, 6:1; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:3, 6:3, 6:4; **ვინსენტ სპედეა** (აშშ) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:5, 7:6 (7:3), 5:7, 3:6, 6:3; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 3:6, 2:6, 6:4, 6:3; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — სესილ მემიტი (აშშ) 3:6, 6:3, 6:7 (4:7), 7:6 (8:6), 6:2

**ქალები:** **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:0, 6:2; **მარი პირსი** (5, საფრანგეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — სედა ნურლანდერი (ჰოლანდია) 5:7, 6:1, 6:4; **აი სუგიამა** (იაპონია) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:2, 4:6, 7:5; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ფაბიოლა ზულაგა (კოლუმბია) 4:6, 6:3, 6:1

**ავთანდილ სვანიძე**

## ინტერვიუ

# ჩოგბურთელი და ვარსკვლავი

*იქნებ პიტ სამპრასს უკეთესი მოწოდება ჰქონდეს, პატრიკ რაფტერი კი მშვენიერი სქესის მეტ წარმომადგენელს მოსწონდეს, მაგრამ როდესაც პოპულარობაზე მიდგება საქმე, ანდრე აგასის ჩოგბურთელებში ვერავინ გაეჯიბრება.*

*წლეულს ხოტორა ამერიკელს კარიერის საუკეთესო სეზონი უდგას — როლან გაროსის მოგებით თავის კოლექციაში ოთხივე დიდი სლემის ტიტულს მოუყარა თავი (რაც სულ 5 ჩოგბურთელს მოუხერხებია ისტორიაში), უიმბლდონზე ფინალში გააღწია, აშშ-ის ღია პირველობაზე კი გამარჯვების უპირველეს ფავორიტად ითვლება.*




ანდრე აგასი

**— იყო ისეთი მომენტი წლეულს, როდესაც დაჯექით და თავს უთხარით, რაც ხდება, წარმოუდგენელიაო?**

— ყველაფერი საფრანგეთის ღია პირველობის ფინალის მეორე დღეს დაიწყო. ეს ძალიან დიდი მიღწევა იყო ჩემთვის, რომელსაც ვერანაირი მოგება და წაგება ვერ გააფერმკრთალებდა. მე მიყვარს ჩოგბურთის თამაში და უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ჩემი ცხოვრების ახლანდელი პერიოდი. დიდად ვაფასებ იმ შესაძლებლობებს, რაც წინ მელის და იმ ფაქტს, რომ ზოგი ოცნების ასრულებისთვის მეორე შანსი მომეცა.

**— ოთხივე დიდი სლემის ტურნირის მოგება იმიტომ ხომ არ ფასობს მეტად, რომ წარსულის დიდ ჩემპიონებს— პიტ სამპრასს, ჯონ მაკინროის, ივან ლენდლსა და ჯიმი კონორსს იმავესთვის ვერ მიუღწევიათ?**

— მე ყველა ჩემპიონს ვუსურვებ ამის გამოცდას.

**— მაგრამ მაშინ ამას ასეთი ფასი არ ექნებოდა.**

— ჰო, ეს მართალია. ცოტა უცნაურია, ზემოხსენებული ჩოგბურთელებისგან გამორჩეულად რომ გრძნობ თავს, რადგან მე მათ ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოცაა. განსაკუთრებული ეს მიღწევა სწორედ იმიტომაა, რომ ძალიან ცოტას ანგარიშზეა.

**— კარიერის დასაწყისში თუ წარმოიდგენდით, რომ ამდენს მიაღწევდით, ასე ცნობილი გახდებოდით?**

— ცხოვრება ყოველთვის ისე არ აეწყობა, როგორც გსურს. ჩემზე ეს არ ითქმის, რადგან ყოველდღიურად იმის გაკეთება შემიძლია, რაც მართლაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

**— როდის მიხვდით, რომ უამრავი ადამიანი ამ ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში გაიგებდა, ვინ იყო ანდრე აგასი?**

— ეს ადრე მოხდა, როცა 17,18 წლის ვიყავი და თავიდანვე ვიცოდი, რომ ამ ფაქტს უნდა შევჩვეოდი. მაგრამ არავინ იცის, ეს რამდენ ხანს გასტანს და რა მნიშვნელობა უნდა მიანიჭო, მით უმეტეს, როცა ასეთი ახალგაზრდა ხარ.

**— რა ინციდენტის მერე მიხვდით, რომ უკვე ვარსკვლავი იყავით?**

— არანაირი ინციდენტი არ ყოფილა. ვფიქრობ, ამას იმ დღეს გააცნობიერებ, როდესაც, ვთქვათ, კინოში წასვლას მოინდომებ, მაგრამ ვერ წახვალ, რადგან იქ უამრავი ქომაგი უნდა დაგხვდეს, შენი ყოველდღიური ცხოვრება მათ გამო უნდა შეიცვალოს.

**— გიკვირთ, რომ პიტ სამპრასი თავს სპორტსმენად მიიჩნევს და არა ვარსკვლავად?**

— არა, მჯერა, რომ პიტი მართლაც ასე ფიქრობს.

**— თავად რომლად მიგაჩნიათ თავი?**

— მე ცნობილი ვერ გავხდებოდი, სპორტსმენი რომ არ ვყოფილიყავი.

**— ლოს ანჯელესში ტურნირის დროს ბრუკ შილდსი (აგასის ყოფილი მეუღლე) თქვენს ლოჟაში იჯდა. თქვენ ისევ მეგობრებად რჩებით?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველთვის ძალიან ახლოს ვიყავით და ახლაც ასეა. ერთმანეთს ძველებურად ხშირად ველარ ვნახულობთ, მაგრამ როცა ეს შესაძლებლობა გვეძლევა, ხელიდან არ ვუშვებთ.

**— არ გწყდებათ გული, რომ ერთმანეთს დაშორდით?**

— არა, მართალც არა. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

**— ეს იმან ხომ არ განაპირობა, რომ ჩოგბურთის და ქორწინების თანაარსებობა შეუძლებელი იყო?**

— არა, ასე არ ვფიქრობ. ქორწინება ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, ის იმიტომ არ დასრულებულა, რომ ჩემს კარიერას უშლიდა ხელს ან რაიმე ამდაგვარი. არაფერი რომ არ გამოგვივიდა, ჩვენივე ბრალია, ამას პირადული მიზეზები აქვს. მე კარგად ვთამაშობდი ბრუკის თანდასწრებით და უმისოდ. და მე ცუდადაც ვთამაშობდი ბრუკის თანდასწრებით და უმისოდ.

**— ის ისევ გქომაგობთ?**

— ჩვენ ერთმანეთის დიდი ქომაგები ვართ და ერთამანეთს ისევ ყოველივე კარგს ვუსურვებთ.

**— უახლოეს მომავალში ხელმეორედ დაქორწინება თუ წარმოგიდგენიათ?**

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ვინმე გყავთ შეგულებული?**

— არა.

**— ამის შესახებ ახალს არაფერს გვეტყვით?**

— სათქმელი არაფერია. საქმე ისაა, რომ ვერავინ ვერ „შევაბი“ (იცინის), სხვა რა გითხრათ?

**— თქვენს ვარსკვლავურ სტატუსს რამეში იყენებთ?**

— ვარსკვლავად ყოფნას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მაგალითად, ამ რამდენმე დღის წინ წყლის ატრაქციონზე ვიყავი. იქ დღისით რომ მივსულიყავი, დრო ყველა სხვა სტუმრისგან განსხვავებულად უნდა გამეტარებინა. ეს უარყოფითი მხარეა, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩემი სტატუსის დახმარებით იქ სამუშაო საათების შემდეგ მოვახერხე წასვლა. ასევე შემიძლია, ვთქვათ, ბოლო წუთს გადავწყვიტო რესტორანში სადილობა და წინასწარაც რომ არაფერი შევუკვეთო, იქ მაგიდა ჩემთვის ყოველთვის მოიძებნება. თუ შემეკითხებით, ასეთ ცხოვრებას ჩვეულებრივში თუ გავცვლიდი, პასუხს ვერ გაგცემდით, ორივეს თავისი უპირატესობა აქვს.

**— მაგრამ ვარსკვლაობა, ალბათ, ცოტათი მაინც უკეთესია...**

— ბევრი ასე ფიქრობს, თუმცა მე უამრავ ცნობილ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც ბედნიერები არ არიან და უამრავ ჩვეულებრივ მოკვდავს, რომლებიც შესანიშნავად გრძნობენ თავს.

**— რას გააკეთებთ, როდესაც დიდი სპორტიდან წახვალთ?**

— არ ვიცი.

**— ეს ცოტათი არ გაშინებთ?**

— შეიძლება, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა.

**— რაიმე ახალი ჰობი ხომ არ გაგიჩნდათ ბოლო ხანებში?**

— არა, მთელი დრო ჩოგბურთს მიაქვს, თანაც, სხეულსა და გონების ჯანმრთელობაზე ყოველთვის უნდა იზრუნო.

ჩოგბურთი



ნინო ესებუა

# გრანტის შვილები

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) ევროპული ასოციაციის ეგიდით ყოველწლიურად აწყობს 14 და 16 წლამდე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირებს. ერთი ამათგანი — 16-წლამდელთა შეჯიბრი ახლახან დასრულდა კიშინიოვში. იქ ოთხი ქართველი ასპარეზობდა — ოთარ ენუქიძე, კოკა ბურჭულაძე, თამარ ზედგინიძე და ნინო ესებუა.

მსგავს ტურნირში ეკონომიკურად ნაკლებუზრუნველყოფილი 16 ევროპული ქვეყანა მონაწილეობს. შეჯიბრება ორ ნაწილად ტარდება. შემადგენლობა ორჯერვე უცვლელია. ამ ტურნირების შედეგების გათვალისწინებით დგება საერთო ცხრილი. ITF საუკეთესო ხუთეულს აძლევს 2 500-დოლარიან გრანტს, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებში გამოსასვლელად უნდა გამოიყენონ. ამ ტურნირებს თავად სპორტსმენი ირჩევს.

ნინო ესებუამ (მწვრთნელი — დავით ისლამოვი) კარგად დაიწყო პირველი ტურნირი და ნახევარფინალში გავიდა. როგორც ისლამოვი ამბობს, ნინო ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა და ფინალში გასვლაც შეეძლო, მაგრამ ბულგარელ პენკოვასთან შეხვედრამდე ავად გახდა და წააგო დაძაბულ, სამსეტიან ბრძოლაში.

უფრო წარმატებით ითამაშა ესებუამ მეორე ტურნირში, სადაც ნახევარფინალში პენკოვას ჯავრიც ამოიყარა — 6:3, 6:1 და ფინალში გავიდა. სამწუხაროდ, აქ კი ველარ იყოჩაღა და ლატვიელ კატარინა ბანდერეს ორივე სეტში დანებდა — 2:6, 3:6.

მიუხედავად ამისა, საერთო ჩათვლაში ესებუა მხოლოდ გამარჯვებულებს — ბანდერესა და უკრაინელ ფედაკს (მან წინა ტურნირში იმარჯვა) ჩამორჩა, რითაც ITF გრანტსაც დაეუფლა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ შარშან, როცა ესებუა 14-წლამდელთა ტურნირში გამოდიოდა, მაშინაც ირგუნა გრანტი. ისლამოვი ნინოს წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ფიზმომზადების მწვრთნელის ლექსო ბურნაძის საქმიანობასაც მიიჩნევს.

დანარჩენ ჩვენებურთაგან ენუქიძემ ორივე ტურნირში პირველივე მატჩი წააგო, ბურჭულაძემ და ზედგინიძემ კი თითოჯერ მეოთხედფინალსაც მიაღწიეს.

ბოლოს იმათზეც, ვისი შემწეობითაც გუნდი კიშინიოვში წავიდა: ჩოგბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ლეილა მესხი (გზის ხარჯი ამათზეა), ფიზკულტურის ინსტიტუტის საჩოგბურთო კლუბ „ოლიმპის“ მწვრთნელები — ნიკოლოზ გულიაშვილი და ნიკოლოზ ელერდაშვილი (თავიანთი კორტები უსასყიდლოდ დაუთმეს გოგონებს სავარჯიშოდ) და დავით დავითიძე და ბადრი ახალაძე სააქციო საზოგადოებიდან „საქართველოს ავიახაზები“.

ირაკლი თავაძე

ბატუტზე ხტომა

# მედალიც და ლიცენზიაც... სინქრონული ფიქრი ბატუტზე

ზედ კიდევ ორი ქართველი სპორტსმენი, ამჯერად ბატუტისტები — რუსუდან ხოფერია და ზაზა აბრამიშვილი შედგებიან ლიცენზიების საძიებელ გზაზე. ისინი ჯერ გერმანიაში ჩავლენ, სადაც ფრანკფურტის სატანვარჯიშო დარბაზში გაივლიან დასკვნით შეკრებას. ჩვენი სპორტსმენები პირდაპირ გერმანიიდან ჩავლენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ სან სიტიში, სადაც 23-26 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება. ოლიმპიური ლიცენზიებიც იქ გაიცემა.

ბატუტზე ხტომას სიდნეიში ოლიმპიური დებიუტი ექნება. საერთაშორისო ფედერაცია მეტი პოპულარიზაციისთვის ლიცენზიებს გეოგრაფიული პრინციპით ანაწილებს, ანუ თითო ქვეყანას — თითო. მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ ათი ლიცენზია გაიცემა. კიდევ ორს საერთაშორისო ფედერაცია თავისი შეხედულებისამებრ მისცემს გზას.

ხოფერიაც და აბრამიშვილიც დღემდე თბილისში ემზადებოდნენ, უახლესი ტიპის ბატუტებზე დღეში ორჯერ ვარჯიშობდნენ. შეგახსენებთ, რომ ეს ბატუტები გერმანელებმა გადმოსცეს ჩვენს ფედერაციას ანა დოლონიძის კონტრაქტის სანაცვლოდ. ამავე შეთანხმებითვე ჩვენებურები ფრანკფურტში უფასოდ ივარჯიშებენ. მათი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი შეგირდების მზადებით კმაყოფილია, ოღონდ ხოფერიას შეახსენა თავი მუხლის ძველმა ტრავმამ. თუმცა აფრიკის უკიდურეს სამხრეთში მაინც დიდი მიზნებით მიდიან. ორივე სპორტსმენი ერთდროულად ლიცენზიაზეც ფიქრობს და მედალზეც.

ჩვენი ბატუტისტები წლეულს მხოლოდ მსოფლიოს თასის გათამაშების ორ ეტაპში გამოვიდნენ, რომლებიც მაისის შუა კვირაში მიყოლებით გაიმართა გერმანულ აახენსა და სანკტ-პეტერბურგში. ხოფერიამ რუსეთში გაიმარჯვა, გერმანიაში კი მეოთხე იყო. აბრამიშვილი ორივეგან მეხუთეზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ ზაზასთვის ეს პირველი ტურნირი იყო სპორტთან შვიდწლიანი განშორების შემდეგ. ამას კი ხანგრძლივი იძულებითი საშეჯიბრო შესვენება მოჰყვა. ფედერაციამ უფულობის გამო ისინი ერთ შეჯიბრზეც ვერ გაუშვა. მართალია, ივლისის დასაწყისში ინგლისში გასამგზავრებელი თანხა გამოიძებნა, მაგრამ იმ პერიოდში ხოფერია პირადი პრობლემების გამო ვერ ვარჯიშობდა და ასეთ მდგომარეობაში მისი გაგზავნა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს. არც მარტო აბრამიშვილის გამგზავრება მოხერხდა.

სან სიტიში ამ ჩემპიონატის პარალელურად აკრობატთა მსოფლიოს პირველობაც გაიმართება, რადგან ეს ორი სახეობა ერთ საერთაშორისო ფედერაციაშია გაერთიანებული. იქ საქართველოდან ვეფხია ხუბაევი გამოვა. რაკი აკრობატიკა არაოლიმპიური სახეობაა, იგი თითქმის არ ფინანსდება. ხუბაევი ახლა სტავროპოლში გადის დასკვნით შეკრებას. იქ მან ორ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა, რომლებშიც მეორე და მესამე ადგილებზე გავიდა. წლეულს ის სხვაგან არსად გამოსულა.

ირაკლი თავაძე

მძლეოსნობა

# ნელ-ნელა კლავენ...

## მძლეოსნები ტურისტებად გვექცნენ

ახლახან ესპანურმა სევილიამ მსოფლიოს რჩეულ მძლეოსნებს უმასპინძლა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი ქართველი სპორტსმენიც ჩავიდა — სპრინტერები: თამარ შანიძე, რუსლან რუსიძე, შუბის მტყორცნელი მაკა ობოლაშვილი და 1500 მეტრზე მორბენალი ზიგმუნდ ზილბერშტეინი. მაგრამ ორგანიზატორებმა შანიძე და რუსიძე ჩემპიონატზე არ დაუშვეს, თუმცა გუდა-ნაბადი ბოლომდე მაინც არ ააკვრევინეს და ტურისტობას დააჯერეს. ესპანეთიდან დაბრუნებულ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ თამაზ მდინარაძესაც უპირველეს ყოვლისა, ამაზე ვკითხეთ.

**— რა მოხდა სევილიაში, რატომ არ დაუშვეს ჩვენი სპორტსმენები ჩემპიონატზე?**

— სამწუხაროდ, საქართველოში არა გვაქვს ელექტროტექნიკა. ფოტოფინიში, რომელიც ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებიდან მხოლოდ უკრაინასა და რუსეთშია. ამიტომ ჩვენც და სხვებსაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია — IAAF გვიკეთებდა შეღავათს და შეჯიბრებებზე ხელის წამმზომზე დაფიქსირებული შედეგებით გვიშვებდა. ახლაც, ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირით ადრე, IAAF-ს ვაცნობეთ, რომ რუსიძეს და შანიძეს ხელის წამმზომზე დაფიქსირებული შედეგები ჰქონდათ. იქიდანაც მიწვევა მოგვივიდა, მაგრამ აეროპორტშივე, აკრედიტაციაზე გვიჩვენეს ერთი საათის გამოგზავნილი ფაქსი, რომ ასეთი შედეგები არ მიიღებოდა. ამიტომ ისინი შეჯიბრზე არ დაუშვეს. არადა, ეს ადრევე უნდა ეცნობებინათ ჩვენთვის. მივმართეთ ჩემპიონატის გენერალურ დირექტორ ჯოვანელის, მაგრამ გამონაკლისი არ დაუშვეს არც ჩვენთვის და არც სხვებისთვის. თუმც ორგანიზატორებმა ბოლომდე მაინც არ გაწირეს სპორტსმენები და მაყურებლებად დატოვეს. მათაც დრო უქმად არ დაუკარგავთ, საუკეთესო პირობებში ივარჯიშეს.

**— მართალია, ადრე შეღავათს გვიწევდნენ, მაგრამ მოულოდნელობისთვის მზად ვერ აღმოჩნდით. ხომ იცოდით, რომ ფოტოფინიში აუცილებელი იყო. შეგეძლოთ ამ გაუგებრობის თავიდან აცილება?**

— IAAF-ს რომ სამი კვირით ადრე ეცნობებინა, მაშინ ჩვენებს, ალბათ, ტულაში გავაგზავნიდით, რუსეთის ღია ჩემპიონატზე. თუ ამას ვერ მოვახერხებდით, არც სევილიაში წავიყვანდით. რადგან მიწვევა მივიღეთ, გვეგონა, რომ დაგვიშვეს.

**— ზილბერშტეინიც ხომ მორბენალია. მას არ სჭირდებოდა ელექტრონული ტექნიკა?**

— ძირითადი აქცენტი სპრინტზეა გადატანილი, რადგან სწრაფია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საშუალო დისტანციებსა და მარათონზე შემთხვევითობა გაცილებით იშვიათია.

**— თქვენი აზრით, მომხდარში ვინაა დამნაშავე — IAAF თუ ჩვენი ფედერაცია?**

— ორივე. ამიტომ ხარჯის ნაწილი IAAF-მაც გაიღო. ორი სპორტსმენის იქ ცხოვრების თანხა მთლიანად მან იკისრა.

**— ელექტროტექნიკის შეძენაზე თუ ზრუნავთ? თქვენ ხომ IAAF ყოველწლიურად გეხმარებათ. თან შარშან მაია აზარაშვილმაც ჩამოიტანა რაღაც-რაღაცები გერმანიიდან.**

— IAAF-ის ყოველწლიური დახმარება 12 ათასი დოლარია, ეს მოწყობილობა კი 25-30 ათასი დოლარი ღირს. აზარაშვილის ჩამოტანილი აპარატურა კი მხოლოდ სავარჯიშოდაა გათვალისწინებული. IAAF-ის დახმარების პროგრამა უკვე ამოიწურა. გააგრძელებს თუ არა მას მომავალში, არ ვიცით. როგორც ვხედავთ, ელექტროტექნიკა საკმაოდ ძვირია და მისი შეძენის საშუალება არ გვაქვს. ფედერაციის დაფინანსება სულ 20 ათასი ლარია. ეს კი ზღვაში წვეთია. რომ არ ყოფილიყო „ეარ ჯორჯია“, იქნებ სევილიაში ვერც წავსულიყავით. დეპარტამენტის წერილის საფუძველზე ბილეთები გერმანიამდე და გერმანიიდან მათ გაგვიხერხეს, გერმანია-ესპანეთის გზა კი მაია აზარაშვილის ფულით გავიარეთ. მართალია, ეს ფული დასაბრუნებელია, მაგრამ თუ დეპარტამენტის მიერ ჩვენი დაფინანსების ტემპს და შარშანდელ ვალს — 8 ათას ლარს გავიხსენებთ, ამ თანხის დაბრუნება მეეჭვება. ბილეთები კი გვქონდა, მაგრამ სხვა ხარჯებისთვის საჭირო თანხა ხაზინიდან გამგზავრების წინა დღეს გამოვიტანე. ცუდია, თუ ყველა ფედერაციის პრეზიდენტი პირადად დაიწყებს ხაზინაში სიარულს. აი, ასეთ დღეშია ჩვენი მძლეოსნობა. მის მნიშვნელობას ნელ-ნელა კი ხვდებიან, მაგრამ მაინც ნელ-ნელა კლავენ. „ლოკომოტივის“ სტადიონზე სარბენი ბილიკები საერთოდ მოშალეს. ის აქციონირებულია და მასზე პრეტენზიასაც ვერ განვაცხადებთ. მალე შეიძლება მძლეოსნობისთვის ეროვნული სტადიონიც დაიკარგოს.



მაიკლ ჯონსონი

**— ეს ყველაფერი ცალკე საუბრის თემაა, ამიტომ ისევ სევილიას მინდა დავუბრუნდეთ. იმ ორი სპორტსმენის შედეგები?..**

— ზილბერშტეინისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის. იგი თავისით, უმწვრთნელოდ ვარჯიშობს ახალციხეში. სარბენ ბილიკზეც, მგონი, პირველად სევილიაში დადგა. ჩვენ მასზე ერთი თეთრიც კი არ დაგვიხარჯავს. მადლობა მას სამცხე-ჯავახეთში მძლეოსნობის პოპულარიზაციისთვის. ამასთანავე, მან რამდენიმე ევროპელი მაინც მოიტოვა უკან, რომლებიც გაცილებით უკეთეს პირობებში ემზადებოდნენ.

შუბის მტყორცნელები ორად გაყვეს. ნაწილმა დილით იასპარეზა, ნაწილმა — საღამოს. ობოლაშვილი საღამოს ჯგუფში მოხვდა მეექვსე ნომრად. გასაქცევად მათ სარბენი ბილიკებითაც უნდა ესარგებლათ. ორგანიზატორთა დაუდევრობით, მათ შეჯიბრს 10 კმ-ზე რბენაც დაემთხვა, ოღონდ შუბის ტყორცნა ცოტა ადრე დაიწყო და მაკას წინ მდგომმა ხუთეულმა მოასწრო ასპარეზობა. მოვიდა მაკას რიგი და დაიწყო 10 კმ-ზე რბენაც. იქ ზოგი ძალიან წინ წავიდა, ზოგიც ჩამორჩა, ობოლაშვილი კი ზუსტად თხუთმეტი წუთი შემართული შუბით იდგა და მათი შეჯიბრების დასრულებას ელოდა. გამოუცდელობა და ენის არცოდნა, თორემ შეიძლებოდა, სტარტიდან გამოსულიყო და მოთელვა გაეგრძელებინა. მერე კი, როცა ისროლა, ხელზე კუნთი დაეჭიმა. მეორე ცდაზე მაინც გამოვიდა, მაგრამ უშედეგოდ, მესამეზე კი თავი მოიხსნა. ვფიქრობ, მას ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება შეეძლო.

**— სალიცენზიო ტურნირები კიდევ სად გელით?**

— შავი ზღვის აუზის თამაშებიც, რომლისთვისაც 8 სექტემბრიდან თურქეთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ მიწისძვრის გამო გადაიდო, სალიცენზიოა. წლეულს არა და მომავალში დაახლოებით 6 შეჯიბრში მაინც გამოვალთ. ლიცენზიის მოპოვებას შანიძეს, რუსიძეს და იმავე ობოლაშვილს ძალუძთ.

**— სევილიაში საყურადღებოც ბევრი მოხდა. ზოგი რამ ჯერ კიდევ ჩემპიონატის გახსნამდე დაიწყო. მხედველობაში მაქვს დოპინგ-სკანდალები, რომლებიც დიდ ავტორიტეტებს შეეხო.**

— მათგან სოტომაიორს საბოლოოდ არ დაუდგინდა დოპინგის მიღება. კონგრესზე კენჭი ეყარა წინადადებას, რომ ვიდრე სპორტსმენს საბოლოოდ არ დაუმტკიცდება, დოპინგის მიღება არ გახმაურდეს. ეს წინადადება ლამის ერთსულოვნად გავიდა. აი, ლინფორდ კრისტის და მერლინ ოტის კი ეს რაში დასჭირდათ, არ ვიცი. მათ ხომ ოსტატობა არ დაეწუნებათ. ასევე უკვირდათ ეს სხვა დელეგაციის წევრებსაც. ჩემპიონატმა განსაკუთრებით ოტი მოისაკლისა. ამან დამაეჭვა, რომ ისინი ადრეც იღებდნენ დოპინგს, მაგრამ როგორღაც თავს იძვრენდნენ.

სარბენ ბილიკებზე კი ამერიკელი მაიკლ ჯონსონის მიერ 400 მეტრზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი იქცა ჩემპიონატის მშვენებად. ის ფენომენალური, თავმდაბალი და მორიდებული კაცია. თუ ვინმეს შეეძლო ამ საუკუნეში 43-წამიანი მიჯნიდან გამოსვლა, უპირველესად მას. ისე, რეკორდის დამყარება მეოთხედფინალშიც შეეძლო, მაგრამ ბოლო 50 მეტრი საერთოდ არ ურბენია. არადა, თავიდან აღებულ ტემპში რომ განეგრძო სირბილი, 42 წამთან ახლოს მივიდოდა. ტაბლოს რომ შეხედა, მერე კი შემოირტყა თავში ხელი. ის ფანტასტიკური იყო. ორასმეტრიან მონაკვეთზე ამ დისტანციის რეკორდიც კი გააუმჯობესა, ხოლო ბოლო 100 მეტრზე 50 მეტრით იყო წინ. ასეთი რამ არ ხდება. დონოვან ბეილი საერთოდ ჩვენს სასტუმროში ცხოვრობდა. მან ფეხის ტრავმის გამო ვერ იასპარეზა, რამაც მორის გრინს გამარჯვება გაუადვილა. ვერ დავადგინე, რატომ არ ასპარეზობდა წლევანდელი ტრიუმფატორი, ტრინიდადელი ატო ბოლდონი, თუმც სევილიაში კი იყო. გამიკვირდა 400 მ-ზე თარჯრბენში იტალიელის გამარჯვება. კარგად კი იასპარეზა, მაგრამ აქამდე არ ჩანდა. ამ მოგებით პრიმო ნებიოლო უზომოდ გაახარა. ისიც ფეხზე წამოუდგა და მოწონების ნიშნად ზეაწეული ცერა თითით მიესალმა. ცოტა გამიკვირდა მარიან ჯონსისა. ეტყობა, საკუთარი შესაძლებლობები სწორედ ვერ გათვალა. სიგრძეზე ხტომაში რომ არ გამოსულიყო, თავისუფლად წაიღებდა შინ სამი ოქროს მედალს. მან 100 მეტრი ბრწყინვალედ კი მოიგო, მაგრამ ბევრჯერ გამოვიდა სტარტზე, მეორე დღეს სიგრძეზე ხტომაში იასპარეზა და ორგანიზმმა ვერ გაუძლო. მისმა მეუღლემ ბირთვის კვრაში გაიმარჯვა. ეტყობა, მეუღლეებმა სევილიიდან დიდი ფულის წაღება მოინდომეს. ისე, მისი მარცხი დიდი დანაკლისი იყო. იგი მოვლენაა სპორტში და ფლორენს გრიფიტ-ჯოინერთან მიახლოებაც შეუძლია. ვერაფრით გამოიჩინეს თავი კრისტიან არონმა და ჟანა პინტუსევიჩმა. საოცრად გაუმართლა მაქსიმ ტარასოვს, რომელიც თამასა-ხარიხას ისე დაახტა, კინაღამ გატეხა, თუმცა არ ჩამოვარდა. გრანდიოზული სანახაობა იყო გახსნა-დახურვის ცერემონიალები სამეფო ოჯახის მონაწილეობით. ჩემპიონატს მაყურებელიც მრავლად დაესწრო და ენით აუწერელი ყიჟინით მიესალმა მარათონში თვისტომის გამარჯვებას, რომელმაც 200-მეტრიანი უპირატესობით გაიმარჯვა.

ეგაა, ცოტა ორგანიზატორებმა მოიკოჭლეს. შვედეთსა და გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყველა წვრილმანი იყო გათვლილი, რასაც აქ ვერ იტყოდი. ამას ობოლაშვილის მაგალითიც მოწმობს და ესეც: შეჯიბრების ადგილას ლუდი იყიდებოდა, როცა მათ შესანიშნავი ღვინოები აქვთ და მათი რეკლამა შეეძლოთ. თანაც ლუდზე იაფიც ღირს. ერთი ორჯერ მსაჯებს კინაღამ უროც მოხვდათ თავში, რადგან სადაც საჭირო იყო, იქ არ იდგნენ.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




# არავითარი რასიზმი!

## ევროპელები იმიტომ მუშაობენ, რომ კენიელებს ჩემპიონატი მოუწყონ?

## იააფ-ს ევროკავშირის ეშინია

ოქროს ლიგის რიგით მეექვსე ტურნირი გუშინ გაიმართა ბელგიის ქალაქ ბრიუსელში. მას „ვან დამის მემორიალი" ეწოდება და მთავარი ორგანიზატორი ვილფრედ მეერტია. ამ ერთდღიანი შეჯიბრის მსგავსნი მთელი წლის მანძილზე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და იააფ-ს მათი სარეიტინგო სისტემაც აქვს შემოღებული, რომლის შეცვლასაც ითხოვს ბატონი მეერტი. ქულათა დარიცხვის ამ სისტემის მიხედვით ირჩევა კიდეც ის შვიდი საუკეთესო ტურნირი, ოქროს ლიგას რომ შეადგენენ.

გუშინ საღამოს 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის 19 მონაწილიდან 9 კენიელი იყო, ეს კი საკმაოდ აღონებს „ვან დამის მემორიალის" ორგანიზატორს, ვინც მოშხრეა, რაც შეიძლება მეტი ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღოს მონაწილეობა მისი ტურნირის ყველა დისციპლინაში. არადა, ამდენი კენიელის მიწვევას იგი გვერდს ვერანაირად აუვლიდა, რადგან იააფ-ის რეიტინგში ბევრი ქულა უნდა ჩაიწეროს და რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე დამკვიდრდეს. სხვანაირად ხომ მომავალი წლისთვის ჯიბესქელი სპონსორების შოვნა შეუძლებელი იქნება.

— სარეიტინგო სისტემა ასეთია, — ხსნის ბატონი მეერტი — ჩახედავენ პირველი ხუთეულის შედეგებს 14 დისციპლინაში და მათი შეჯერების შემდეგ ერთდღიან ტურნირს ქულების გარკვეულ რაოდენობას უწერენ. ასე რომ, ყველა ორგანიზატორი იძულებულია მსოფლიოს საუკეთესო ათლეტები მიიწვიოს, სხვანაირად შეჯიბრის დონეს ვერ შეინარჩუნებს.

მეერტის აზრით, კომერციულად ლოგიკური ეს თვალსაზრისი სპორტულ მხარეს ძალიან ვნებს. სპორტის დედოფლის მწვერვალზე ამერიკელი და აფრიკელი სპორტსმენების სიმრავლე, ერთდღიანი ტურნირების ორგანიზატორებს იძულებულს ხდის სწორედ ისინი მიიწვიონ, ამით კი ევროპელი და სხვა კონტინენტის მძლეოსნები იჩაგრებიან. მათ ძალიან იშვიათად ეძლევათ შესაძლებლობა, ელიტასთან იასპარეზონ და შესაბამისად პროგრესიც უბრკოლდებათ.

— ყოველგვარი რასიზმის გარეშე გეტყვით, რომ არანორმალურად მიმაჩნია 3000 მეტრზე წინაღობებით სირბილში 9 კენიელის მოწვევის აუცილებლობა, არადა, სხვა გზა არ მაქვს — განაგრძო მეერტმა — მე მგონი, აქ იმიტომ არ ვმუშაობ, რომ კენიის ჩემპიონატი მოვაწყო.

მდგომარეობის შეცვლის მიზნით „ვან დამის მემორიალის" ორგანიზატორს სურს რეიტინგის შედგენისას მხედველობაში მიიღონ არა პირველი ხუთეულის, არამედ მხოლოდ პირველი სამეულის შედეგები ყოველ დისციპლინაში. მისი თქმით, ეს საშუალებას მისცემს, უფრო მეტი ახალგაზრდა ევროპელი სპორტსმენი მოიწვიოს, რაც მძლეოსნობის განვითარებისთვის იქნება კარგი.

მოვუსმინოთ კვლავ ბატონ მეერტს: „მეტი ევროპელის მონაწილეობა მით უფრო ლოგიკური იქნება, რომ ყველაზე პრესტიჟული ტურნირების უმეტესობა სწორედ ევროპაში იმართება და მძლეოსნობას ყველაზე მეტი ფული სწორედ ევროპული ტელევიზიებიდან შესდის. პირადად მე მძლეოსანთა ტურნირის ტელერეპორტაჟს უფრო სიამოვნებით ვუყურებ, თუ მეცოდინება, რომ მასში ვინმე ჩემი თანამემამულე გამოდის და, მგონი, ევროპელთა უმრავლესობაც ასე ფიქრობს".

ამ დროს არც იააფი რჩება გულხელდაკრეფილი. მძლეოსნობის მმართველ ორგანოშიც უკვე ლაპარაკობენ ოქროს ლიგის გათამაშებაში ცვლილებების აუცილებლობაზე, თუმცა ბრიუსელელი ორგანიზატორის იდეებს ჯერ მაინც სიფრთხილით ეკიდებიან.

„ამ საკითხზე უკვე რამდენჯერმე ვიმსჯელეთ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უკეთესია, რაც უფრო მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას ჩვენი ეგიდით გამართულ ტურნირებში. თუმცა რაღაც ბარიერების აღმართვისა და პროტექციონიზმისგან თავი ყველანაირად უნდა შევიკავოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სწორედ ბრიუსელში განლაგებული ევროკავშირი შეიძლება გადავიკიდოთ! იააფ-მა ყველა მძლეოსანზე უნდა იფიქროს, ამიტომაც ყველა წინადადებას გულდასმით შევისწავლით" — განაცხადა იააფ-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჯორჯო რაინერიმ.

იმ შემთხვევაში, თუ მეერტი თავისას ვერ გაიტანს, მას კიდევ რამდენიმე აზრი აქვს სარეიტინგო სისტემის შეცვლის თაბაზე. მაგალითად, ტურნირებს ქულები შეიძლება ორგანიზაციის ხარისხს ანდა მაყურებელთა რაოდენობის გათვალისწინებით მიემატოს.

რა გამოვა მეერტის წამოწყებიდან, ჯერჯერობით უცნობია. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**გაიოზ თალაქვაძე**




REUTERS

გაბრიელა საბო

# მილიონი და ეს ორნი




გუშინ ბრიუსელში გამართული ოქროს ლიგის მეექვსე ტურნირის მერე მილიონი დოლარისთვის მებრძოლნი კვლავ ორნი დარჩნენ — გაბრიელა საბომ 3000, უილსონ კიპკეტერმა კი 800 მეტრზე იმარჯვეს (კიპკეტერმა წლის საუკეთესო დროც 1.42,27 აჩვენა). თუ ორივემ ბერლინშიც იყოჩაღა, მილიონი ორად „გატყდება".




REUTERS

უილსონ კიპკეტერი





მარიო ლემიე

# დიდი ჰოკეისტი დიდი კაცი ხდება

ნჰლ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჰოკეისტი მარიო ლემიე თანდათან უახლოვდება მიზანს — იგი მალე პიტსბურგის მფლობელი გახდება. ოთხშაბათს, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიგის მესვეურთა საბჭომ მოიწონა ლემიეს გეგმა. დარჩა ერთადერთი ინსტანცია — გაკოტრების ფედერალური სამსახური. მან გუნდის გაყიდვის ფაქტი უნდა დაამტკიცოს. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და თუ ეს მოხდა, სუპერმარიო ჩრდილო-ამერიკის პროფესიული სპორტის ისტორიაში პირველი სპორტსმენი იქნება, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ კლუბის მფლობელი გახდა.

„აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს პროცესი ესოდენ ხანგრძლივი და რთული იქნებოდა. ვითარება ისე ხშირად იცვლებოდა, რომ აღარც კი მჯერა, თუ ყველაფერი მალე დასრულდება. დამერწმუნეთ, ჰოკეის თამაში გაცილებით ადვილი საქმე ყოფილა" — თქვა მარიომ საგანგებო პრესკონფერენციაზე და დასძინა, რომ მისთვის მთავარია, გუნდი პიტსბურგში დარჩეს.



# ზეზრული ამბები

### მინესოტამ ლიგა დაიბრუნა

წლეულს ნჰლ-ის კარს ახალი კლუბი, ატლანტა შეაღებს, მომდევნო სეზონში კი მას მინესოტა მოჰყვება. თუმცა მინესოტაში უკვე შეუდგნენ გუნდის ჩამოყალიბებას და როგორც წესია, ჯერ გენერალური მენეჯერი აირჩიეს. ამიერიდან „მინესოტა უალდის" საკადრო პოლიტიკას ნჰლ-ში საკმაოდ ცნობილი პიროვნება დუგ რაიზბრო წარმართავს. 45 წლის რაიზბრო უკვე 25 წელია, ლიგაში საქმიანობს. აქედან 13 სეზონი მას ყინულზე გაუტარებია (8 — მონრეალში, 5 — კალგარიში) და სტენლის თასიც ოთხჯერ მოუგია. კარიერის დასრულებისთანავე კალგარის მწვრთნელად დანიშნეს, მერე — გენერალურ მენეჯერად, ბოლო სამი სეზონი კი ედმონტონის ვიცე-პრეზიდენტის რანგში გაატარა. ასე რომ, რაიზბრო ჰოკეიში ჭიპმოჭრილი კაცი გახლავთ და მინესოტას ტრადიციებიც შეუწყობს ხელს, რომელსაც ყოველთვის ჰყავდა ნჰლ-ში გუნდი. შეგახსენებთ: თასის ამჟამინდელი მფლობელი დალასი 1994 წელს სწორედ ამ ქალაქიდან გადაბარგდა ტეხასში.

### ვაშინგტონში ჭაღარას პატივს სცემენ

„ვაშინგტონ კეპიტალსმა" კვლავ გააოცა თავისი თაყვანისმცემლები. სანამ გეტყოდეთ, რაშია საქმე, შეგახსენებთ, რომ 1998 წელს დედაქალაქელებმა, ყველას გასაკვირად, ვეტერანი ბრაიან ბელოუზი მიიწვიეს, კაცი, რომლის ნჰლ-ური კარიერაც დასრულებულად ითვლებოდა და რომელიც ლიგაში დაბრუნებამდე გერმანიაში ასპარეზობდა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ სეზონში თასის ფინალში გასული ვაშინგტონის რიგებში. და აი, კიდევ ერთი სიურპრიზი. სამშობლოში გატარებული ორი სეზონის შემდეგ ნჰლ-ში დაბრუნდა ცნობილი შვედი ფორვარდი ულფ დალინი. „იმედია, დალინის გამოცდილება და საბრძოლო სულისკვეთება ძალიან გამოადგება ჩვენს გუნდს" — თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯორჯ მაკფიმ. ჩვენ კი დავძენთ, რომ ათი წლის განმავლობაში ოთხ სხვადასხვა კლუბში მოთამაშე შვედმა ლიგას ერთობ დაამახსოვრა თავი. პირველ შვიდ სეზონში დალინს არანაკლებ 20 გოლი გაჰქონდა, 1992-93 წლებში, მინესოტაში გამოსვლისას, 74 (35+39) ქულით პერსონალური რეკორდიც დაამყარა, ორი წლით ადრე კი გუნდთან ერთად თასის ფინალში გააღწია.

### ვინ რას გაიხსენებს...

კიდევ ორმა სახელოვანმა ვეტერანმა განაცხადა კარიერის დასრულების შესახებ — დეილ ჰანტერმა და ბობი კარპენტერმა. ამიერიდან ჰანტერის სახელს ცნობილ „პოლიციელებთან" — „ვეფხვ" დეივ უილიმსთან და „ურო" დეივ შულცთან ერთად მოიხსენიებენ. ხუმრობა ხომ არ არის — 19-წლიანი „მეომრული" კარიერის ბოლოს ჰანტერი ლიგის რეკორდსმენი გახდა პლეი ოფში მითვლილი საჯარიმო წუთებით (729 186 მატჩში). იგი ლიგის ისტორიაში ერთადერთი მოთამაშეა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატებში 300 გოლი, 1000 ქულა და 3000 საჯარიმო წუთი დააგროვა! 3565 საჯარიმო წუთით (ესე იგი, 50 საათზე მეტი) ის მხოლოდ ზემოხსენებულ უილიამსს ჩამორჩა, თუმცა დარჩენილ დროში, როგორც ხედავთ, გოლების გატანასაც ასწრებდა. ჰანტერს ერთი „მიღწევაც" ეკუთვნის — 1993 წელს იმის გამო, რომ პიერ ტარჯონს სასტიკად ეუხეშა, ნჰლ-ის არსებობის მანძილზე ყველაზე ხანგრძლივი, 21-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. თუმცა, გარდა იმისა, რომ მეტოქეებს უმკლავდებოდა, ფორვარდი უდიდესი საბრძოლო სულისკვეთებითაც გამოირჩეოდა და წლების განმავლობაში ვაშინგტონის კაპიტანი იყო. დეივი, რომელსაც ამ დღეებში 39 წელი შეუსრულდა, ჰანტერების დინასტიის უკანასკნელი და ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი გახლავთ.

ბობი კარპენტერს ასეთი „გმირობებით" სახელი არ გაუთქვამს, მაგრამ საამაყო მასაც ბევრი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ფორვარდი მუდამ დაცვით ფუნქციებს ასრულებდა, 18-წლიანი კარიერის განმავლობაში 714 ქულა მიითვალა, 1995 წელს კი ნიუ ჯერსის შემადგენლობაში თასიც მოიგო. აღსანიშნავია, რომ, ჰანტერის დარად, „ეშმაკების" 36 წლის ფორვარდი ზაფხულში შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდა და მისი მიწვევა არც ერთმა სხვა კლუბმა არ მოისურვა.

ვეტერანები ჰოკეისთან განშორებას სრულიადაც არ აპირებენ. ჰანტერი ვაშინგტონის სისტემაში იმუშავებს, ხოლო კარპენტერი ნიუ ჯერსის ფარმ-კლუბის მთავარ მწვრთნელს გაუწევს ასისტენტობას.

**სამველ ლარიბიანი**



ბობი კარპენტერი

# US OPEN

ქალები

III წრე

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (10, ესპანეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:2, 6:2; ანკე ჰუბერი (გერმანია) — იანა ნოვოტნა (8, ჩეხეთი) 6:3, 6:2; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სანდრა კლოსელი (გერმანია) 6:3, 6:1; მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — დომინიკ ვან რუსტი 7:5, 6:0; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:1, 6:3

კაცები

II წრე

გრეგ რუზედსკი (9, ინგლისი) — დავიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:3, 6:1; ტომი ჰაასი (14, გერმანია) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:3, 6:2, 2:6, 6:7 (3:7), 6:1; კრის ვუდრაფი (აშშ) — კრისტიან რუდი (ნორვეგია) 6:2, 6:3, 6:3; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:4, 6:3, 6:4; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ლარს ბურგმიულერი (გერმანია) 7:6 (7:5), 1:6, 6:3, 3:6, 6:2; ტოდ მარტინი (7, აშშ) — რიჩი რენებერგი (აშშ) 6:4, 6:3, 3:6, 6:1

## EURO 2000

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

### VII ჯგუფი

## ბაქოში მატჩი გადაიდო

გუშინ ბაქოში ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევი ჯგუფის მატჩი აზერბაიჯანსა და პორტუგალიას შორის პირველ ტაიმში შუქის სანახევროდ გამორთვის გამო შეჩერდა. ამ დროს ანგარიში 0:0 იყო. ინგლისელმა მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა ნახევარი საათი დაიცადა და მდგომარეობა რომ არ გამოსწორდა, მატჩი შეწყვიტა. უეფას დელეგატი პატ კელი და აზერბაიჯანული ფეხბურთის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ შეეცდებიან, მატჩი დღეს გამართონ.

## საფრანგეთი

II დივიზიონი. VII ტური

ნიორი — გენიონი 1:0; ლე მანი — ლორიანი 2:1; კაენი — ვალანსი 2:0; ნიცა — ნიმი 1:1; აიაჩო — ლავალი 1:0; შატორუ — გენგამი 2:3; ლუანი — ამიენი 0:0; ტულუზი — ლილი 0:2; ვასკეალი — სოშო 0:0; კრეტეი — კანი 1:1

## EURO 2000

ახალგაზრდული ნაკრებები

II ჯგუფი

ნორვეგია 2:1 საბერძნეთი

0:1 კარაგონისი (63), 1:1 კიპე (11), 2:1 ლანგე (71)

I ჯგუფი

დანია 1:3 შვეიცარია

ბელარუსი 1:0 უელსი

III ჯგუფი

ფინეთი 3:1 გერმანია

ჩრდ. ირლანდია 1:2 თურქეთი

IV ჯგუფი

უკრაინა 0:0 საფრანგეთი

V ჯგუფი

შვედეთი 1:4 ბულგარეთი

ინგლისი 5:0 ლუქსემბურგი

VI ჯგუფი

ავსტრია 1:2 ესპანეთი

VIII ჯგუფი

ხორვატია 5:1 ირლანდია

IX ჯგუფი

ბელგია 5:0 ესტონეთი

ლიტვა 0:2 ჩეხეთი

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მეe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მე:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მეh3 b3 36. g4 მეd5 37. g5 e6

## გარი ლონდონში

*მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი ლონდონშია და იქაურ მედიას უცინის. კასპაროვი ხომ მთელ მსოფლიოს ეთამაშება ჭადრაკს ინტერნეტის მეშვეობით. პარტია 37-ე სვლამდეა მისული, მსოფლიო ჩემპიონი კი აღიარებს, რომ თამაში უფრო საინტერესო გამოდგა, ვიდრე მოელოდა.*




# ჯაან, ბიჭო

ენბიეის კანადური კლუბის „ტორონტო რეპტორზის“ ფორვარდ-ვარსკვლავი ჩარლზ ოუკლი ტორტით უმასპინძლდება საზოგადოებას. კმაყოფილია ჩარლზი, შარშანდელი ერთწლიანი კონტრაქტი სამიანად გაუწელავს, თუმცაღა, მასაც და კლუბსაც მოლაპარაკებისას ბევრი ოფლი უღვრიათ.





REUTERS

# მეხუთასე ენსიერო

განთქმულია პამპლონას ფიესტა. ქუჩაში მრბოლი ხარებისა და მათ წინ მოცეკვავე თავზეხელაღებული ყმაწვილების ამბავი, ყველას მოეხსენება. მაგრამ პამპლონა ერთია და ეგებ გაფერმკრთალდეს კიდეც, როცა ესპანელი სიტყვა „კუელიარს“ გაიგონებს. დიახაც, კუელიარი ერთი ციდა ქალაქია, მაგრამ იქაური „ფიესტა“ ანუ ხართან ბრძოლების სეზონის გახსნა ესპანეთში უძველესია. იქაურთათვის ეს არ არის ტურისტული შოუ. რის ტურიზმი? ხუთასი წელიწადია, კუელიარში უწყვეტად ხორციელდება მსოფლიოში უძველესი ფიესტა: შუბოსან-ცხენოსნები ქალაქს შემოჯარული მთებიდან მიერეკებიან ხარებს ქალაქის ქუჩებისკენ. ამას იქაურად „ენსიერო“ ჰქვია.

# არდავიწყება მოყვრისა

*მუშის შრომა დაფასდა, ნამეტნავად კეტბურთში! არავინ და არაფერია დავიწყებული. დიდ ბეისბოლისტთა მარკებზე აღბეჭდვა ამერიკელთა ძველი წესია. აი, ლეგენდარული ჰოუმრანერი როჯერ მარისიც აღუბეჭდავთ. მარკის მაკეტი კი „ჩიკაგო კაბზისა“ და „სან დიეგო პადრეზის“ თამაშის წინ გამოუსვენებიათ ამ გუნდების ლიდერებს, სამი სოსასა (მარცხნივ) და ტონი გვინს. სოსას უკან კი ამერიკის საფოსტო სამსახურის წარმომადგენელი დენი ჯეკსონი დგას. სხვათა შორის, სოსა ის კაცია, ვინაც შარშან მოხსნა მარისის სეზონური ჰოუმრანის რეკორდი.*




# გრეგი ხელს აწერს

*ბრიტი გრეგ რუზედსკი ავტოგრაფების გაცემას ვერ აუდის. ამერიკის ღია პირველობაზე, ფლაშინგ მედოუზის კორტებზე ამ მოდურმა ბრიტმა ესპანელი კარლოს ფერერო დაამარცხა. თუმც, დიდად გადასარევი ამ საქმეში არაფერია.*



REUTERS

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli